erovnuli Tavisuflebis gziT _ pirovnuli Tavisuflebisaken
pirovnuli Tavisuflebis gziT _ erovnuli Tavisuflebisaken

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს. №5 (1768) 7 აგვისტო, 2001 • ფასი 50 თეთრი

სარჩევი

• ეი-ი-ეს თელასს ჭირილი გასდის და... (მე-2 გვ.)

• ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას „ახრჩობს" (მე-2 გვ.)

• რატომ არ ესალმება რეზო ადამია თანაპარტიელებს? (მე-2 გვ.)

• აგენტურა შეტევაზე მოდის (მე-6 გვ.)

• კოდორის ხეობაში რუსეთი ატომური ნარჩენების საცავს აშენებს (მე-4 გვ.)

• ასათიანს ორთან „არშიყს" ერთთან ურჩევნია (მე-2 გვ.)

• ანტიკორუფციული ვაქცინა სკოლებში (მე-5 გვ.)

• ქვანიას პრემიერობის და პრეზიდენტობის „ქილა" ერთდროულად შემოატყდა ხელში (მე-2 გვ.)

• ბერლინის მერმა ალიარა, რომ ცისფერია

(მე-3 გვ.)

გიორგი სანაიას მკვლელობა გრძელდება

ვინ არის ის, ვიზეც ყველა საუბრობს, მაგრამ ვერავინ ხედავს?! (მე-4 გვ.)

„გამსახურდიამ შეძლო, დაეცხრო აფხაზ სეპარატისტთა ვნებები, მაგრამ..." (მე-5 გვ.)



ეროვნული პირველობისთვის

ამბავნარი

ეი-ი-ეს თელასს „ტირილი“ გასდის და...

„ეი-ი-ეს“ თელასი რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია არ იყო, ენერგეტიკის მამებთან ერთად მოსახლეობამ მისი საქართველოში შემოსვლის დღიდან იცოდა, თუმცა არც ამდენ თავხედობას მოელოდა ვინმე მისგან.

ამერიკული კომპანიის მიერ თბილისის გამანაწილებელი ორგანიზაციის ხელში ჩაგდების შემდეგ ქართული ეკონომიკის მამების გულგრილობის, დაუდევრობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყველაფერი შესრულდა, რაც მან მოითხოვა. როგორც ჩანს, შენიშნეს „ეი-ი-ეს“-ის მესვეურებმა „ტირილი რომ კარგად გასდით“, ქართული ანდაზისა არ იყოს და მოსახლეობის შევიწროებასთან ერთად ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებაც მოისურვეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და თბილისის ელ. ენერგიის გამანაწილებელ კომპანია „ეი-ი-ეს“ თელასს დედაქალაქის 24-საათიანი მომარაგება დაავალა, ეს ნორმატიული აქტი ძალაში მაინც არ შესულა. „ეი-ი-ეს“-მა სასამართლოში გააპროტესტა. სემეკმა მოამზადა ინდივიდუალური ხელშეკრულების პროექტი კომპანასა და მომხმარებელს შორის, რომელიც „ეი-ი-ეს“-ს ავალდებულებს, გადახდისუნარიან მომხმარებელს ელ. ენერგია 24 სთ-ის განმავლობაში მიაწოდოს.

როგორც ჩანს, უკვე დაავიწყდათ თელასში, რომ სულ ცოტა ხნის წინ თავს იგიუებდნენ, 24 საათიანი ელ. ენერგიით მომარაგება პრობლემა არ არისო და „ურჩ“ გადამხდელებს აწმენდდნენ ხელებს.

ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას „ახრჩობს“

ხელისუფლება დიდი ხანია დაუკრეფავში გადავიდა, მაგრამ ის, რაც „რეფორმატორთა“ მშვენებამ, ჭკუისკოლოფმა ნოლაიდელმა „მოიფიქრა“, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. თავისუფალ პრესას ხელისუფლებამ რომ ვერაფერი მოუხერხა, ბრძოლა აკრძალული მეთოდებით დაიწყო. დარტყმა ნელს ქვემოთ — შეიძლება ასე ეწოდოს ფინანსთა მინისტრს „იშვიათ“ ნაბიჯებს — გაზეთების და მისი გავრცელების დღგ-ს 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრის შესახებ. პრესისთვის შეღავათების გაუქმება თავისუფალ პრესაზე ეკონომიკური ბერკეტებით ზემოქმედებას წააგავს“.

მოსწყინდა ბატონ ედუარდს საკუთარი კარიკატურების ყურება და კრიტიკის მოსმენა. პრესის შესახებ კანონის მომზადება იუსტიციის მინისტრს „დაუკვეთა“ (ალბათობა, რომ იგი შემზღუდავი ან ამკრძალავი იქნება, დიდია), ხოლო ეკონომიკური ზეწოლა ფინანსთა მინისტრს.

აფერუმ, ბიჭებო, თქვენს ვაუკაცობას!

„რეფორმები“ ალერგიას იწვევს

ალბათ, მოკლე ხანში სიტყვა „რეფორმა“ ქართველებში ალერგიის გამოწვევის 100%-იანი მიზეზი იქნება. მართალია, რამდენიმე წლის წინ იგი იმედთან და უკეთეს მომავალთან ასოცირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ რამდენიმე წლის წინ იყო. მერე ჩავატარეთ სასამართლო რეფორმა, საგადასახადოს თანამშრომლებს „მივუსაჯეთ“ ტესტირება, ამას სრულყოფისთვის შემოსავლების ამკრეფი ახალი სამსახურები დავურთეთ... რეფორმას რეფორმა მოჰყვა, კრახს — კრახი და უკეთესი მომავლის იმედი სანთელივით ჩაიფერფლ-ჩაიღვენთა. ხოლო, როცა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სისტემის მთლიან რეორგანიზაციაზე დაიწყო ფიქრი, მისი ოპტიმიზმის დონის და ზომის გარკვევა უკვე შეუძლებელი გახდა, მით უფრო, რომ მოლაშვილმა მეოცნებეებს იმთავითვე აუწყა, სხვა სისტემებისგან განსხვავებით, ჩვენთან მაღალი ანაზღაურებები არ იქნებაო. ესეც თქვენ კონტროლი! მარტო ერთსლა ვშიშობთ, უფულობამ რეფორმირებულებს ალერგია არ მისცეს და ცოცხალმკვდარი იმედის საბოლოოდ დამარხვა არ მოგვიწიოს!

აბაშიძის დაბადების დღემ სარიშვილს ალიანსი „ჩაუშალა“

დიდი რიხითა და ოვაციებით შექმნილმა ეროვნულ-დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ალიანსმა (ე. წ. „მესამე გზა“) ამ ცოტა ხნის წინ, ჩაილურის წყალი დალია. მიზეზი (პარადოქსია, მაგრამ) აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის დაბადების დღე გახდა. რესპუბლიკელებმა სარიშვილი-ჭანტურიას აჭარის ლიდერისთვის დაბადების დღის მისალოცად ბათუმში ჩასვლა ვერ აპატიეს და მასმედიის საშუალებით ალიანსის დაშლის შესახებ ქვეყანას ამცნეს. ეტყობა, ასე რუდუნებით ნაწები ალიანსი მხოლოდ ობობას ქსელივით იყო დაბლანდული და სიოს ოდნავი შემობერვისთანავე გაწყდა. „რა ვქნა, აბაშიძეს დაბადების დღე ყოველ წელს ექნებაო“, — თავი ინუგეშა ირინა სარიშვილმა და ბედს დამორჩილდა. ახალი ალიანსის შექმნა სულაც არ არის მისთვის პრობლემა.

უღატაკესი ქვეყანა რომ ვართ, მოსახლეობამ დიდი ხანია იცის, მაგრამ...

განგაში, საქართველოს სულ მალე უღატაკეს ქვეყნების სიაში ვიხილავთო, არც ისე დიდი ხანია, რაც ატყდა. ზოგიერთი ჩვენი ხელისუფალისთვის ეს ტრაგედიაა, ზოგისთვის — კომედია. ზოგი უღარიბეს საქართველოს მეძავ ქალს ადარებს, რომლისთვისაც ეს მორიგი შეურაცხყოფაა და კიდევ ერთი მამაკაცის ტოლფასია, ზოგისთვის კი — გამოუსწორებელი ტრაგედია. ასეა თუ ისე, უღატაკესი ქვეყანა რომ ვიყავით, ხელისუფლებისგან განსხვავებით, მოსახლეობამ მშვენივრად იცის, რადგან სიღატაკის წვენი უკვე რამდენი წელია, იგემა. ამას თურმე მხოლოდ სხვების „აღიარების“ შემდეგ ირწმუნებენ ხელისუფალნი. აბა, მოსახლეობის ხმა „ზევით“ ვერ აღწევს და...

რისი ეშინია შევარდნაძეს?!



ყველაზე მეტად, ალბათ, მემკვიდრის დასახელების!

ცოცხალი თავით შევარდნაძე ამაზე არ წავა. რამდენიმე კანდიდატი მყავს, მაგრამ რომ დავასახელო, დაჭამენ ერთმანეთსო, თავის შიშს ხმამაღლა გამოთქვამს. ერთმანეთის ჭამა დიდი ხანია დაავიწყეთ ქართველებმა და უცხო ხილი არავისთვის არის. ბატონ პრეზიდენტს ეს მშვენივრად ესმის და მემკვიდრე რომ არ „დაუჭამონ“, ვინაობას არ ამჟღავნებს. პოსტშევარდნაძისეულ პერიოდამდე დიდი დროა, თუმცა რას ერჩით, მართალია! სულ ასე ამბობს და უფრო მეტად ზრდის ამ დროს.

ჟვანიას პრემიერობის და პრეზიდენტობის „ქილა“ ერთდროულად შემოატყდა ხელში

უცნაური კამპანია, რომელიც ცოტა ხნის წინ „ზურაბიადას“ სახელწოდებით გაიმართა, ისევე უჩვეულოდ დასრულდა, როგორც დაიწყო. არაქართველობაში ეჭვმიტანილი პარლამენტის თავმჯდომარის ეროვნება ბევრისთვის ისევ დიდი კითხვა-ძახილის ნიშნის ქვეშ დგას. კითხვამ — სინამდვილეში რა ეროვნებისაა ჟვანია, ბევრისთვის პასუხი ვერ მიიღო, ხოლო ძახილის ნიშანი კი ამ კითხვით მიღებულმა პასუხმა (სომეხი!) მიიწება.

„ზურაბიადა“ მას შემდეგ დაიწყო, რაც პრეზიდენტმა ჟვანია პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარადგინა. ვერსია, რომ ამის შემდეგ მას პრეზიდენტის სავარძლისკენ სავალი გზა გაუიოლდებოდა, მომენტალურად გაჩნდა. ფიქრებში ჩაძირულ პარლამენტის თავმჯდომარეს ქილა ერბოს არაკივით მოუვიდა, ამ ვერსიამ, როგორც ჩანს, მოხიბლა და „სახრე მოიქნია“... პირველ ვერსიას მეორე მოჰყვა, ჟვანიამ საკუთარი ქართველობის მტკიცება დაიწყო, აქაოდა, როცა საჭირო იქნება, ეროვნების საკითხი წინ არ გადამეღობოსო, მეზობელ-ახლობლებს თანადგომა სთხოვა და... თავბრუდახვეულ პარლამენტის თავმჯდომარეს პრემიერობის და პრეზიდენტობის ქილა ერთდროულად შემოატყდა ხელში. ვერც ვერაფერი დაამტკიცა, ყველა გააღიზიანა და სამეზობლოს მიერ თავის წარმომავლობის გასარკვევად გამართულ პრესკონფერენციაზე საკუთარ პოლიტიკურ კარიერას შავ წერტილად დააჩნია.

ღმერთო ჩემო, როდემდე?!

ტყუილების კასკადი ყოველდღიურად თავს ატყდება მოსახლეობას ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, რას არ იბრალებენ დალოცვილები. ბარონ მიუნჰაუზენის ზღაპრებივით „შთამბეჭდავი“ მონათხრობისა საზოგადოებას კარგა ხანია, აღარ სჯერა, თუმცა დუმილით აყოლებს თვალ-ყურს ამ „სერიალს“ და ჯერ კიდევ ჩუმად გმინავს. მაშინ როცა მთავრობის სხდომაზე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მოშველიებით მინისტრებმა პრეზიდენტს ერთობ შთამბეჭდავი ანგარიში ჩააბარეს ქართული ეკონომიკის აშკარა აღმავლობის შესახებ, გულმოკლული მსმენელი უეჭველად ამოიოხრებდა, ღმერთო ჩემო, როდემდეო. უეჭველად ვერ დაიჯერა შევარდნაძემ „აღმავლობის“ ზღაპარი და უეჭველად შეუსწორა მომხსენებელს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 30-40%-ს კი არა, შეიძლება ცოტა მეტსაც შეადგენსო, მაგრამ რად გინდა მერე?!

იცვლება რამე? უეჭველად გაგრძელდება ტყუილების სერიალი სამომავლოდ და „აღმავლობის“ მშვენიერ ზღაპარს უეჭველად დაგვავიწყებს ეკონომიკის დაღმავლობა კი არა, განადგურება.

ასათიანს ორთან „არშიყს“ ერთთან „არშიყი“ ურჩევნია

„ჩვენი ფრაქცია პრეზიდენტთან არავითარ შემთხვევაში არ იარშიყებს შუალედურ ვარიანტზე“, — აცხადებდა ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი. მას შემდეგ, რაც ოპოზიციასა და ბადრი ხატიძეს შორის ერთგვარი შეთანხმება შედგა თვითმმართველობის კანონთან დაკავშირებით. ასათიანის უარი პრეზიდენტთან „არშიყზე“ ამ ეტაპზე სულ სხვა რამეზე მიანიშნებს. როგორც ყოველთვის, ტრადიციონალისტთა ლიდერი ჟვანიას წისქვილზე ასხამს წყალს.

რადგან ხელისუფლებაში უხვად ჩამომსხდარ მოღალატეებზე და არსებულ დაპირისპირებაზე მხოლოდ ახლახან ალაპარაკდა პარლამენტის თავმჯდომარე და მერების და გამგებლების არჩევითობაზე დაიწყო ლაპარაკი, ასათიანმა მხარი მისცა, რა ქნას ბატონმა კაკომ, ორ კაცთან ერთდროულად „არშიყს“ ერთთან არჩია და გადაწყვეტილებაც სწორი მიიღო(?!), ორი კურდღლის მადევარიც ბედს რომ არ სწეოდა.

იქნება, მაგრამ... არ იქნება სეკვესტრი?

გადაჭრით არავინ არაფერს ამბობს, თუმცა ბიუჯეტის სეკვესტრირების საკითხი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევს აგერ უკვე მერამდენე თვეა.

ივარაუდება, რომ „კასტრაცია“ შემოდგომისთვის მოხდება. „მდუმარე“ ფინანსთა მინისტრი კომენტარისგან ამჯერადაც თავს იკავებს. ამ ეტაპზე ბიუჯეტის სეკვესტრირება გამორიცხულიაო, — მხოლოდ ამას ამბობს. ეტყობა, მინისტრი ჯერ არ გვაშინებს, სეკვესტრის დროს ერთხელ შეშინდებით, სეკვესტრამდე — ათასჯერო, „ზრუნვას“ არ გვაკლებს, მაგრამ მაგან ფული არ მოგვაკლოს, დამეთანხმებით, სჯობია.

სადღა გვაქვს აუქციონზე გასაყიდი ხე-ტყე!

„იდეებს რა ვუყო, იდეებს“ — ფიქრობენ ხელისუფლებაში და განხორციელებაზე თუ არა, მათ ხმამაღლა გამოთქმაზე ნამდვილად ზრუნავენ. ამ იდეების სარგებლიანობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მათ სიმრავლეს კი ვერ დავუწუნებთ ჩვენს ჩინოსნებს.

ახლახან ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ვანო ჩხარტიშვილმა ხე-ტყის ბირჟის შექმნის ინიციატივა გამოიჩინა. პრინციპში, ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია, ოღონდ ის არის საინტერესო, რატომ აქამდე არ მოაგონდა ჩვენს ხელისუფლებას ხე-ტყეზე ზრუნვა, ან რაზე უნდა გამოცხადდეს აუქციონი, როცა გასაჩეხი და გასაყიდი აღარაფერი დარჩა?!

წკიპურტები

რატომ არ ესალმება რეზო ადამია თანაპარტიელებს?



მოქკავშირის ლიდერს რეზო ადამიას თანაპარტიელები უჩივიან, გამარჯობას არ გვეუბნებაო. ამას გარდა, როგორც ამბობენ, კიდევ ბევრ რამეზე უსაყვედურეს ფრაქციის თავმჯდომარეს მოქკავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე. რომელმა საყვედურმა გაჭრა, ძნელია თქმა, თუმცა უდავოდ გაჭრა. რეზო ადამიამ ჯერ თანაპარტიელი უმრავლესობის წევრები იქეთ აავსო საყვედურებით და მერე თანამდებობიდან გადადგომაც ითხოვა. ეტყობა, ამჟამად უსალმოდ სიარული მეტ სიამოვნებას ჰგვრის ბატონ რეზოს, ვიდრე რბილ და ფაფუკ სავარძელში არხეინად ჯდომა, თუმცა, ზის კი ადამია არხეინად სავარძელში? — საკითხავი სწორედ ეს არის.

ჯაბა თუ მიშა სააკაშვილი?!



„მხედრიონის“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში ბატონ მიშა სააკაშვილს ისევ მიუღებლად ეჩვენება. უარის მთავარი არგუმენტი „მხედრიონის“ და მისი ლიდერების წარსულია. როგორც ითქვა, ამ მხრივ კი არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, საოლქო სასამართლოში სასამართლო სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს



წარმომადგენელმა დამატებით მტკიცებულებად „მხედრიონის“ ლიდერების მიმართ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები წარმოადგინა. ჯაბა იოსელიანი კატეგორიულად მოითხოვს იუსტიციის მინისტრის ბრძანებულების გაუქმებას და 10 დღეში „მხედრიონის“ რეგისტრაციაში გატარებას, ოღონდ ეგ არის, რომ სასამართლო პროცესი თითქმის ორი თვით, 26 სექტემბრამდე, გადაიდო და რამდენად მოხერხდება მისი თხოვნის შესრულება, ძნელი სათქმელია..

გავზრდით ტარიფს — ვაია, არ გავზრდით — უი!



„ელექტროკავშირის“ სააბონენტო ტარიფის გაზრდის გარდუვალობაზე საუბარი არავის აკვირვებს. ამის გარეშე, ალბათ, ქსელის სრული პარალიზება მოხდება. ცხადია, ამგვარი შედეგი არც — მოსახლეობას აძლევს ხელს, არც ხელისუფლებას. ტარიფის გაზრდამ კი შეიძლება მომხმარებლის დაკარგვა გამოიწვიოს და ესეც ქსელის პარალიზების მიზეზი გახდეს, რადგან სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა შეიძლება დილემის წინაშე დადგეს. მოკლედ, გავზრდით ტარიფს, ვაია, არ გავზრდით — უი.

ვაი-უს საძახებლად დიდი ხანია, საქმე გვაქვს, ისღა დაგვრჩენია, თავში ხელები წავიშინოთ და მოთქმით ავტირდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო «ბირჟა»

გიორგი სანაიას მკვლელობა გრძელდება

რას გულისხმობდა პრეზიდენტი არგუმენტში „მოსალოდნელი ცილისმწამებლური კამპანია“ — როცა იუსტიციის მინისტრს პრესის კანონის უმოკლეს ვადაში დამუშავებას სთხოვდა, ჯერაც არავინ იცის, მაგრამ რატომღაც ყველამ სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებად აღიქვა ეს. არადა, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ეგრეა ჩვენი პრეზიდენტის საქმე. ეტყობა, დაავიწყდა, ყოველთვის როგორი სიამაყით ამბობდა, სიტყვის თავისუფლება ჩვენთვის დიდი მონაპოვარიაო.

„მონაპოვარი“ სხვაც ბევრი გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ იმან, რაც 26 ივლისს მოხდა, ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ჟურნალისტის სისხლითაც შევიღებეთ ხელი. „მასმედიისთვის გამოგზავნილი მესიჯი“ — ასე უწოდეს ჟურნალისტებმა გიორგის მკვლეობას.

„ჟურნალისტს კლავენ მაშინ, როცა

ის სახიფათო ხდება ამა თუ იმ ძალისთვის, უფრო სწორად, ის უნდა გახდეს ძალზე სახიფათო. სხვა შემთხვევაში ჟურნალისტის ფიზიკურ ლიკვიდაციას ყოველთვის ერიდებიან“, — წერდა „ახალი თაობა“ (29 ივლისი). რა იცოდა გიორგიმ ასეთი? ვისთვის იყო იგი საშიში? ვინ არის მკვლელი? ვისი შეკვეთით მოხდა ეს უბედურება? უთვალავი კითხვა რჩება დღემდე უპასუხოდ, ამასობაში კი გიორგი სანაიას მკვლელობა გრძელდება. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მისი სახელის ლიკვიდაციაზეც დაიწყეს ზრუნვა. ვერსიები, რომლებიც მკვლელობასთან დაკავშირებით გავრცელდა, ამაზე ცხადად მეტყველებს. ფაქტი ერთია, ამ უბედურების საფუძველი წმინდა წყლის კრიმინალია თუ პოლიტიკა, ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ...

— ყველა ასპექტით სახელმწიფოს ვდებ ბრალს, რა მოტივითაც არ უნდა იყოს ის ჩადენილი, რადგან ამგვარი ქმედებებისათვის ნოყიერი ნიადაგი ხელოვნურად იქმნება, გიორგი სანაია მორიგი მსხვერპლია იმ დიდი განუკითხაობისა, რაც ქვეყანაში ხდება. — ასე აფასებს ამ მკვლელობას პარლამენტარი ვალერი გელბახიანი.

გაიხსნება კი ეს დანაშაული?! — მოვლენებს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა საზოგადოებამ.

გახსნით „გაიხსნება, მაგრამ ჩვენ სიმართლეს ვერასოდეს გავიგებთ!“ — ილია ბარამიძის ეს სიტყვები დაეჭვების საფუძველს არ გვიტოვებს. აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა საქმეში ჩართვა საქმის გახსნის გარანტია სულაც არ არის, რადგან...

უკრაინაში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტის გიორგი ღონღლაძის მკვლელობაც „გაიხსნა“ თავის დროზე. ოფიციალურმა გამოძიებამ გამოიტანა დასკვნა, რომ ჟურნალისტი კრიმინალებმა მოკლეს, რომლებთანაც თურმე ღონღლაძეს რაღაც საქმეები ჰქონია. „ღონღლაძის საქმეში“ ჩართულმა დასავლეთის საგამოძიებო სამსახურებმა დასკვნაში ვერაფერი შეცვალეს. თუმცა მკვლელობა რომ პოლიტიკური იყო და პრეზიდენტ კუჩმას დაკვეთით მოხდა, დღესავით ნათელია.

მცდელობა, გიორგის მკვლელისათვის პოლიტიკური ელფერი მოესხნათ, პირველსავე დღეებში დაიწყო, გავრცელებული „ვერსიების“ სათავე მისახვედრია, დამკვეთისგან მოდიოდა.

— ეს მაინც პოლიტიკური მკვლელობაა, კრიმინალური მიზეზი რომც ჰქონდეს. ასეთი ცნობილი ჟურნალისტის განადგურება დაუშვებელია. ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარეობს ყოველივე — დაჟინებით ამბობს ვახტანგ ბოჭორიშვილი.

— გიორგი სანაიას სიკვდილის შემდეგ მივხვდი ერთ რამეს, რომ ჩვენ უზარმაზარი იარაღი გვაქვს. აქამდე კიდევ არ გვქონდა გაცნობიერებული. რა პასუხისმგებლობა შეიძლება ჰქონდეთ ამ იარაღის მპყრობელ ადამიანებს. იმ ადამიანების გუნდი, არმია, რომელიც გიორგის დასაფლავებაზე მივიდა, ფაქტობრივად, გვეუბნებოდა: „ჩვენ თქვენგან მეტს მოველით, თქვენი დიდი იმედი გვაქვს!“ ჩვენ ვალდებული ვართ, გონიერები, სამართლიანები და ზნეობრივნი ვიყოთ, — დიდ ტკივილს და მწუხარებას გამოხატავს „დილის გაზეთის“ რედაქტორი მანანა კარტოზია.

ძალა, რომელიც იმ დღეს იგრძნობოდა, ნდობა, რომელსაც მასმედიას უცხადებდნენ, არ უნდა დავკარგოთ. თავისუფალი პრესისთვის ბრძოლა უკომპრომისო და შეურიგებელი უნდა იყოს.

— სხვა რა არის საქართველოში თავისუფალი, რომ სიტყვის თავისუფლებაზე გვქონდეს პრეტენზია?! ისეთ ფსევდოდემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, ილუზიაა ამგვარ თავისუფლებაზე საუბარი. ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ, ხმამაღლა და სრული რწმენით ვთქვათ: არ არის არც ერთი ქართველი ჟურნალისტი, არც ერთი ქართული გამოცემა, არც ერთი ტელეარხი ან რადიოსადგური, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლების, მისი პირველი პირის ან ნებისმიერი სხვა „ჩინოსნის“ მისამართით რამე ეთქვას და სიმართლე არ ყოფილიყოს, თუმცა ეს სიმართლე სიმართლედ რჩება. — ამგვარად ფიქრობს გაზეთ „რესპუბლიკა“-ს რედაქტორი ჯემალ ნინუა.

მაშ, რამ შეაწუხა პრეზიდენტი, პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში სიტყვის თავისუფლების შესახებ მომზადებულ-გაყინული კანონპროექტ რომ დაავიწყდა და სახელდახელო „შეკვეთა“ იუსტიციის მინისტრს მისცა.

— ამერიკას განსაზღვრული პრესის კანონი არა აქვს, მაგრამ გააჩნია მტკიცედ ჩამოყალიბებული კონსტიტუცია, და მისი მოთხოვნების, ანუ კანონის შესაბამისაოდ მოქმედებს პრესა. მე გავეცანი არაერთ კანონპროექტს, ვიმუშავეთ კიდეც რამდენიმე რედაქტორმა, მაგრამ ვერ მივედით საერთო გადაწყვეტილებამდე. ახლა პრეზიდენტმა იუსტიციის მინისტრს დაავალა, სასწრაფოდ შეემუშავებინა ახალი კანონპროექტი პრესის შესახებ, რაც საეჭვოდ მიმაჩნია. თუ ცილისმწამებლურ კამპანიაზეა საუბარი, რა შუაშია კანონპროექტის დაუყოვნებლივ მიღება? არსებობს სასამართლო და პრეზიდენტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს მას“ (გიორგი ჩოჩიშვილი — „დრონი“).

ვიდრე გიორგი სანაიას მკვლელობა გრძელდება, გრძელდება თავისუფალი მასმედიის და თითოეული თქვენთაგანის უფლების (სიმართლის ცოდნის!) მკვლელობაც.

— უმჯობესია, ქვეყანაში კონსტიტუციური უფლებები არსებობდეს და განუხრელად სრულდებოდეს. არა მგონია, პრესის კანონმა რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიტანოს. თუ იგი თავისუფალი აზრის შეზღუდვისთვისაა განკუთვნილი, პირობას მოგცემთ მეც და ნებისმიერი ჟურნალისტიც, ეს კანონი ვერ იმუშავებს“ — ამბობს ქალბატონი მანანა კარტოზია („დილის გაზეთი“).

დილა
შაბათი, 4 აგვისტო, 2001წ. #84 (1065) ფასი 50 თეთრი

გიორგი სანაიას სიკვდილმა ფუჭად არ უნდა ჩაიაროს. საზოგადოება ღირსია იცოდეს სიმართლე. გიორგი ამისთვის იბრძოდა, ის ღირსია ამისა!

P. S. *რამდენიმე დღეა, საოცარი ინტენსივობით ვრცელდება გიორგი სანაიას მკვლელის ფოტორობოტები. ჯერაც უცნობია, ვინ არიან ამ ფოტოებზე აღბეჭდილი ადამიანები და რა იწვევს ფოტორობოტთა ასეთი ინტენსივობით გავრცელებას. ამას მოკლე დროში შევიტყობთ, ალბათ.*

მანანა გელოვანი,
მარი ჩიტაია

ყოველდღიური დამოუკიდებელი გამოცემა
დილის გაზეთი

წიპურტები

სამეგრელოს ლობისტი

წარმატებით ჩაირა პარლამენტის თავმჯდომარის წინასაპრემიერო ორდღიანმა ვოიაჟმა სამეგრელოში. ზურაბ ჟვანიამ ხალხში პირველად განაცხადა მინისტრთა კაბინეტის შემოღების აუცილებლობის თაობაზე და არაერთი კეთილი დაპირების შემდეგ იგი მოსახლეობას საქართველოს პარლამენტში რეგიონის ლობისტობასაც დაჰპირდა. ერთი სიტყვით, სამეგრელოს ზურაბ ჟვანიას სახით ახალი ლობისტი გამოუჩნდა.

კარგა ხანია, მიუწვდომელ ოცნებად დაგვრჩა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დღითი დღე ვკარგავთ აჭარას, სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ ჯავახეთსა და პანკისში; სამეგრელოს, უკვე მერამდენე წელიწადია, დესტაბილიზაციის ცენტრად აღვიქვამთ... როგორც იტყვიან, იქ ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ამ გაუკუღმართებულ სინამდვილეში პატრონის არსებობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა...

საპოზიციო მრავალქამიერი კანცელარიასთან გადაინაცვლებს

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ კანონების ცალმხრივმა მიღებამ საპარლამენტო ოპოზიციას მოთმინების ფიალა აუვსო. თუ მოქკავშირის კანონებს ვეტოს არ დაადებთ, არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთო – ულტიმატუმი წაუყენეს პრეზიდენტს.

ოპოზიციის განრისხებამ პიკს რომ მიაღწია, ინფორმაცია გაჩნდა, ხმის მისაცემ ბარათებს წვავენო. მართალია, მდგომარეობა აქამდე არ გამწვავებულა, მაგრამ ბრძოლის სხვა ფორმები, რომლის მიმართვასაც ისინი აპირებენ, ალბათ, არანაკლებ მწარე იქნება.

„თუ 60 კაცს შეუძლია ხმების მანიპულირებით მიიღოს კანონები, ჩვენ 92 ვართ და უფრო მეტი ლეგიტიმაციის ხარისხი გვექნება, მით უფრი, რომ მოქკავშირზე მეტი ნდობითა და მხარდაჭერით ვსარგებლობთ მოსახლეობაში“ – ჯემალ გოგიტიძის ამ სიტყვებს სიმართლე არ აკლია, თუმცა ალტერნატიული პარლამენტის მუქარა, რამდენად რეალურია, ამას შემოდგომაზე ვნახავთ.

ისე კი, თუ ვეტო დროზე არ იქნება, კანცელარიის წინ აქცია არ დაიგვიანებს. „დავდგეთ და ვიდგეთ კანცელარიასთან“ — ლათო გამყრელიძის ამ სიტყვებს გამომხმაურებელი ბევრი ეყოლება, თუმცა მოქალაქეები, ალბათ, მაინც მშვიდად ადევნებენ თვალს ამ ორომტრიალს. ყურზე ხახვის დაჭრის წვენი ჯერ არ იციან და ალბათ იმიტომ.

შაშიაშვილს განადგურებას მართლა უპირებენ?

პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილს, ეჭვი აქვს რომ განადგურებას უპირებენ. მას შემდეგ, რაც „ადამიანი, ვისაც მისთვის საიდუმლო უნდა გაემხილა“, მანქანამ გაიტანა, ბევრი საეჭვო დამთხვევა აღმოაჩინა... და იძულებულმა გუბერნატორმაც ქუთაისიდან დედაქალაქამდე მატარებლით იმგზავრა, ქალაქში კი – მეტროთი. ამაში, პრინციპში, ცუდი სულაც არაფერია, რომ არა ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი. თუ პრეზიდენტის რწმუნებული თავს დაუცველად გრძნობს ჩვენს ქვეყანაში, უბრალო მოქალაქემ რაღა უნდა ქნას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგაში

რუსეთი კოდორის ხეობაში ატომური ნარჩენების სამარხს აშენებს!

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ეწვია. ვიზიტი, სიმართლე გითხრათ, შეძლებისდაგვარად გასაიდუმლოებული იყო. ინფორმაცია, რუსეთი კოდორის ხეობაში ატომური ნარჩენების საცავს აშენებსო, იმთავითვე გაჩნდა. გვჭირდება თუ არა საერთოდ ამგვარი საცავი, ან რა მიზნები ამოძრავებს რუსებს? აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით ვესაუბრებით სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორს — ვალერ კაშიას.

— რა მიზანი ჰქონდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ვიზიტს საქართველოში ა. წ. მაისში?

— ეს ისტორია იწყება 1999 წლიდან, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მიმართა. მიმართვაში ნათქვამი იყო: ჩვენ დაგვიკავშირდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები და გვთხოვეს საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული საშიში რადიოაქტიული ნარჩენების გატანაში დავეხმაროთ.

საქმე იმაშია, რომ ეს ინფორმაცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი, რომელსაც აფხაზი სეპარატისტები რუსეთის სამთავრობო უწყებებთან ერთად ავრცელებენ, არ შეესაბამება სიმართლეს.

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, მართალია, უშუალოდ მონაწილეობდა პირველი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაში, მაგრამ დაახლოებით 60-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთი პრაქტიკულად ჰეგემონი გახდა ამ დარგში და ყველა ის ტექნოლოგია, რაც აუცილებელი იყო ბირთვული ენერგიის წარმოებისათვის, რუსეთში გაიტანა,ჩვენთან ასეთი ტიპის სამუშაოები არ ჩატარებულა.

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში სამუშაოები ძირითადად არატრადიციულ ენერგეტიკაში მიმდინარეობს. ინსტიტუტში, რა თქმა უნდა, არსებობდა როგორც ალფა, ასევე ბეტა გამოსხივების რადიოაქტიური პრეპარატები, მაგრამ ისინი სპეციალურ კოლბებში გვქონდა შენახული და ადგილობრივ მცხოვრებთათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა. ეს შესაბამისი წერილით ვაცნობეთ აფხაზურ მხარესაც. მიუხედავად ამისა, როგორც შემდეგ გაირკვა, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოსდა იქ არსებობს რადიოაქტიური ნარჩენი და ამიტომაც საჭიროა საცავის აგება მისი იზოლაციისათვის.

როგორც ცნობილია, არსებობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, რომელიც განლაგებულია ქ. ვენაში და იგი აფინანსებს ისეთი ტიპის სამუშაოებს, რომელიც დაკავშირებულია რადიოაქტიური ნივთიერებების უტილიზაციასთან და სხვ. აი, ამ ატენსს-ს დახმარებით გადაწყვიტეს აფხაზებმა და რუსებმა სარკოფაგის აფხაზეთში აგება. ჩვენ ხმაური ავტეხეთ, როდესაც ეს დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა. ისინი იძულებული გახდნენ, რადგან საქმე სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს ეხებოდა, მე, როგორც ამ ინსტიტუტის დირექტორს, დამკავშირებოდნენ და ამ თათბირში მონაწილეობა მეც მიმეღო.

— ბატონო ვალტერ, როგორი შემადგენლობით ჩამოვიდა აღნიშნული დელეგაცია?

— ძალიან საინტერესოა, რომ ამ თათბირში მონაწილეობდა დელეგაცია საერთაშორისო სააგენტოდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა წარმოშობით ბასკი ალექსანდრო ბილბაო. ის მშვენივრად ფლობდა რუსულს, რამაც ძალიან გაგვიადვილა ურთიერთობა. იყვნენ აგრეთვე რუსეთის წარმომადგენლები.

ბილბაოს შეკითხვაზე — რა სიტუაციაა იქ? მე განვაცხადე სიმართლე და ვაჩვენე ის აქტი, რომელიც ჩვენ შევადგინეთ 1993 წლის ივლის-აგვისტოში, სადაც ჩამოთვლილია ყველა იმ პრეპარატის სახელწოდება, გამოსხივების საშუალო დოზა, გამოსხივების ტიპი და ყველაფერი, რაც შეეხება ამ გამოსხივების წყაროებს.

მათ მოვახსენე რომ, როდესაც ჩვენ დევნილებად წამოვედით აფხაზეთიდან, მაშინ იქ იყო 244 დასახელების მაიონიზებელი გამოსხივების წყარო, რომელთა საერთო რადიოაქტიურობა შეადგენს 825,13 კიურს. ამასთანავე, განვმარტე, რომ ესენი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. მით უმეტეს, რომ 6 აგვისტოს რუსეთის ტელევიზიით გადაიცა ბატონ მირიხოვის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ცენტრში, კურჩატოვის ინსტიტუტში ინახებოდა 70 ათასი კიურის საერთო რადიაქტიურობის ნარჩენი. თავად განსაჯეთ, ისინი ვერ გაუტანია რუსეთს მოსკოვის ცენტრიდან, თავისთვის ვერ აუშენებია და აფხაზეთში ააშენებდა სარკოფაგს?

— ბატონო ვალტერ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, თუკი ეს ნარჩენები საშიშროებას არ წარმოადგენს და რუსეთი მაინც იჩენს ამ საკითხით განსაკუთრებულ დაინტერესებას, ე. ი. ცხადია, მას გაცილებით უფრო შორსმიმავალი ინტერესი ამოძრავებს?

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, როდესაც რუსეთის წარმომადგენლებთან მქონდა საუბარი და ისინი მეკითხებოდნენ საშიშროების შესახებ, ავუხსენი, თუ ვინმე სეპარატისტი არ გახსნის და არ გამოიღებს ამ რადიაქტიურ ნივთიერებას და არ მიმოაბნევს მას, ანუ არ გააკეთებს დივერსიას, ისე ყოველგვარ საშიშროებაზე საუბარი ზედმეტია-მეთქი.

— უსაფრთხოება რა დონეზე გქონდათ?

— ტექნიკის თვალსაზრისით, ეს პრეპარატები არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. მეტსაც გეტყვით, ეს პრეპარატები ძალიან ძვირადღირებულია. იმდენად დიდია მათი ნახევარდაშლის პერიოდი, რომ შეიძლება გამოვიყენოთ კიდეც ექსპერიმენტების ჩასატარებლად. სხვათა შორის, თათბირზე ერთ-ერთმა რუსმა სპეციალისტმა დასვა კითხვა, გვქონდა თუ არა სათანადო ცნობა, რომ აფხაზი სპეციალისტები რუსეთის წარმომადგენლებთან, ფირმებთან აწარმოებდნენ სარკოფაგის პროექტების თაობაზე მოლაპარაკებებს. მე ვუთხარი, რომ აფხაზებს არ ჰყავთ ამ დარგის სპეციალისტები. ამას აკეთებენ სეპარატისტები და რისთვისაც აკეთებენ, თქვენთვის გასაგებია-მეთქი.

თავის დროზე აფხაზი სეპარატისტები ითხოვდნენ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დახურვას იმ მოტივით, რომ იქიდან გაეტანათ ვითომ ნარჩენები. ახლა რატომ შეიცვალეს აზრი? პასუხი მარტივია: როგორც ამბობენ, უნდათ სარკოფაგი სოხუმიდან აღმოსავლეთით 50 კმ-ში ან გუდაუთაში ააშენონ. უკანასკნელ შემთხვევაში, წინააღმდეგი არა ვარ, მივესალმები, მაგრამ აღმოსავლეთით ამის გაკეთება არ შეიძლება. რადგან იქ არის საკურორტო ზონა. ის სარკოფაგული ტექნოლოგიები, რომლებიც რუსეთშია, არ ეადაგება ამას. თუ მაინცდამაინც სარკოფაგზე იქნება საუბარი, გუდაუთაში არის მიწისქვეშა კატაკომბები და შეიძლება ისინი გამოყენებულ იქნას ნარჩენების შესანახად. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამის აუცილებლობა არ არის. საქმე იმაშია, რომ მათ უნდოდათ სარკოფაგის ასაშენებლად კოდორის ხეობა შემოეთავაზებინათ. ცნობილია, რომ აფხაზეთში მთელს ტერიტორიაზე არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. დააფიქსირებდნენ იქ სარკოფაგისათვის განსაზღვრულ ტერიტორიას და შემდეგ რუსეთის მშვიდობისმყოფელებს მოსთხოვდნენ, აი, გაათავისუფლეთ ეს ტერიტორია, სარკოფაგის შენებლობაა გამიზნული. ის არის შორს გამიზნული მოქმედება და მას ჩვენი მტერი თავისავე საწინააღმდეგოდ იყენებს.

— რა რადიოაქტიური მასალები ინახება სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში?

— 1997 წელს ჩამოსული იყვნენ არამედ კონტეინერების ზომები, თუ რა პირობებში ინახება და როგორი ტიპის გამოსხივება აქვთ.

— ატენსს-თან შეთანხმების გარეშე რუსეთის სამინისტროს ჰქონდა თუ არა უფლება საქართველოს ხელისუფლებისგან ოფიციალური ნებართვის გარეშე მოემზადებინა რადიოაქტიული გამოსხივების წყაროების საცავის პროექტი კოდორის ხეობის მითითებით?

— რა თქმა უნდა, არა. ვერ გეტყვით, ინფორმაცია ზუსტია-მეთქი, მაგრამ, როგორც მითხრეს, ახლა, როდესაც ჩანაფიქრი არ განუხორციელდა რუსეთს და საქართველოს მხარემ განაცხადა, თუ აუცილებელია სარკოფაგის გაკეთება, გავაკეთოთ აღმოსავლეთ საქართველოშიო, რუსებმა მოისურვეს ორგან გაეკეთებინათ. ამის გამკეთებლები ისინი არ არიან. ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია. სხვათა შორის, როდესაც დამიკავშირდნენ მოსკოვიდან ატომური ენერგეტიკის სამინისტროდან და მკითხეს საიდან გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მზარე სარკოფაგების თაობაზე რუსეთის მხარესთან აწარმოებს მოლაპარაკებებსო. ვუპასუხე: აფხაზური მხარისგან-მეთქი, დეზინფორმაცია ხომ არ არისო. რუსული მხარე ტელევიზიითა თუ რადიოთი საქართველოს შესახებ ყოველთვის გადმოსცემს დეზინფორმაციას და ხშირად გვიწევს თავის მართლება. თქვენც ჩათვალეთ, რომ დეზინფორმაციაა და თავი იმართლეთ-მეთქი. ხომ სწორია?

— გეთანხმებით. ბატონო ვალტერ, მოგეხსენებათ, რომ ატენსს-ი გაეროს სტრუქტურა-წესდებით არაპოლიტიკური ორგანიზაციაა. ე. ი. არა აქვს უფლება ჩაერიოს წევრი ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში.

— და არც ერევა. მისგან განსხვავებით, რუსეთი ქვეყანაა, რომელიც ყველაფერში ერევა და მისი წარმომადგენლებიც ძველი მენტალიტეტით მუშაობენ. ესაა ამის თავი და თავი, როცა რუსეთის მხარე ამ საკითხზე მუშაობდა, მას მხედველობაში ჰქონდა ორი ქვეყანა: აფხაზეთი და საქართველო. ჩვენ უნდა მივიღოთ ისე, როგორც სინამდვილეშია მიღებული: არის საქართველო და არის მისი ერთ-ერთი კუთხე — აფხაზეთი...

— საცავის ეს პროექტი არის თუ არა მსგავსი იმ 12 საცავისა, რომელიც რუსეთმა ააშენა საბჭოთა პერიოდში რფ-ს ტერიტორიაზე. ერთი მათგანი, თუ არ ვცდები, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და ეკოლოგიურად ძალზე საშიშ მდგომარეობაშია.

— მოგახსენებთ, რომ მე თვითონ ვმონაწილეობ საერთაშორისო სამეც-

გაგრძელება მე-11 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფსკრულის პირას

„გამსახურდიამ შეძლო, დაეცხრო აფხაზ სეპარატისტთა ვნებები, მაგრამ...“

აფხაზეთის ტრაგედიამ რვა მწუხარე წელი მიითვალა. ამ ხნის მანძილზე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხელისუფლების მხრიდან თითქმის არ გადადგმულა არც ერთი სერიოზული ნაბიჯი. უსასრულოდ გრძელდება და მთელ პოლიტიკურ სერიალს ქმნის უშედეგო პოლიტიკური შეხვედრები და დიალოგები...

დამარცხებიდან დღემდე ბევრი ითქვა და დაიწერა ამ ომის ხარვეზებზე. მერამდენედ ვახსენებთ ერთმანეთს ომში დაშვებულ შეცდომებს, თუმცა, მაინც ბუნდოვანი რჩება პასუხი კითხვაზე: რატომ დავკარგეთ აფხაზეთი? კვლავაც გაურკვეველია, რა გველის მომავალში.

ენგურის გაღმა-გამოღმა დარჩენილ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან მისასვლელი ხიდი ჩაგვიტეხეს და ახლა ამაოდ შევცქერით მის გამთლიანებას...

ჩვენდა სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ მივუჩინეთ ადგილი, ვერ გამხილეთ ომში დამნაშავე, თავთავისი სახელი ვერ დავარქვით მოვლენებს და სავალალო შედეგიც უკვე სახეზეა...

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით გვესაუბრება ლეიბორისტული (შრომის) პარტიის პოლიტიკური მდივანი, საერთაშორისო იურიდიული ბიუროს პრეზიდენტი, ცნობილი იურისტი ***ავთანდილ ტყებუჩავა.***



— ბატონო ავთანდილ, რა იყო მიზეზი აფხაზებთან ჩვენი ურთიერთობის გამწვავებისა და იმ ცნობილი მოვლენებისა, რაც ჩვენი ერის ისტორიაში უახლოეს წარსულში მოხდა და დღესაც გრძელდება თავისი სამწუხარო შედეგებით?

— ქართველი მეცნიერების მხრიდან კოლხეთის ისტორიის გაყალბებამ და ინალის შთამომავლების აბორიგენ აფხაზებად გასაღებამ, ხოლო კომუნისტების პერიოდში თვით ედუარდ შევარდნაძის მხრიდან აფხაზების მიმართ თავზე ზედმეტად ხელის სმამ (დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გახსნა, ტელევიზიის გახსნა და სხვ.), აფხაზ უხუცესებთან უსაფუძვლოდ ხშირმა შეხვედრებმა ვასილ მჟავანაძის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, თავისი შედეგები გამოიღო. კერძოდ, სეპარატისტ აფხაზებს ვ. არძინბას, ბ. კეხირიფას, რ. იაზიჩბას და სხვებს, რუსეთის სპეცსამსახურების წაქეზებით უბიძგა ძირძველი კოლხი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ქართულ მიწაზე შეექმნათ თავიანთი სეპარატისტული სახელმწიფო.

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისი პრეზიდენტობის დროის მცირე მონაკვეთში შეძლო დაეცხრო აფხაზ სეპარატისტთა ვნებები, თუმცა ეს პერიოდი ხანმოკლე გამოდგა, ვინაიდან კანონიერი პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და ადგილობრივი ხელისუფლება პუტჩისტების მიერ იარაღის ძალით იქნა დამხობილი. შეიქმნა ჯერ სამხედრო საბჭო, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭო ძალადობით მოსული ცნობილი პიროვნებების შემადგენლობით.

სწორედ ამ მიზეზებმა გააძლიერეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მუხტი თარგამოსის უმცროსი ვაჟიშვილის ეგროსის შთამომავლებს შორის. მათ შეუერთდნენ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის ეროვნული ნაწილი, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე და მათ შორის ქ. სოხუმში, სისტემატურად მართავდნენ მშვიდობიან მანიფესტაციებს, მიტინგებს, გაფიცვებს და მოითხოვდნენ ქართველი ერის მიერ არჩეული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს — უზენაესი საბჭოს ფუნქციების აღდგენას და კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნებას სამშობლოში.

სწორედ ეს იდეები ეწინააღმდეგებოდა კოსმოპოლიტი მამების გეგმას — საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და პატრიოტული ცნობიერების ამოშლის იდეას, რაზედაც მათ სამხედრო გადატრიალების დროს მრავალი მილიონი დოლარი ჰქონდათ დახარჯული. ამიტომაც, ისევ ამ კოსმოპოლიტი მამებისა და მათი „ბრძენკაცების“ მითითებით მოუწყვეს გენოციდი ქართველ ხალხს — კოლხ მოსახლეობას.

— ბატონო ავთანდილ, დღეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი ვ. არძინბას მიერ ომამდე ერთ-ერთ სესიაზე ქართველებისადმი მიმართვა: „ჩვენ თქვენ გაიძულებთ, აფხაზებს გვესროლოთ“. მასვე ეკუთვნის სიტყვები: „ომს თავად ქართველებს დავაწყებინებთ. ქართველების წინააღმდეგ ომი აფხაზ მცირე ერს აღიარებას მოუტანს, მსოფლიო აღიარება კი დამოუკიდებლობას“.

როგორც ჩანს, მან მიზანს თითქმის მიაღწია...

— 1992 წელს დასავლეთ საქართველოში რკინიგზის მაგისტრალების დაცვის მომიზეზებით ჯერ შვიდჯერ დაილაშქრა (დაყაჩაღდა) სამეგრელოს მოსახლეობა, ხოლო შემდეგ, ამავე მოტივით, პროვოცირებულ იქნა ომი აფხაზეთში.

არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა აფხაზეთში შესვლა და ტანკებითა და ბეტეერებით ოჯახების დაყაჩაღება, უდანაშაულო მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფა. თუკი ვინმე ძარცვავდა რკინიგზას, კონკრეტულად მათ მიმართ უნდა მიღებულიყო საჭირო ზომები. დაეკავებინათ და გაესამართლებინათ ისინი კანონით მიღებული წესით. ეს არ გააკეთა ფაქტობრივმა ხელისუფლებამ. ასევე არ გაითვალისწინა ისიც, რომ აფხაზების უკან რუსეთის ინტერესები იდგა და იგივე ეშერის ლაბორატორიას, გუდაუთის სამხედრო ბაზას, გაგრა-ბიჭვინთას თავისი მიუსერის უნიკალური საპრეზიდენტო დასასვენებელი კომპლექსით, თბილისიდან წამოსულ ათასი ჯურის ნაძირალას არავინ დააყაჩაღებინებდა (ჩვენ ჰატივს მივაგებთ ყველა ქართველ და აფხაზ მეომარს, რომლებიც ჰატრიოტული სულისკვეთებით უსამართლოდ დაეცნენ ამ ძმათამკვლელ უაზრო ომში). მიუხედავად ამ უაზრო ომში სამარცხვინოდ დამარცხებისა — მოსახლეობის აწიოკებისა, ესეც არ აკმარეს მშვიდობიან მოსახლეობას, ხელოვნურად გადაუღობეს გზა სამეგრელოსკენ, ბინძურად შეეთითხნეს მეგრელების ღალატის იდეა და საკუთარი ოჯახებიდან აყრილი მშვიდობიანი ხალხი გამოატარეს გოლგოთას გზაზე, სადაც არაერთი მათგანი, მათ შორის მცირეწლოვანებიც დაიღუპნენ, ხოლო მრავალი პირწმინდად იქნა დაყაჩაღებული ავაზაკების მიერ.

დღეს კი, ხელისუფლების მიერ ხელოვნურად გაუბედურებულ ხალხს სამათხოვრო ლუკმა-პურის საფასურს ამადლიან და იმასაც არ აძლევენ. არაფერს ვამბობთ იმ ცინიკურ საყოფაცხოვრებო პირობებზე, როგორშიც მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ნაწილის — კოლხეთის შვილები იმყოფებიან დღეს.

ისმის კითხვა: რატომ არ სჯის დღევანდელი ხელისუფლება ამ სამარცხვინო ძმათამკვლელი ომის ინსპირატორებსა და სამხედრო ხელმძღვანელებს? — იმიტომ, რომ თვითონაც ბევრ რამეში იქნება მხილებული.

აქედან დასკვნა: აფხაზეთი რუსეთს ჩაბარდა ეროვნული მოძრაობის მიერ ხელისუფლების აღდგენის შიშით, ანუ კოსმოპოლიტიზმის იდეას პლანეტარული მმართველობის შესახებ, ანაცვალეს აფხაზეთი, ხოლო თვითონ შეინარჩუნეს თავიანთი სკამები. რაც დროებითია, რამეთუ, „არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გამჟღავნდება“ და დამნაშავეები საკადრისად დაისჯებიან ღმერთისა და ქართველი ერის მიერ.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— ადგილობრივი, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ქართველი ერისათვის მისაღები საარჩევნო კანონით დაუყოვნებლივ ჩატარებაში და ღირსეული ადამიანების არჩევაში დეპუტატებად საქართველოს ყველა რაიონში, ქალაქში და მოქკავშირის მონსტრის მხილებაში.

— ბატონო ავთანდილ, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში

გაგრძელება მე-6 გვერდზე

რეცეპტი

ანტიკორუფციული ვაქცინა სკოლებში

კორუფცია, როგორც უკურნებელი სენი, მყარად მოედო ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენას. მისი ძირფესვიანად ამოძირკვის შესახებ საუბრები კარგა ხანია, მიმდინარეობს, თუმცა დღემდე ნაბიჯიც კი არ გადადგმულა ამ მიმართულებით. როგორც ჩანს, ჩვენი ცნობიერება ამისათვის მზად არ არის. ასაკში შესულ ადამიანს, რომლის ფსიქოლოგია კორუმპირებულ საზოგადოებაში ყალიბდება, კორუფციის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად ეჩვენება. კორუფცია ბატონობს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, შინ და გარეთ, ქუჩაში და სახლში.

ელემენტარულად, წესრიგის დამრღვევს პოლიციელისთვის ჯარიმის ნაცვლად მისი ნახევრის „სამართალდამცავის“ ჯიბეში ჩადება ურჩევნია, ზედმეტად წვალებას, ხარჯს და დავიდარაბას. მაგალითების მოყვანა უკვე აზრს კარგავს. კორუმპირებული ფსიქიკა მკურნალობას არ ემორჩილება. გამოსავალი, ალბათ, ანტიკორუფციულ ვაქცინაშია, რომელიც ანტიკორუფციულ იმუნიტეტს მოგვცემს. აცრა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ადრეული ასაკიდან იძლევა შედეგს. ანტიკორუფციული „აცრა“ ბავშვებში, როგორც ფაქტებმა აჩვენა, სიცილიაში საკმაოდ ქმედითი აღმოჩნდა. თაობა, რომელმაც ბავშვობიდანვე შეითვისა ანტიკორუფციული აღზრდის კურსი, მთლიანად დაუპირისპირდა მაფიას და მისი დამარცხება შეძლო.

„ანტიკორუფცია და ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგოდ აღზრდის კურსი“ ზოგიერთ ქვეყანაში სკოლებში იკითხება როგორც ახალი საგანი. იგი სამართალმცოდნეობას ფსიქოლოგიური თვალთახედვით განიხილავს.

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს განათლების სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სტრატეგიის დაგეგმარების ჯგუფი ეწვია. პროფესორებმა სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგში ოთხდღიანი სემინარი ჩაუტარეს ახალი საგნის პედაგოგებს.

— საგანი ისე ისწავლება, რომ თვით პედაგოგებისთვის გახდეს უცხო და მუდმივი კორუფციაში მონაწილეობა. ამერიკელებმა აღნიშნული კურსი სიცილიაში, მექსიკასა და უკრაინაში ჩაატარეს. სწორედ უკრაინაში მიღებულმა გამოცდილებამ გვიბიძგა, ისინი ჩვენთანაც მოგვეწვია.

სემინარზე ინსცენირებული გაკვეთილი ჩატარდა. კონკრეტული პიროვნების და განსაკუთრებული მოვლენის შეფასება მოხდა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ანალოგიური იქნება საგნის სწავლებაც სკოლაში. ბავშვები რომელიმე პიროვნებასთან გააიგივებენ თავს. მონაფეები შესაბამისად გადანაწილდებიან ფასეულობების მიხედვით. თუ მოსწავლე კრიმინალურ ფასეულობებს იზიარებს, მასთან განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო.

ამერიკელებს დიდი იმედი აქვთ, რომ კორუფციის წინააღმდეგ ეს მძლავრი იარაღი იქნება. ჯერ ეს საგანი 17 სკოლასა და გიმნაზიაში დაინერგება, წლის ბოლოს კი ამ სკოლების მაგალითზე განზოგადებული მოდელი მოიძებნება, რომელიც მომდევნო სასწავლო წლიდან ყველა სკოლაში დაინერგება

— გვითხრა განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა **გია კუპრავამ.**

როგორც ვხედავთ, იდეა არც ისე ცუდია. ბავშვს ორი მეგობარი მაინც ჰყავს, ჰყავს აგრეთვე მშობლები. ასე წამოწყებული საქმე ტალღისებურად შეიძლება ათ კაცს გადაეცეს. როცა მოსწავლე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდება, თავის სიტყვასაც იტყვის.

— ჯერ საჭიროა მასწავლებელმა გაიცნობიეროს, რა უნდა ასწავლოს და როგორ მიიტანოს მოსწავლეებამდე სათქმელი. პროგრამა დაყოფილია ოთხ ნაწილად: 1. ღირებულებები და კანონიერება; 2. კულტურა და კანონიერება; 3. დანაშაული და კორუფცია; 4. კანონიერების დამკვიდრება. ეს პროგრამა ძირითადად კანონიერების კულტურის დამკვიდრებას ითვალისწინებს ახალგაზრდებში. შედეგი დღესვე არ იქნება, მაგრამ მთავარია დავიწყოთ, ბავშვი მივიყვანოთ იქამდე, რომ გადაწყვეტილების მიღება შეძლოს, კრიტიკული აზროვნების უნარი გამოუმუშავდეს. მოსწავლე ნეგატიურად უნდა განეწყოს როგორც დანაშაულებრივი ღირებულებების, ასევე კორუფციის მიმართ და როგორც ჭეშმარიტი მოქალაქე, პირადად უნდა იყოს დაინტერესებული კანონიერების დამკვიდრებით. მას ეს თავის უპირველეს მოვალეობად უნდა მიაჩნდეს — ამბობს მე-3 გიმნაზიის პედაგოგი **ხათუნა ბურჭულაძე.**

— კორუმპირებულ მასას ობიექტური ეკონომიკური საფუძველი აქვს. ულარბეს ქვეყანაში კორუფციას ვერ მოვსპობთ, ისევე როგორც მშიერ ძაღლს ვერ შეაჩერებ საკვების მიტაცებისას. როცა უხელფასო ადამიანს ხელში „მოგებიანი თანამდებობა“ უვარდება, პატიოსანიც რომ იყოს, ვიღაც მაინც დაიყოლიებს და გასვრის. ასაკში შესული ადამიანის გარდაქმნა, ცხადია, შეუძლებელია, მისი ფსიქიკა კორუმპირებულ საზოგადოებაში კორუმპირებულადაა ჩამოყალიბებული. წამოწყებული ღონისძიება, ანტიკორუფციული საგნის სკოლაში სწავლება, ბავშვის ცნობიერებას სწორ მიმართულებას მისცემს. თუ იგი ერთხელვე ბავშვს სისხლში გაუჯდა, ცხადია, შედეგი მაღალი იქნება — ასე ფიქრობს ფსიქოლოგი **გიორგი მჟედლიშვილი.**

დიახ, ალბათ, ყველაფერი მაინც ჩვენს ფსიქიკაში დევს და სისხლში გვაქვს გამჯდარი...

ამერიკელები ამტკიცებენ, რომ შავი ბაზრის ნებისმიერი ხერხით დამარცხება შეუძლებელია, გარდა ერთისა. მოსახლეობას უნდა ვაჩვენოთ, სად არის შავი ბაზარი და დავარწმუნოთ, რომ იქ შეძენილ საქონელში გადახდილი თანხა კრიმინალურ და კორუფციულ წრეებს ამაგრებს. თუ კატეგორიულად შეწყვეტთ მათ მიერ გამოტანილი პროდუქციის შეძენას, ისინი დაინებებენ თავს მათ გასაღებას, მაგრამ ეს მათაც რომ სისხლში აქვთ გამჯდარი?!

სალად მოაზროვნე, „წმინდა სისხლის“ თაობის აღზრდა მეტად საშური საქმეა, ამ ეტაპზე შედეგებზე საუბარი კი, ცხადია, ნაადრევია. „წინელებს ხომ შემოდგომაზე ითვლიან“ „ალდგომა და ხვალეო“- ხვალის იმედიღა დაგვრჩენია. იმედი ყველაზე გვიან კვდება!

ირმა ურბეხაშვილი

ეროვნული ფიზიკოსები

თვალსაზრისი

ეროვნული ძალები ერთიანდებიან

2/VIII 2001 წელს პარლამენტის წინ შეიკრიბა ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების რამდენიმე ძირითადი პარტიის წარმომადგენლობა და პარლამენტს დაუფიქსირა, რომ ყალბი საარჩევნო კანონის მიღებას (რაც იმ დროს პარლამენტში ხდებოდა) მოჰყება არა უზურპატორთა (ე. ი. „მოქალაქეთა კავშირის" და შევარდნაძის) ხელისუფლების გაგრძელება და მარადიულყოფა, არამედ სულ სხვა რამ. („ჩვენ არ ვართ გულუბრყვილონი და არ ვფიქრობთ, რომ მგლების თავზე სახარების კითხვა ან ღორების თავზე ჰიგიენის სახელმძღვანელოს კითხვა შედეგს მოიტანს. თქვენ მიიღებთ საარჩევნო კანონს, რომელიც მმართველ პარტიას არჩევნების სრული გაყალბების საშუალებას აძლევს, და უგულებელყოფთ ჩვენ მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს. მაგრამ თქვენი ამ ავკაცობის შედეგს ვერ მოიმკით").

დემონსტრანტები სულ 200-იოდე სული იყვნენ (რაც მორჩილმა მასმედიამ „ტროპიკულ სიცხეში გამოსულ 50 კაცად" გააფორმა). ესენი იყვნენ მერაბ კოსტავას ახალი საზოგადოება („მერაბ კოსტავას საზოგადოება – ახალი გზა"), „ეროვნულ ძალთა გაერთიანება", „თეთრი გიორგის საზოგადოება", „ვეტერან სპორტსმენთა საზოგადოება", „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", „სახალხო ფრონტი" და ინდივიდუალური პირები.

საყურადღებოა, რომ ხელისუფლებამ იჩქარა, მეორე დღესვე შეყარა მეტ-ნაკლებად ანგაჟირებულ მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ და ეროვნულ პარტიათა ლიდერები და დემონსტრანტთა მიერ ამ დღეს ბუნებრივად გამოყენებული ტერმინის – არასაპარლამენტო ეროვნული პარტიები" – ამ ჯგუფზე დაფიქსირებას ეცადა.

„გამსახურდიამ შეძლო დაეცხრო აფხაზ სეპარატისტთა ვნებები. მაგრამ..."

მე-5 გვერდიდან

ასეთ არჩევნებზე საუბარი, ცოტა არ იყოს, შეუძლებელიც ჩანს. ბუნებრივია, ამას არ დაუშვებს არსებული ხელისუფლება. რის მიღწევას აპირებთ?

– საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია ბოლომდე მიიყვანს თავის დაწყებულ საქმეს სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოში და მიაღწევს იმას, რომ უკანონოდ იქნეს ცნობილი საქართველოს კანონი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ. სწორედ ეს აიძულებს დღევანდელ ხელისუფლებას საერთო-სახალხო განხილვის წესით საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ჯანსაღ ძალასთან ერთად მიიღოს რეფერენდუმის გზით ქართველი ერისათვის მისაღები საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კანონი. ხოლო ეროვნულმა ძალებმა უნდა უზრუნველყონ ამ კანონების თანახმად ღირსეულთა შორის ღირსეულების არჩევა. იმედია, ისინი დადებითად გადაწყვეტენ როგორც აფხაზეთისა და შიდა ქართლის, ასევე საქართველოს ყველა პრობლემას.

და ბოლოს, მინდა საქართველოს მთელ მოსახლეობას მოვუწოდო, რომ იბრძოლონ ჭეშმარიტი სარწმუნოების – ქრისტიანობის გადასარჩენად უსჯულოებისა და ბინძური სექტებისაგან.

ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, რამეთუ ღმერთი ჩვენთანაა!

მარი ჩიტაია

აგენტურა შეტევაზე მოდის

საქართველოს მდგომარეობამ კარგა ხანია მიაღწია იმ ზღვარს, რომლამდისაც ქვეყნის მიყვანა შეუძლია მის სათავეში მდგომ მტერს თავისი გუნდითურთ მანამდე, სანამ მოსახლეობა მის ჭეშმარიტ ვიანობას შეიგნებდეს. ახლა კითხვა ასეა დგას: რომელი დამანგრეველი გეგმის განხორციელებას – ანუ რის დაშვებას – მოასწრებენ შევარდნაძე და მისიანები იმ ხნის მანძილზე, რაც სათავეში დარჩებიან, და რომლისას – ვერა.

ცნობილია – და კარგა ხანია, საჯაროდ ნათქვამიცაა – რომ შევარდნაძის უკანასკნელი დავალება რუსეთისაგან ის არის, რომ ხელისუფლება გადასცეს რუსეთის ღია აგენტურას, რათა საქართველო რუსეთ-უკრაინის კავშირში და რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ სივრცეში შეიყვანონ (ფარული აგენტურა, როგორიც შევარდნაძე და „მოქალაქეთა კავშირია", ამას ვერ გააკეთებს, რადგან ამით გამოჩნდება, რომ საქართველოს ეკონომიკური და სხვა ნგრევა მათი დავალება ყოფილა). ეს გადაცემა უნდა მოხდეს ან პროპაგანდისა და გოგუაძე-ვიორგაძეების ხროვის სასარგებლოდ არჩევნების გაყალბების გზით, ან შეიარაღებული გადატრიალების გზით. რომელ გზას აირჩევს ჩრდილოელი მეზობელი ამ ორიდან, ჯერ არ ჩანს. მაგრამ ორივე ამ გზას რომ, ჯერჯერობით, ღიას ინახავენ, ეს ნათლად ჩანს. ეს სქემა მოიცავს საქართველოში ამ ბოლო დროს განვითარებულ არა მხოლოდ ზოგიერთ, არამედ ყველა უცნაურ მოვლენას.

პანკისის ამბები

შინაგან საქმეთა მინისტრს თარგამაძეს რომ რუსული ტელევიზია უცხადებს, იგი გვეთანხმება ჩეჩნეთის წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიიდან ერთობლივი ოპერაციის ჩატარებაზეო, და თარგამაძე რომ ამას კატეგორიულად არ უარყოფს, ეს საკმარისი მოწმობაა იმისიც, რომ ასეთი განზრახვა არის, და იმისიც, რომ თარგამაძე ამ გეგმის ერთ-ერთი მოქმედი ფიგურაა. მართლაც, ასეთ შემთხვევაში შს მინისტრი დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს. მაგრამ იგი არ იცვლება, რაც ზემოხსენებულ გეგმაში შევარდნაძის მონაწილეობასაც მოწმობს. მართლაც, საქართველოს ძალოვან სამსახურთა მთელი მოქმედება პანკისის ზონაში წლების მანძილზე (ქართველი მოსახლეობის შევიწროებისა და ნარკოვაჭრობის უკონტროლო დაშვება და ხელშეწყობა, „ჩეჩენი მეომრების" რიცხვის პანიკური გაბუქვა, ერთის მხრივ, რასაც „რუსთავი 2" ეწევა, და ამ მართლაც ჩიხში მომწყვდეულ ადამიანებთან მყარი პოზიციის ვერგამონახვა, მეორეს მხრივ, და მრავალი სხვა რამ) იმას მეტყველებს, რომ მიზანია ქართულ-ქისტური დასახლების ამ პატარა ზონაში არა მხოლოდ პრობლემის შექმნა, არამედ მისი ინტერნაციონალიზაციაც, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში მოხდა. სახელდობრ, გეგმით (რომელსაც საქართველოს მარიონეტული ფსევდოხელისუფლება მორჩილებად ატარებს) ჯერ თოფი უნდა გავარდეს, შემდეგ „მემშვიდობედ" რუსი უნდა მოვიდეს, შემდეგ ამ „მემშვიდობის" ხელში, საერთაშორისო ორგანიზაციათა სახელით, მეტი და მეტი ფუნქციები უნდა გადაეცეს, და, დასასრულ, იმ რუსს უნდა ეთქვას, ახლა შენ წადი, დაისვენე, და შენს „სამშვიდობო" ფუნქციებს ჩვენ, – სხვა სახელმწიფოები შევას-

რულებთო. რატომ მოსწონს რუსს ეს გეგმა, ნათელია: იგი ფიქრობს, დღეს აქ ჩავდგები და ჩეჩნეთის გადაუჭრელ პრობლემას მოვიგვარებ, ხვალ კი ვნახოთ, რა იქნებაო. „სხვა ქვეყნების" პოზიციაც ნათელია: ფეხის მოსაკიდს ვნახავ და, თუ ვნახე, მერე დიდხანს აღარ დავკარგავ, რადგან ჯერჯერობით – მადლობა ღმერთს – მსოფლიოში ჩემი ამინდიაო. ერთადერთი, ვინც არ ფიქრობს, საქართველოს მარიონეტი ხელისუფალნი არიან, რადგან მათ მხოლოდ დავალების შესრულების უფლება აქვთ დატოვებული და არა ფიქრისა.

შევნიშნოთ. პირველი: ჩვენ ჯერ არ ვიცით, ძლევამოსილი დასავლეთის ნების განმასახიერებლად და გამტარებლად აღმოსავლეთში როდის ვინაა ნაგულისხმევი – ამერიკული ნაწილი, ევროპული თუ თურქული? მეორე: ქართველი მოსახლეობისა და ქისტი მოსახლეობის მყარი და ბრძენი ნება, რომელმაც, ჯერჯერობით, თოფის გავარდნა არ დაუშვა, დიდი პოლიტიკისათვის შედარებით მცირე ფაქტორია. ამიტომ გარდუვალია, რომ პანკისის ხეობაში რუსული აგენტურის პროვოკაციები და ქართული მარიონეტული სტრუქტურების მიერ მათი ხელშეწყობის გაგრძელება უფრო მწვავე, ულმობელ სახეს მიიღებს.

გ. სანაიას მკვლელობა

ამ დაახლოებით ერთი თვის წინ რომ თავის სადარბაზოში დემონსტრაციულად თავს დაესხნენ ნუგზარ წერეთელს, დეპუტატ გ. წერ-

ეთლის მამას, და ეს შემთხვევა ქვეყანას აცნობეს, მაშინვე გაკეთდა ამ „დანაშაულის" დიაგნოზიც და მასთან დაკავშირებული პროგნოზიც. დიაგნოზი ასეთი იყო: ნ. წერეთელს მისი თაობა იცნობს, როგორც უდროოდ დაღუპული ბრწყინვალე ქართველი მწერლის გ. რჩეულიშვილის (1934-1960) მეგობარს. მას თავს დაესხნენ მაშინ, როცა იგი გ. რჩეულიშვილის დაბადების დღიდან მოდიოდა. ეს თავდასხმა ორგანიზებულია გახმაურების, საზოგადოების თვალწინ მოქალაქის დაუცველობის დემონსტრირების, „რასაც უნდათ, მიზამენ" ცნობიერების დანერგვის მიზნით. პრონოზი კი ასეთი იყო: იწყებენ დემონსტრაციული ტერორის კამპანიას. მოკლავენ ისეთ პირებს, ვინც ცნობილნი არიან, მაგრამ არ არიან დღეს ხელისუფლებისთვის მოძიძგილავე რომელიმე კონკრეტული ხროვის წამყვანი წევრები (დასახელდა რამდენიმე პირი). მართლაც, ამის შემდეგ მოიკლა ვაკეში და ვერაზე ძალიან კარგად ცნობილი კაცი ამირან დუმბაძე. შემდეგ მსხვერპლად შერჩეულ იქნა გ. სანაია, რომელსაც ტელემაყურებელი იცნობდა და გამორჩეული სიმპათიით ეკიდებოდა. ეს მსხვერპლი უკანასკნელი არ არის. „დემონსტრაციული ტერორის" სავარაუდო ტემპია ერთი ცნობილი კაცი ერთ თვეში. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ მისი შემკვეთი და შემსრულებელი „ხურდას" არ მიიღებს იმის მხრიდან, ვინც ამ ტერორის საგანია – საზოგადოებისა და მისი ჯერჯერობით პრაქტიკულად არარსებული აქტიურად ორგანიზებული ნაწილის მხრიდან.

არჩევნების დათრგუნვა

პარლამენტმა რომ 1999 წლის აგვისტოში ახალი საარჩევნო კანონი მიიღო, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება ზევიდან, რადგან ეს კანონი მმართველ პარტიას არჩევნების ტოტალური (სრული) გაყალბების საშუალებას აძლევს. მართლაც, ამ კანონის შესაბამისად გაყალბდა 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რის შედეგადაც დღეს საქართველოს უზურპატორი პარლამენტი და ასეთივე პრეზიდენტი ჰყავს. ეს ღიად და გამომწვევად ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობა – და, გარდა ამისა, ქალაქების მერთა და რაიონების გამგებელთა დანიშვნის ნორმა – კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საჩქაროდ („გააძვრინეს" გ. სანაიას მკვლელობის ფონზე) 2001 წლის 2 აგვისტოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველთა ხროვამ ხელი აიღო დემოკრატიის სიმულაციაზე, რაც, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ მან ხელი აიღო ხელისუფლებაში ხანგრძლივად დარჩენაზე და ორიენტაცია მოვლენათა სხვა განვითარებაზე – ხელისუფლებიდან წასვლამდე რაღაც ნაბიჯების გადადგმის მოსწრებაზე – აიღო.

რას აპირებენ

ქართველი მასის დათრგუნვაში შიშის გზით (სიტყვა „ტერორი" კი მხოლოდ შიშს ნიშნავს) დღეს, უშუალოდ, დაინტერესებულია რუსეთი და პირადად მისი პრეზიდენტი, რომელსაც ჩეჩნეთის დაჩოქება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ ამავე დროს პირად პრობლემებად აქვს. მას დასავლეთისგან მიცემული აქვს იმდენი თავისუფლება, რომ თავისი პირადი ინტერესიც და რუსეთის შოვინისტური ინტერესიც თავისი იმპერიული პოტენციალის სრული მობილიზაციით დაიცვას. ამიტომ, – ვიმეორებთ – ჩვენ ქვეყანაზე შემოტევა მზარდი სიმწვავით გაგრძელდება. ამ გაგრძელებაში შედის ღია კომუნისტურ-პრორუსული გადატრიალების ორგანიზება სექტემბერ-ოქტომბერში, რისთვისაც უკვე იწყებენ ღიად გამოსაჩენი კადრის ძებნას და მხარდამჭერთა „დაბეგვებას" გაჭირვებით გამწარებულსა და შევარდნაძის გუნდის მიმართ სამართლიანი სიძულვილით შეპყრობილ ადამიანთა შორის (თავისი მალული ბირთვი რომ ჰყავთ, ეს ხომ ცხადია). მაგრამ, მეორეს მხრივ, პუტინის უფებამოსილებები მსოფლიოს მხრიდან შეზღუდულია. იგი ვერ ინავარდებს და თავის შოვინისტურ ინსტინქტებს ვერ ანავარდებს იქ, სადაც ეს პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის დასავლეთის ძირეულ გეოსტრატეგიულ ინტერესებთან. დასავლეთ-აღმოსავლეთის გზას, რომელიც ამიერკავკასიაზე გადის, მას არ გადააკეტინებენ. გუდაუთის ბაზას მას გააყვანინებენ და საქართველოს სათავეში მოკალათებულ ფინიებს ამაში ისევე არ ექნებათ არანაირი დამსახურება, როგორც არა აქვთ სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებაში ამ ბაზის გაყვანის შესახებ. პრორუსულ კომუნისტურ გადატრიალებასაც არ დაუშვებენ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ არ დაუშვებენ არც მის მცდელობას, სისხლის დაღვრას, უქართველებო საქართველოს შექმნას და ნიადაგის მომზადებას ამ ტერიტორიის განხილვისათვის როგორც პოლიტიკის მხოლოდ ობიექტისა, და არა სუბიექტისა!

დასკვნა ნათელია: ქართველი ერის მიზანია, საჩქაროდ შეიქმნას ისეთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც ძალუძს – გულით, კუნთითა და ტვინით – რომ საქართველოს „მე" იყოს. ასეთი სუბიექტი, პრაქტიკულად, საქართველოს ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ ძალთა კავშირია. იგი შექმნის გზაზეა და უკვე მოქმედებას იწყებს, ჯერჯერობით – მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. ამიტომაცაა, რომ წითელ-ფერადი მარიონეტები ჩქარობენ „არასაპარლამენტო ოპოზიციის" სახელით ეკრანზე გამოაჩინონ დიდი ხნის ანგაჟირებული პარტიები (როგორც 3 VII გამოაჩინეს), რომლებსაც მხოლოდ ის მომავალი აქვთ, რომ ფეხებში გაებლანდონ ბრძოლის ნამდვილ მხარეებს და ფართო მასას თვალწინ ბურუსი შეუქმნან.

დღეს რეალობა ძალიან მკაცრია. არჩევანია „სახელოვანი სიცოცხლე თუ სამარცხვინო სიკვდილი". მსოფლიოს პოლიტიკური ამინდი ჩვენთვის ძირითადად ხელსაყრელია, შინაგანი მტერი (მარიონეტი ხელისუფლების სახით) – მიხრწნილი და უძლური. ჩვენი ამოცანა არის არა ნეგატიური (იმ მიხრწნილის ხელის წაკვრა), არამედ პოზიტიური: ესაა საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი სტრუქტურების შექმნა მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ, ანუ ისეთ პირობებში, როცა გარეშე და შინაგანი მტრის, მათ შორის – შევარდნაძისა და „მოქალაქეთა კავშირის" მოქმედება მიმართულია სახელმწიფოებრიობის ნგრევისკენ და ქაოსისკენ. ამ მძიმე ამოცანის გადაჭრაში ჩვენ არავინ დაგვეხმარება მანამდე, სანამ ჩვენი ქვეყნის „მე"-დ ჩვენვე არ ჩამოვყალიბდებით. ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების ადამიანთა სწორად ორგანიზებული ერთიანობა ამის ერთადერთი რეალური ფორმაა.

ნ. ნათაძე

გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს

ობიექტური ინფორმაცია უცხოეთიდან

ბერლინის მერმა აღიარა, რომ ცისფერია

„ცისფერთა“ ზეობა ბერლინში

ბერლინის დღევანდელმა მერმა ფოვერაიტმა თავისი ციცისფრე ჯერ კიდევ მაშინ აღიარა, როცა სოციალ-დემოკრატებმა, გასული წლის ოქტომბერში, მისი კანდიდატურა წამოაყენეს. ამან ხმები არ დაუკარგა. უფრო, პირიქით: გულახდილობა დაუფასეს და ქალაქის საჭე ხელთ მისცეს. დიახ, მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ორ მთავარ ოპოზიციურ პარტიას სახელში სიტყვა „ქრისტიანული“ ურევია და კონსტიტუცია ოჯახის სიწმინდეს აღიარებს. უფრო მეტიც: გერმანელთა 3/4 აცხადებს, რომ არ შეწუხდება, თუ მათი დედაქალაქის მერი ცისფერი იქნება, 2/3 – რომ დაუშვებს ამ ფერის კანცლერის არსებობას. ბერლინში წლეულს ჩატარდა ჰომოსექსუალთა ევროპაში ყველაზე დიდი პარადი (ეს სხვაა, ვიდრე „სიყვარულის პარადი“, რომელზედაც ბევრი დაიწერა). თუმცა ცენტრისტულ-მემარჯვენე ოპოზიციამ მოინდომა დაებლოკა კანონი, რომელიც ჰომოსექსუალურ (ანუ ერთი და იმავე სქესის) „წყვილებს“ ნორმალურ წყვილთა კუთვნილ მთელ რიგ უფლებებს ანიჭებდა, როგორიცაა მემკვიდრეობის უფლება, პენსიისა და ა. შ. (მაგრამ არა ბავშვის აყვანის უფლებას!), კონსტიტუციურმა სასამართლომ ამ კანონპროექტს დასტური მისცა. ბუნდესთაგის 666 დეპუტატიდან სამმა (სამივემ – მემარცხენემ) აღიარა, რომ ცისფერია (თუმცა, სინამდვილეში, როგორც ფიქრობენ, ოცნი მაინც არიან). ფედერალურ მინისტრთაგან არც ერთს, ჯერჯერობით, ასეთი განცხადება არ გაუკეთებია.

ქ. ბერლინს ამ მხრივ თავისებური ისტორია აქვს. ჰიტლერი რომ ხელისუფლებაში მოდიოდა, ჰომოსექსუალებსა და სხვა ყველანაირ „არაკონფორმისტებს“ ერთადერთ თავშესაფრად ამ ქალაქის არტისტული ბოჰემა და მისი ღამეული ცხოვრება დაურჩათ. 1945 წლის შემდეგ დასავლეთი ბერლინი მგნიტი იყო პაციფისტებისთვის, ხელოვანთათვის, ჰიპიებისთვის, ცისფრებისთვის და ყველა იმათთვის, ვინც სამხედრო სამსახურში გაწვევას გაურბოდა (დას. ბერლინი იყო ერთადერთი ადგილი გერმანიაში, რომელშიც სამხედრო ბეგარა არ არსებობდა). მაგრამ ახლა? კითხვა დგება: პარიზს რომ ცისფერი მერი ჰყავს, ჯანდაბას! საფრანგეთი ხომ მაინც ევროპაში ყველაზე „ზნეთავისუფალი“ ქვეყანაა! მაგრამ გერმანია? გერმანია ხომ დისციპლინის, თავდაუფლების, პატრიოტული თვითორგანიზაციის კლასიკური ქვეყანაა!

ასე მსჯელობს ე. წ. „რიგითი კაცი“, „მასობრივი ადამიანი“, რომელიც დღევანდელი ირონიული მხატვრული თუ მეცნიერული აზრისათვის ყველაზე მასხარად ასაგდები და არად ჩასაგდები არსებაა. მართალია იგი? მხოლოდ ნაწილობრივ. იგი მართალია მხოლოდ იმ მხრივ, რომ დღევანდელ „ერთგანზომილებიან ადამიანს“, ანუ ადამიანს, რომელიც საზოგადოებაში თავისი მხოლოდ ერთი მხარით და ერთი ფუნქციით ფასობს, სახელდობრ, თავისი შრომითი საქმიანობითა და კვალიფიკაციით, ვაჟკაცობასა და ტრადიციული ღირსების დაცვას არავინ სთხოვს. მართალია იგი იმ მხრივაც, რომ დედაქალაქის მერი და მრავალი სხვა უმაღლესი მოხელეც ამ ადამიანის თვალში საზოგადოების წინამძღოლი, ბელადი და განმასახიერებელი კი აღარ არის, არამედ მხოლოდ დაქირავებული ბიუროკრატი, და ამ ბიუროკრატისათვის „ზემოდან შეხედვის“ საბაბის პოვნა ამ ნიველირებული „მასობრივი კაცისათვის“ სიამოვნებასაც კი მოიცავს. მაგრამ მესამე და მთავარი სხვაა. გერმანელმა ელიტამ იცის – თუმცა იმ „ერთგანზომილებიანმა“ კაცმა ეს არ იცის, – რომ გერმანია კვლავ მსოფლიოს პირველ რიგებს უმიზნებს, და არა მეორე და მეხუთეხარისხოვანს. დღეს ამ უდიდესი პოტენციის ქვეყანას მსოფლიოში თავისი პოტენციის შესაფერისი ადგილი არ უჭირავს. და სანამ იგი მას დაიჭერდეს, მისთვის არაა მიზანშეწონილი იმის აფიშირება, რომ თავის დღევანდელ პარტნერებზე უფრო ჯანსაღი და პერსპექტიული ყოფითი გემოვნება აქვს.

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

ისრაელი და ჰამაზი

გაზეთი „THE NEW FEDERALIS“ (აშშ) „აშშ-ში მყოფ წყაროზე“ დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რომ ებრაულ-არაბული შეიარაღებული დაპირისპირების ერთ-ერთ შესაძლო შედეგად ამჟამად ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბატონ შარონს წარმოდგენილი აქვს მებრძოლი ისლამური ორგანიზაციის – ჰამაზის მიერ იორდანიის ჰაშემიტური დინასტიის წარმომადგენლის, მეფე აბდულაჰ II-ის დამხობა და იორდანიის „პალესტინელთა სამშობლოდ“ გამოცხადება.

ბუეზინსკი სხვა აზრისაა

იმავე მეგობრების ხელშეკრულებას რუსეთსა და ჩინეთს შორის ბუეზინსკი თვლის „მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯად, რომლითაც თავცარიელი გეოპოლიტიკოსების ჯგუფი, ორსავე მხარეზე, გადატრიალების მოხდენას ფიქრობს“ (გაზ. „SUNDAY TELEGRAPH“, 15.VII).

სამთაგან ორი. ორთაგან?

ალმაატის შეხვედრაზე სახელად „ევრაზია – ტრანსყაზახსტანი 2001“ (25-27.IV) ევროპისა და აზიის სარკინიგზო კავშირის სამი ვარიანტი იხილებოდა: ტრანსსიბირის მთავარი ხაზი ჩინეთისკენ განშტოებითურთ, რომელიც დაუკავშირდება ჩინეთის რკინიგზათა ქსელს, ჩინეთ-ყაზახსტანის გზა, რომელიც ევროპას დაუკავშირდება რუსეთის გზით, და ჩინეთ-ყაზახსტან-ირან-თურქეთის გზა. მესამე უარყვეს. პირველი ორის განხილვა გრძელდება.

„ჯენერალ მოტორსის“ მოგება

სუფთა მოგებამ ა. წ. პირველ კვარტალში შეადგინა 225 მლნ. დოლარი, რაც შარშანდელი ციფრის 88% შეადგენს.

ჰააგაში ასე განსაჯეს

27 VI ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ მთავრობამ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმა, როცა გერმანიას არ შეატყობინა აშშ-ის არიზონას შტატში გერმანიის ორი მოქალაქის დაპატიმრება, რომელთაც ბრალად ედებოდათ მკვლელობა. ამ დარღვევაზე ჩიოდა გერმანია. დაირღვა ვენის შეთანხმება, რომელზედაც ხელს აწერენ აშშ-ც და გერმანიაც. დაკავებულები, ძმები ლაგრანდები, გაასამართლეს და 1999 წლის მარტში სიკვდილით დასაჯეს.

გაზ. „NENE SOLIDARITAT“, 11.VII.2001

რუსეთი ძველია თუ ახალი?

„სოვეტოლოგია“, როგორც მეცნიერების დარგი, დასავლეთმა მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ შექმნა და „კრემლოლოგი“ – რუსეთის ლიდერთა პირადი და პოლიტიკური ურთიერთობების ხლართებში გარკვევა – მისი ერთ-ერთი განშტოებაა. მაგრამ ამ ერთდღიანი პრაქტიკული საკითხების მიღმა დასავლეთის მეცნიერება არ ივიწყებს ისტორიისა და პოლიტიკის ძირეულ საუკუნოვან პრობლემებსაც. ერთი მათგანია: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთი მართლაც მხოლოდ იმ ულმობელი (და ჩამორჩენილი) აზიური დესპოტიის გაგრძელებაა, რაც იგი XV-XIX საუკუნეებში იყო, თუ – როგორც კომუნისტები ქადაგებენ – სრულებით ახალი მოვლენა?

ჟურნალი „THE ECONOMIST“ გვთავაზობს ამ მწვავე საკითხის დღევანდელი მდგომარეობის მოკლე მიმოხილვას ჯ. ჰოსკინსის გახმაურებულ წიგნთან („რუსეთი და რუსები“, 2001) დაკავშირებით.

20-იან წლებში ბოლშევიკებს სწამდათ, კაცობრიობას სრულებით ახალ ისტორიულ ფორმაციას ვუშენებთო. ოცი წლით უფრო გვიან, გერმანიასთან ომის დროს, სტალინმა თავის ხალხს რუსეთის წარსული – ალექსანდრე ნეველი, ივანე მრისხანე, კუტუზოვი და სხვა ეროვნული „გმირები“ მოაგონა, ვარსკვლავებიანი სამხრეები შემოიღო და თავისი იმპერია რევოლუციამდელი რუსეთის მემკვიდრედ აღიარა. დღევანდელი „ნახევრად დემოკრატიული“ რუსული ფედერაციაც მუდმივ ნახევრადოფიციალურ მერყეობაშია სლავურ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასა და ბოლშევიკებისდროინდელ „ინტერნაციონალიზმს“ შორის.

რუსეთის პოლიტიკურ სახეს ამ საუკუნეების მანძილზე სამი ძირითადი პრობლემა და ამ ქვეყნის სამი თავისებურება განსაზღვრავს. ერთი ისაა, რომ რუსეთს აქვს უზარმაზარი ერთგვაროვანი ტერიტორია, რომლის „დაკავება ადვილია, ხოლო ოკუპაცია ძნელი“, რაც ამ ტერიტორიის ადმინისტრირების უდიდეს სიძნელეს ქმნის. მეორე ისაა, რომ რუსეთი ტრადიციულად ავტორიტარული სახელმწიფოა, რომელსაც, ყველა სხვა ასეთივე სახელმწიფოს მსგავსად, უფრო ელასტიურად მოწყობილ ქვეყნებთან მეტოქეობის ამოცანა აქვს. ვინაიდან რუსეთი იძულებულია, მათთან მუდმივი შეჯიბრი ჰქონდეს ეკონომიკაში, ინტელექტუალურ სიცოცხლისუნარიანობაში, ქალაქების განვითარებაში და ა. შ., ეს მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მესამეც, რუსეთის იმპერია მეტისმეტად ფართოდაა გაჭიმული. აღმოჩნდა, (და არა მხოლოდ 1991 წელს), რომ რუსეთის იმპერიას შესძლებია არა მხოლოდ გაფართოება, არამედ შემცირებაც, თუკი საზღვართა დაცვას ვეღარ გასწვდა. იმის განსაზღვრა, თუ რა არის, რეალურად, რუსეთი, როგორც რუსების ქვეყანა, ამ სახელმწიფოსათვის მუდამ პრობლემა იყო და მისი ერთმხრივი გადაჭრის გზა იყო ის, რომ რუსეთი მუდამ ატარებდა მის იმპერიაში მოქცეულ არარუსს ხალხთა ჯერ ელიტების, შემდეგ კი მასის რუსიფიკაციას. ვინაიდან მან ეს ვერ შეძლო, იგი დღეს უფრო მცირეა, მაგრამ უფრო ერთგვაროვანი. თუ უფრო ფართო და განზოგადებული თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ კითხვა დგას: რა შეიძლება იყოს რუსებისთვის ის ამოცანა, რომელიც მათი ერის და მათი სახელმწიფოს მომავალ სახეს განსაზღვრავს? მრავალეროვანი იმპერიის კიდევ და კიდევ ჰყრობა (როგორც დღესაა)? „ალმოსავლურ-სლავური“ კავშირის მეთაურობა? მთელი მსოფლიოს, ან რეგიონის, რუსთა და რუსულენოვანთა მედროშეობა? (თუ ასეა, მაშინ რა ელით რუსეთის მოსახლე არარუსებს?). დასკვნა ასეთია: რუსეთს „განსაკუთრებული უნარისა და ჰორიზონტის მქონე ლიდერები სჭირდება, თუ უნდა, რომ XXI საუკუნეს გადაურჩეს“.

განსაკუთრებით მწვავეა რუსეთისთვის დემოგრაფიული პრობლემა. მისი მოსახლეობა, ასე დიდ სივრცესთან შედარებით, „ერთი ციცქნაა“, ისიც – კლებადი. როგორ მოიგერიებს დემოგრაფიულად ჩინელებს? ეს, სხვათა შორის, სამხედრო არჩევანის წინაშეც აყენებს. რა უნდა: ნამდვილად სამოქალაქო საზოგადოების სახით ფული გაიღოს პროფესიული არმიის შესანახად? თუ, პირიქით? უდიდესია იდეური პრობლემაც, რადგან „გეოპოლიტიკაში ადამიანთა რწმენებს არანაკლები ძალა აქვს, ვიდრე ქვემეხებს“. რუსეთმა შეძლო, თავის დროზე, მოდერნიზაცია: მან შექმნა ინდუსტრია და სეკულარისტული (ანუ არარელიგიური) მენტალიტეტი. შეძლებს იგი „პოსტმოდერნიზაციასაც“, ანუ დღევანდელობის აყოლას? ოჯახი რუსეთში სუსტია, სოციალური გარანტიები – ნულოვანი, საზოგადოების ატომიზაცია იმის იმედს იძლევა, რომ კომუნიზმი ან ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს. მაგრამ ეს ვერ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ რუსეთის მოლიანობა შეინარჩუნოს. ამ მაკავშირებელის როლს რუსული მენტალიტეტისთვის ყოველთვის მტრის ხატი თამაშობდა. იკმარებს თუ არა დღეს ჩეჩენი ამ როლისთვის?

რა საკვებს ინუნებენ ინგლისელები

მოხელეებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბავშვთა კვებაზე ინგლისში, დიდ უკმაყოფილებას იწვევს საბავშვო ტელეგადაცემებში ე. წ. „არასერიოზული საკვების" (??ჯუნკ ფოოდ) რეკლამირება, როგორიცაა სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმი, შოკოლადის ღერები, კრაჭუნა კარტოფილი, სნიკერსი და სხვა. მათი უკმაყოფილების საფუძვლად თუნდ მარტო ისიც კმარა, რომ საბავშვო გადაცემების 40 საათის მანძილზე მათ აღრიცხეს საკვების 272 რეკლამა და ამათში არც ერთი – ხილისა და ბოსტნეულისა. მთავარი შენიშვნა რეკლამირებული სასუსნავისადმი ისაა, რომ იგი, როგორც წესი, შეიცავს ზედმეტ ცხიმს, შაქარს და მარილს, რითაც, წლების შემდეგ, სიმსუქნეს იწვევს.

უფრო მძიმეა შენიშვნები საქელმოქმედო პრაქტიკის მიმართ. „ხსნის არმიას" და სხვა. ქველმოქმედ ორგანიზაციებს საკვები ჰბარდებათ მაშინ, როცა მისი ვარგისობის ვადის გასვლამდე ძალიან მცირე დრო რჩება. ასე რომ ღარიბ მომხმარებელს, ფაქტობრივად, ვადაგასული პროდუქტი მისდის. ამ პრაქტიკის ერთადერთ გამართლებად ის რჩება, რომ, მიუხედავად ამ ხარვეზისა, ეს გაჭირვებული ადამიანები, პროცენტულად, მაინც მეტს იღებენ ხილსა და ბოსტნეულს, ვიდრე მათ რაციონში იქნებოდა ქველმოქმედების გარეშე.

„რასობრივი" თუ ეროვნული ცემა-ტყეპა ინგლისში

ბრბოს რვასაათიანმა ბობოქრობამ 3 მლნ. ფუნტის ზარალი მოიტანა. ქ. ბრედფორდის ქუჩებში ერთმანეთს დაეტაკნენ „უკიდურესად მემარჯვენე ექსტრემისტები" (კანის თეთრი ფერისა) და „აზიელი ახალგაზრდები", რომელნიც ერთი და იმავე ქალაქის მაცხოვრებელნი არიან. გაზ. „დეილი ექსპრესის" სიტყვით, ცეცხლმოკიდებული მანქანების ალები ჩაქრა, მაგრამ სიძულვილი კვლავაც ბრიალებს. ორ კაცს დანა დაარტყეს, 120 დაშავდა, 36 დაიჭირეს, ცეცხლი წაუკიდეს 2 ოტელს და ერთ კლუბს, ავტომაღაზიას, სადაც 12 ბმვ განადგურდა. პოლიციელებს ესროლეს აგურები, ბოთლები, „ნავთის" ბომბები და ურტყეს ბეისბოლის ჩოგნები.

ბრედფორდი, სადაც ეს მოხდა, ინგლისის ერთ-ერთი „მრავალკულტუროვანი", ანუ ნარევი მოსახლეობის მყოლი თემია. ჩხუბი ატყდა ქალაქის აზიურ უბანში და იგი ჰრბალდება ბანგლადეშელებსა და პაკისტანელებს, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივია. გაზეთის სიტყვით, „ადვილია ეს ყველაფერი დააბრალოთ „ეროვნულ ფრონტს" (ინგლისურ ორგანიზაციას), მაგრამ „ფაქტი ისაა, რომ იქ იყო აზიელი ახალგაზრდების დიდი ჯგუფები, რომლებიც ჩხუბის საბაბს ეძებდნენ და, სხვა რომ არავინ მოჰხვდათ ხელთ, პოლიციას დაერივნენ".

დანით დაჭრილი ორივე ინგლისელია, დაპატიმრებულთაგან 13 ინგლისელია, ხოლო 23 აზიელი.

ფაქტებში და ფაქტებს მიღმა

ბრიტანული **THE ECONOMIST**, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველა ინფორმირებული, ობიექტური და, რაც მთავარია, ჭკვიანი ჟურნალი, ამას წინათ დადებულ ოცწლიან „მეგობრობის ხელშეკრულებას" რუსეთსა და ჩინეთს შორის ასე აფასებს:

„1950 წელს რომ სამოქალაქო ომში ახალგამარჯვებულმა მაო ძედუნმა (ჩინეთი 1949 წელს გასაბჭოდა. „საქ". რედ.). სტალინთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ორი კომუნისტური გიგანტის „მარადიული და ურღვევი" მეგობრობის შესახებ, ამ ამბავმა თავისუფალი სამყარო (ასე ეწოდებოდა მაშინ დასავლეთის ქვეყნებს, „საქ". რედ.) შეძრა. მაგრამ იდეოლოგიური განსხვავებები მოკავშირეებს შორის თანდათან იმდენად გაფართოვდა, რომ განხეთქილებად იქცა. ახლა რომ ძიანძემინი მოსკოვში ჩადის, 2008 წლის ოლიმპიადის პეკინში დანიშვნით გაბრწყინებული, და პუტინთან რომ ოცწლიან მეგობრობის ხელშეკრულებას აფორმებს, ზედსართავთა აღმატებითი ხარისხების იმგვარსავე სიუხვეს ვხედავთ. მაგრამ დაფარავს კი ქაღალდი იმ უთანხმოებებს, რაც მის უკან ძევს?

„ამათ „სტრატეგიულ პერტნერობას" მკაფიოდ გამოთქმული „არასამხედრო" ხასიათი აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც საფუძველია მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის, რომელშიც ჩინეთი და რუსეთი, ძიან-ძემინისა და პუტინის აზრით, მარად მეგობრები იქნებიან ერთმანეთისა და არასოდეს – მტრები. ამ აზრზე აგებული რიტორიკა, ნაწილობრივ, იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ პუტინისთვის ზურგი გაემაგრებინა „დიდი რვეულის" (**G-8**) შეხვედრის წინადღეებში, სადაც სუსტი რუსეთი მსოფლიოს უმდიდრეს დემოკრატიათა პირისპირ მოლაპარაკებათა მაგიდას უნდა მისჯდომოდა. ეს ხელშეკრულება, ჩანაფიქრით, პირველ ყოვლისა ამერიკისთვის უნდა იყოს შთამბეჭდავი, რომელიც ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს რეალური ძალაა. მაგრამ სინამდვილეში რუსულ-ჩინური განახლებული მეგობრობა და ურთიერთფიცი მეტიცაა და ნაკლებიცაა, ვიდრე მხოლოდ ანტიამერიკული გარიგება.

„რიტორიკა იქით იყოს, და ახალი ხელშეკრულება შეიძლება ძველზე უფრო მყარი აღმოჩნდეს იმ მხრივ, რომ იგი ხელს შეუწყობს მთელი რიგი ორმხრივი პრობლემების მოგვარებას. როგორც საკმაოდ მღელვარე ისტორიის მჭონე მეზობლებმა, რუსეთმა და ჩინეთმა 1960-იანი წლების სასაზღვრო დავების შემდეგ კიდევ დიდი გზა გაიარეს. ამჯერად ისინი შეთანხმდნენ, რომ თავისი 4000 კმ-იანი საზღვრის საკითხები მცირე სამუშაო მოლაპარაკებებში გადაჭრან ხოლმე. საზღვრის

აქეთ-იქით ჯერ კიდევ მოსახლე თურქული მოდგმის ხალხთა არც თუ სასარგებლოდ, ისინი შეთანხმდნენ არ გაახარონ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ერთის ან მეორის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას განიზრახავენ.

„მოკავშირეთა ვაჭრობა ცოტა იმატებს – შარშანდელი 8 მლრდ. დოლარიდან 10 მლრდ-მდე, – მაგრამ ეს ძალიან ცოტაა უზარმაზარ ჩინურ-ამერიკულ და ჩინურ-იაპონურ ვაჭრობასთან შედარებით (მკითხველს შევახსენებთ, რომ ამერიკელებთან ვაჭრობაში ჩინეთს წლიური 30 მლრდ. დოლარის დადებითი სალდო აქვს. „საქ". რედ.). არაოფიციალური ვაჭრობა ყვავის, მართალია, მაგრამ ბევრი რუსი წუხს, რომ შესაძლოა რუსეთის სუსტად დასახლებულ ტერიტორიებში ჩინელთა დიდი იმიგრაცია მოხდეს. ახლახან მხარეები შეთანხმდნენ 2400 კმ. ნავთობსადენის გაყვანაზე ციმბირიდან ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთამდე.

ზოგი რუსისთვისაც და გარესამყაროსთვისაც უფრო შემაშფოთებელი ის არის, რომ მხარეები სამხედრო ვაჭრობის გაგრძელებას ფიქრობენ, რუსეთი წელიწადში 1 მლრდ. დოლარს იღებს ჩინეთისათვის თანამედროვე ავიაგამანადგურებელთა, რაკეტათა, წყალქვეშა და წყალსზედა საბრძოლო ხომალდთა მიყიდვით. ზოგი რუსი გენერალი შიშობს, ერთ დღეს შესაძლოა ნაკლებ მეგობრული ჩინეთიც ვიხილოთ, რომელსაც ჩვენი იარაღი ჩვენზე მეტი ექნებაო (ჟურნალი არ ახსენებს იმას, რომ საზღვარგარეთ გაყიდული თავისი მაღალტექნოლოგიური შეიარაღების გამოყენებას რუსეთი არეგულირებს სათადარიგო ნაწილთა მიწოდების კონტროლით შემდგომ წლებში. „საქ". რედ.). უცხოელებს კი უფრო ის აწუხებთ, რომ რუსეთი ამას წინათ დათანხმდა ჩვეულებრივი (არაბირთვული. „საქ". რედ.) შეიარაღების დიდი პარტიების მიყიდვაზე ჩრდ. კორეისა და ირანისათვის. მაგრამ ჩინეთისათვის იარაღის მიწოდება მაინც მეტ წუხილს იწვევს, ვინაიდან შესაძლებელია მისი გამოყენება ტაივანზე ზეწოლისათვის და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გასაბატონებლად ბრძოლისათვის.

„შეიარაღებასთან დაკავშირებული ამ ურთიერთდაახლოების გარდა თუ გავითვალისწინებთ, რომ მხარენი ერთნი არიან ჩეჩნეთში ომისა და ტაივანის საკითხზე, ევროპაში ნატოს გაფართოებისადმი და ამერიკულ-იაპონური მოკავშირეობის გაფართოებისადმი წინააღმდეგობის საკითხზე და ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაზე, ადვილად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შექმნის პროცესშია ახალი ანტიამერიკული ალიანსი. მაგრამ მოკავშირეებს შორის ბზარებიც ჩანს. ჩინეთისაგან განსხვავებით, რომელიც შიშობს, რომ ამერიკელებმა შეიძლება თავისი სისტემის მონაპოვრები გამოიყენონ ტაივანის დასაცავად ჩინური რაკეტებისგან, პუტინი ემხრობა რეგიონალური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მშენებლობას და დღეს იგი მზადაა ეძებოს ახალი სტრატეგიული ურთიერთგაგება ამერიკელებთან. ახალი ხელშეკრულება, რომელიც ჩინეთის ინიციატივით დაიდო, იმდენადვეა რუსეთის თავისთავზე მიბმის ცდა, რამდენადაც გამომწვევი ჟესტია ამერიკელების მიმართ. ამასობაში კი რუსეთი მთელი სიმწვავით გრძნობს, რომ მის პოსტიმპერიულ დაქვეითებას გვერდით ახლავს ჩინეთის ზრდა, როგორც მეტოქისა, რის გამოც მას ჰსურს ჩინეთის შეძლებისდაგვარად შეკავება. ახალ მეგობრობას ეს მხარეც აქვს".

რედაქციისაგან. საჭიროდ ვრაცხთ ჟურნალის ამ უაღრესად ფრთხილ მსჯელობას უაღრესად საპასუხისმგებლო თემაზე დავურთოთ კომენტარი ქართველი მკითხველისათვის, რომელიც ათწლეულთა მანძილზე მოწყვეტილი იყო ნამდვილ ინფორმაციას და ამიტომ წარსულის ზოგი მნიშვნელოვანი ფაქტი არ იცის ან არ ახსოვს. 1952-53 წლებში კორეის ომში საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ერთად დამარცხდნენ ამერიკასთან დაპირისპირებაში და ამით დაინახეს, რომ ისინი ერთად ვერ სძლევენ დასავლეთის სამხედრო და სამრეწველო პოტენციას. ამან (და არა იდეოლოგიურმა უთანხმოებებმა, რაც მათი კონფლიქტისთვის მხოლოდ თავაზიანი ნიღაბი იყო) განაპირობა მათი ურთიერთდაშორება და ურთიერთდაპირისპირებაც კი. უეჭველია, რომ რუსეთი და ჩინეთი არაერთხელ შეეცდებიან ერთობლივი ძალის მოსინჯვას ამერიკელების საწინააღმდეგოდ და არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთ ასეთ მორიგ, მაგრამ ძალიან ფრთხილ მოსინჯვას წარმოადგენს მათი ახლანდელი დაახლოებაც. ჩინეთის მხრიდან ამერიკელებთან დაპირისპირების საწინააღმდეგოდ, ამ ეტაპზე, მოქმედებს ის ფაქტორი, რომ მას მათთან უზარმაზარი დადებითი სავაჭრო სალდო აქვს, ხოლო დაპირისპირების სასარგებლოდ (და, მაშასადამე, რუსეთთან რეალური მოკავშირეობის საძებრად) – ის, ფაქტორი, რომ მისთვის მიუღებელია ცენტრალურ აზიაში დასავლელთა ინტენსიური შეღწევა (რისთვისაც ერთადერთი რეალური გზაა შავი ზღვა-საქართველო-აზერბაიჯანის გზა).

„თავისუფლება, თანასწორობა და... დაუსჯელობა"

საფრანგეთის რევოლუციის მესამე წმინდა ლოზუნგს – ძმობას – ჟ. „**THI ECONOMIST**"-მა „დაუსჯელობა" შეუნაცვლა, რატომ? იმიტომ, რომ მისი თემაა არც მეტი, არც ნაკლები საფრანგეთის პრეზიდენტის შირაკის და საფრანგეთის კანონის ურთიერთობა. რატომ დაყენა შირაკმა თავი კანონზე მაღლა და რატომ აარიდა თავი მოხელეთა რამდენიმე მოკრძალებული კითხვის პასუხს, რომლებიც ეხება მისი პოლიტიკური კარიერის უფრო ადრეულ ეტაპებზე მის მიერ საარჩევნო კამპანიებში თუ გულუხვ მივლინებებში გამოყენებულ თანხებს? ამ კითხვას პასუხი დიაღაც, აქვს: იმიტომ, რომ საფრანგეთის მოქმედი კონსტიტუცია აძლევს პრეზიდენტს იმის უფლებას, რომ უგულებელყოს ნებისმიერი გამოძიების ინტერესი მისი ნებისმიერი ქმედებისადმი გარდა ისეთისა, რომელიც სახელმწიფო ღალატის ეჭვს ბადებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან შემდგომი არჩევნების წინ პრეზიდენტის დისკრედიტაციის ყველა მცდელობათა მოგერიება მეტისმეტ ენერგიასა და დროს მოითხოვს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეროვნული ბანკიდან პირველი ეშელონის პოლიტიკურ ფიგურათა ღონისძიებების არაგამჭვირვალედ დაფინანსების პრაქტიკა, რაც საფრანგეთში „ტრადიცია" ყოფილა, ახალ რეალობებთან დაკავშირებით გადასინჯვას მოითხოვს. ეს ახალი რეალობებია სხვაგვარი დამოკიდებულება ანალოგიურ პროცესთა გამჭირვალობის საკითხებისადმი, რომელიც საფრანგეთის ახალსა და დღესდღეობით უმჭიღროეს მოკავშირეებში – ევროპის ქვეყნებში სუფევს.

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგნი არიან

სიკვდილით დასჯა დღეს 87 ქვეყანაში არსებობს. მაგრამ სტრასბურგის პირველ მსოფლიო კონგრესზე სასჯელის ამ ზომის წინააღმდეგ ყველაზე მეტი მოკამათე აშშ-ს უტევდა, რადგან ამ დემოკრატიული ქვეყნის სათავეში მდგომ ჯ. ბუშს თავისი გუბერნატორობის დროს მეტი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებაზე აქვს დასტური მიცემული, ვიდრე აშშ-ს რომელსამე სხვა გუბერნატორს ოდესმე. კონგრესზე ალაპარაკეს ერთი აფროამერიკელიც, ჯერი მაქს კუკი, რომელმაც 22 წელი სიკვდილმისჯილთა კამერაში გაატარა უდანაშაულომ და მცდარი განაჩენის აღსრულებას ბეწვზე გადაურჩა.

კონგრესზე წაიკითხეს რომის პაპის მიმართვა, სადაც იგი სიკვდილით დასჯის კანონგარეშე დაყენებას მოითხოვს. ამავე აზრით გამოვიდნენ ისეთი ქვეყნების პოლიტიკოსები, პარლამენტართა ჩათვლით, რომლებშიც ეს სასჯელი გაუქმებულია, და ისეთებისაც, სადაც იგი მოქმედებს. უკრაინის, ჩილესა და სპილოსძვლის სანაპიროს წარმომადგენლებმა აღუთქვეს შეკრებილთ, რომ მათ ქვეყნებში ეს სასჯელი მალე აღარ იქნება. კონგრესზე გაიხსენეს ისიც, რომ 1952 წელს ცნობილი ცოლ-ქმარი როზენბერგების სიკვდილით დასჯის დროს, რომელთაც სსრკ-სთვის ბირთვულ საიდუმლოთა გადაცემა ჰბრალდებოდათ, ქალმა, ეთელ როზენბერგმა გადაიტანა დენის პირველი დარტყმა, რის გამოც მისი მეორედ დაბმა და მეორედ მოკვლა მოუხდათ.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით. მას ხელს აწერს მრავალი ცნობილი პოლიტიკოსი, მათ შორის ევროპარლამენტის თავმჯდომარე, ლორდი რასელ-ჯონსტონი.

გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს

„ვარსკვლავურ ომთა“ პერსპექტივა? არა, სულ სხვა რამ

წარმატებული ექსპერიმენტი. მეოთხე ცდაზე ამერიკელებმა შეძლეს კონტინენტთშორისი ბალისტიკური რაკეტის ჩამოგდება „გზის მომჭრელი“ რაკეტით, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მშენებარე სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. ეს მოხდა ბალისტიკური რაკეტის გაშვებიდან 20+8 და გზის მომჭრელი რაკეტიდას გაშვებიდან 8 წუთის შემდეგ, პირველის გაშვების ადგილიდან 5000 მილის მანძილზე, 16 ათასი მილ/საათის სიჩქარეზე. პატარა მონადირის მთავარი მიღწევა ისაა, რომ მან განასხვავა ნამდვილი სამიზნე ყალბისაგან, რომელიც მას სტარტიდანვე ახლოს გამოაყოლეს. ამ გამარჯვებას მხოლოდ ორი რამ აყენებს ჩრდილს. პირველი: ექსპერიმენტში ყალბი სამიზნე ერთი იყო, რეალობაში კი უთუოდ მრავალი იქნება ერთად. მეორე. ნამდვილი სამიზნე კონუსის ფორმისა იყო, ყალბი კი — მრგვალი, ამიტომ ვერავინ იქნება დარწმუნებული, რომ პატარამ დიდს თავისი დიაგნოზი ფორმის მიხედვით კი არ დაუსვა, არამედ შიგთავსის მიხედვით. ის, რომ ექსპერიმენტში ხელმოცარვას ადგილი ჰქონდა და კიდევ, უთუოდ, არაერთხელ ექნება, პროგრამაში ჩართულ მეცნიერებს არ აშინებთ. მათ განზრახული აქვთ კვლევისა და ექსპერიმენტის ტემპი გაზარდონ (მხოლოდ 2002 წლისთვის 10 ცდაა დაგეგმილი). სახელდობრ, იქმნება „სამშრიანი“ დაცვა: მტრის რაკეტას ესვრიან სტარტისას, ესვრიან ტრაექტორიის ცენტრალურ ნაწილში და დადაბლების დაწყების შემდეგ. თითოეულ ამ „შრეს“ დასჭირდება არანაკლებ 24 „კონსტრუირებისეული“ ექსპერიმენტისა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ნამდვილი, რეალობასთან მიახლებული ექსპერიმენტები. მიუხედავად ამ მაღალი ტემპისა, თავდაცვის მთელი დაგეგმილი სისტემის გაშლა ვერ მოესწრება 2010 წლამდე, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მისი მოქმედება უფრო ადრე, სახელდობრ — ახალი იარაღის ჯერ ბოლომდე მიუყვანელი გამოცდების ბაზაზე მოხდეს. ერთერთ მთავარ კითხვას — არღვევს თუ არა ამ სისტემის შექმნა რუსულ-ამერიკულ ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო სათავდაცვო სისტემათა შესახებ — ცალსახა პასუხი არა აქვს. ეს ხელშეკრულება ზღუდავს რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის ზღვაში და ჰაერში განლაგებას, დღეს კი აშშ ექსპერიმენტებს მხოლოდ მიწიდან ატარებს. მაშინაც კი, თუ ზღვიდან დაიწყო, არაა აუცილებელი რუსეთმა ეს ძალიან იწყინოს, რადგან შეუძლებელი არაა მას აუხსნან, რომ ამერიკელები (თუ გულწრფელნი არიან) ბირთვულ თავდასხმას ზღვასთან განლაგებული პატარ-პატარა ზღვისპირა სახელმწიფოებისგან მოელიან.

პოლიტიკური „ხელის გადაწევა“.

პოლიტიკური და სტრატეგიული პოკერი, რომელიც ამ ტექნიკური მიღწევისა თუ ამოცანის საფუძველზე იშლება, ასეთია:

აშშ-მ რუსეთს გამოუცხადა, მალე შესაძლოა, რაკეტსაწინააღმდეგო



სისტემათა შემზღუდავი ხელშეკრულებიდან გავალო. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი კარგავს პრივილეგიურ სტრატეგიულ პოზიციას ამერიკელებთან (ანუ მათ ერთმანეთისა თანაბრად აღარ ეშინიათ). რუსეთის პასუხია, ერთი, ის, რომ იგი შეახსენებს პარტნერს, ეს სხვა შეთანხმებებზეც იმოქმედებსო (რომელთა გაუქმება — ასე იგულისხმება — ამერიკელებს არ უნდათ), მეორე, რუსეთი ჩინეთთან ხელშეკრულებას დებს და, ამგვარად, ჩინეთისა და თავის რესურსებს აერთებს. მაგრამ ამერიკელთა (გამოუთქმელი) პასუხია: არ გვეშინია, რადგან ჩვენ უფრო გჭირდებით ორივეს, ვიდრე ერთმანეთი და ერთმანეთში უთანხმოებებიც გაქვთო. გარდა ამისა: რუსეთი მაინც ვერ გააგრძელებს შეიარაღების არსებულ ტემპს (რაკი უჭირს), ჩინეთი კი მაინც არ აიღებს ხელს თავის არსენალის ზრდაზე. ამიტომ ჩვენ ყველა შემთხვევაში ჩვენი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები მაინც უნდა განვავითაროთო. ამიტომაც ექსპერიმენტები გრძელდება და მსოფლიოს სჯერა, რომ ეს კეთდება არა ამერიკული ჰეგემონიის ინტერესებისათვის (ამ ჰეგემონიას დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებს), არამედ უსაფრთხოებისათვის.

„სინდისზე შეგდება“. საქმეს მორალური მხარეც აქვს. ექსპერიმენტების გამამართლებელი ყველაზე კარგი არგუმენტი ასეთია: როცა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემათა შეზღუდვის ხელშეკრულება დაიდო, ბირთვულ-ქობინიანი ბალისტიკური რაკეტები მხოლოდ აშშ-სა და სსრკ-ს ჰქონდათ. დღეს ბევრსა აქვს და ის ბევრნი, ძირითადად, აშშ-ის პოტენციური მოწინააღმდეგენი არიან (ჩრდ. კორეა, ირანი...). მათი რაკეტები ჯერ ამერიკას ვერ მისწვდება, მაგრამ ამერიკულ ბაზებს უკვე მისწვდება. ამგვარად, რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის განვითარება არ ნიშნავს იმ ორმხრივი ხელშეკრულების დარღვევას, რომელიც მხოლოდ თვით აშშ-ს და რუსეთის (ადრე — სსრკ-ს) დაცვას ეხება. გარდა ამისა: კორეის, ირანის და სხვათა რაკეტები ამერიკას დღეს ვერ სწვდება, მაგრამ ხვალ ხომ მისწვდება? რაკეტიანი „არამზადა სახელმწიფო“ რომ დღეს ამერიკელებს თამამად ესაუბრება, რაკი მისი ბაზის მოსპობა შეუძლია, ამერიკელებსაც ხომ უნდა ჰქონდეთ საშუალება მას უპასუხონ: „თქვენი რაკეტისგან ჩემი ბაზის დაცვის საშუალება მაქვსო“! ამ არგუმენტს რუსის პოზიციის მომხრენი უპასუხებენ: „ის „არამზადა სახელმწიფოები“, ბალისტიკური რაკეტის ახალი მფლობელები, ხომ გიჟები არ არიან, რომ თვითმკვლელობაზე წავიდნენო“. მაგრამ ამ საუთის კონტრსაბუთიც არსებობს: „რა ვიცით, რომ არ წავლენ? „არამზადა სახელმწიფეობს“, საერთოდ, ფსიქიკა თავისებურად აქვთ მოწყობილიო!“.

როგორც ვხედავთ, აქ კამათში უკვე ძალიან სათუთი „ადამიანური“ ფაქტორი შემოდის. თავის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში დასავლეთი იმ წანამძღვარზე აგებს, რომ რუსეთი თვითმკვლელობაზე არ წავა (საამისო არაფერი უჭირს). მაგრამ ამავე განწყობილებითაა მასობრივი მოსპობის იარაღის ყველა პოტენციური მომავალი მფლობელი?

ამ გარეგნულად თითქოსდა მიამიტ მსჯელობათა უკან უფრო სერიოზული სინამდვილე დგას. ერთი ფაქტი ისაა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო ტექნოლოგიათა განვითარება — მით უმეტეს, ჯერ ექსპერიმენტის დონეზე — არ მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას მაინცდამაინც დღეს ან ხვალ. მანამდე ჯერ დრო ბევრია. მაგრამ მეორე ფაქტი ისაა, რომ ეს მუშაობა უკვე ბადებს ეჭვს: ხელშეკრულების ეს გაუქმება, რომელზედაც დღეს ლაპარაკობენ რუსეთზე ზეწოლის მიზნით, თვითმიზანი ხომ არაა და არა მხოლოდ საშუალება? ანუ: ხომ არ მიდის საქმე, საბოლოოდ, იქითკენ, რომ შეზღუდული რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის ნაცვლად გაკეთდეს მთელი აშშ-ს მომცველი უზარმაზარი „ასტროგუმბათი“ შეუვალი ანტისარაკეტო დაცვისა, რომელიც ამერიკელებს დაიცავს იმ ხიფათისაგან, რაც დანარჩენ კაცობრიობას ემუქრება შეუზღუდველი დიდი ომის შემთხვევაში? ეს გეგმა, ტექნიკურად და ფინანსურად, ცოტა არ იყოს „ქიმერულია“, მაგრამ პრინციპი პრინციპად რჩება და ეჭვი — ეჭვად. ამიტომ ზოგნი (და მათ შორის — ჟურნალი „THE ECONOMIST“-იც) ამერიკელებს ურჩევენ, რომ „ასტროგუმბათის“ იდეის ნაცვლად, თავის შეზღუდულ ანტისარაკეტო თავდაცვაზე მუშაობის პარალელურად, ყურადღება არ მოაკლონ ბირთვული იარაღის შემზღუდველსა თუ ამრძალავ საერთაშორისო შეთანხმებებზე მუშაობას, რაც, ასეა თუ ისე, დღეს კაცობრიობის ყველაზე საიმედო დაცვაა.

უნდა დავსძინოთ: არც მეტი, არც ნაკლების — ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ბჟეზინსკის — შენიშვნაა, რომ საკუთარი თავისთვის აბსოლუტური უსაფრთხოების მოპოვება, რაც ამერიკელთათვის დღეს ერთ-ერთი წარმმართველი იდეა ჩვენს უალრესად ნაკლოვან წუთისოფელში უტოპია უფრო, ვიდრე რეალური გეგმა.

„ნუთუ ბუში ლიბერალი არ ყოფილა?“

თავისუფლების კლასიკურ ქვეყანაში პრეზიდენტიც თავისუფალი კრიტიკის საგანი უნდა იყოს. არის კიდეც. შეერთებული შტატების პოლიტიკურ კომენტატორებს გაოცებით აღმოუჩენიათ, რომ ჯორჯ ბუში უმცროსი, რომელსაც არასდროს აზრად არ მოსვლია თავისი „მყარხაზოვანი“ შეხედულებების დამალვა, სიტყვის შემნახავი და მართლაც საკმაოდ მემარჯვენე პოლიტიკის გამტარებელი ყოფილა. ეს მან გამოავლინა საგარეო საქმეებში, დაბეგვრაში, გარემოს დაცვაში და სხვაგან. მაგრამ პრეზიდენტის შესახებ ამ მკაფიო დასკვნის გამოტანა როდი ნიშნავს, რომ მის პოლიტიკაში ყველაფერი ყველასთვის გასაგებია. ბრიტანული „THE ECONOMIST“, მაგალითად, კვირობს, როგორ ეთანადება აშშ პრეზიდენტის პირველი მკვეთრი მიდგომა ჩინეთთან საჰაერო ეპიზოდისადმი, აშშ მზვერავი თვითმფრინავი რომ კუნძულ ჰაინანზე დაჯდა, მისსავე თავდაჭერილ პოზიციას ორიოდე კვირის შემდეგ. აშშ-ის სხვადასხვა განწყობილების წრენი უკმაყოფილონი დარჩნენ გაურკვევლობით იმის თაობაზე, აცხადებს თუ არა პრეზიდენტი თავისი ორაზროვანი ფორმულირებებით, რომ იგი დაეხმარება ტაივანს კონტინენტური ჩინეთის მიერ შეტევის შემთხვევაში. ჟურნალი თვლის, რომ ბუშის მოქმედებაში მეტ ორაზროვნებას ხედავენ, ვიდრე მისი პოლიტიკა ნამდვილად შეიცავს. საქმე მხოლოდ ისაა, რომ მისგან მისი რეალური გეგმების მეტ შენიღბვას მოელოდნენ კამპანიის პროცესში, ვიდრე ეს რეალურად მოხდა. ჟურნალი აღნიშნავს, რომ ბუშს სრულებითაც არ დაუმალავს ამომრჩევლებისადმი მიმართვაში, რომ იგი ამერიკელთა პოლიტიკური პრიორიტეტების რეორგანიზაციას გეგმავს. ასე, მაგალითად, იგი ნათლად ამბობდა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის შექმნას ფიქრობს, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამერიკის მოკავშირეები, მაგრამ დღეს ევროპა თანდათან ურიგდება. ერთმხრივობის ტენდენცია, რომელიც ბუშის პოლიტიკაში ნათლად გამოსჭვივის, ჟურნალის სიტყვით, სრულებით არ ნიშნავს არც იზოლაციონიზმს, არც „ქორობას“, თუკი მას „განათლებული“ სახელმწიფო ეგოიზმი (**SELF-INTEREST**) განაპირობებს. მაგრამ ბუშისთვის ერთიც დაუწამებიათ და მეორეც. ბუშის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მკვეთრი პუნქტი არჩევნების დროს იყო 1,6 ტრილიონი დოლარით გადასახადების შეკვეცის გეგმა, რაც, რა თქმა უნდა, უკიდურესად ლიბერალისტურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ჟურნალს „აქვს შენიშვნები“ ამ მეტისმეტად თამამი გეგმის გამო, იგი მაინც ურჩევს კრიტიკოსებს, გაითვალისწინონ ასეთი ფაქტები და არ იჩქარონ ბუშის კონსერვატიული მიმართულებისათვის „მყარხაზოვანის“ სახელის დარქმევა. ასევე ამართლებს ჟურნალი ბუშს იმ ნაბიჯისთვის, რომელზეც მისი კრიტიკოსების მოგერიება ყველაზე უფრო ძნელია: მის უარზე, აშშ პოლიტიკა შეუწყოს კიოტოში მიღებულ ეკოლოგიურ შეთანხმებას, რომლის მიზანია დედამიწას უდიდესი უბედურება — მსოფლიო დათბობა ააცილოს. ჟურნალის თქმით, ბუშმა კიოტოს შთანხმებაში მონაწილეობაზე უარი, უბრალოდ, იმიტომ თქვა, რომ „ამას აზრი არა აქვს აშშ-სთვის“. მაგრამ ახლა, მსოფლიოში ამტყდარი საკმაოდ ფართო უკმაყოფილების ფონზე, აშშ ადმინისტრაციას მოუხდება იჩქაროს და თქვას, სხვა რა, თუ არ კიოტოს შეთანხმება, გვიხსნის გლობალური დათბობისაგან.

ჟურნალი სვამს მწარე კითხვას: ძალიან გაჭირვებული არჩევნებით გასული ბუში ხომ არ იქნება ამის გამო იძულებული, ისე მართოს, თითქოს ალ გორია, ანუ შექმნას ყალბი კონსენსუსის წესით დაკომპლექტებული ადმინისტრაცია. რომლშიც არც ერთი კაცი არ გააკეთებს იმას, რაც მართლაც უმჯობესი ჰგონია? პასუხია „არა!“ შემოწმება-დაბალანსების ამერიკული სისტემის პირობებში ეს არც აუცილებელია, არც სასურველი. ბუშმა უნდა მართოს კარგად (და არა კომპრომისული სანახევრო მიმართულების სიმულაციით).

ნაცნობი ხელწერა მაკედონიაში

25 ივნისს გააფთრებულმა დემონსტრაციამ შეუტია მაკედონიის პარლამენტის შენობას, დაიკავა და დაარბია იგი და ხელისუფლების წასვლა მოითხოვა. წესრიგი მეორე დღესღა აღდგა. მიზეზი ის იყო, რომ წინადღით სამთავრობო ჯარებმა ისე შეავიწროეს ალბანელი ამბოხებულნი, რომელთაც მაკედონიის სოფლები და საჯარისო ქვედანაყოფები ცეცხლქვეშ ჰყავდათ, რომ 400 ალბანელი მზად იყო იარაღი დაეყარა. ამ დროს შუაში ჩადგნენ „მშვიდობისმყოფელთა“ ფორმით მოქმედი ამერიკელები, რომელთაც აქ ყოფნა კი არ ეკალეებოდათ, არამედ კოსოვოში, და მაკედონიის სახელმწიფოს მეთაური ტროიანოვსკი დათანხმეს იმაზე, რომ ალბანელებისთვის — იარაღაყრელისა და დაუჯელებისათვის — საბრძოლო მოქმედებათა ზონიდან გასვლის საშუალება მიეცათ. ეს თანხმობა გახდა სწორედ იმ დემონსტრაციის საბაბი, რომელიც წელან ვახსენეთ. „ჰამბურგერ აბენდლატის“ ცნობით, იმ 400 ალბანელში 17 გადამდგარი ამერიკელი ოფიცერიც კი ყოფილა, რომელნიც იქ ინსტრუქტორების ფუნქციას ასრულებენ

ამ პოლიტიკის აზრს გაზ. „NENE SOLIDARITAT“ იმაში ხედავს, რომ ამერიკელებს ბალკანეთში რუსეთისა და ევროპის გავლენის შემცირება ჰსურთ. ამ პოლიტიკის ერთი შესაძლო შედეგი ისაა, რომ ნდობა ეკარგება მაკედონიის არსებულ კანონიერ ხელისუფლებას, რომელმაც მძიმე არჩევანში სისუსტე გამოიჩინა, მეორე — ის, რომ მის შედეგად მაკედონიამ შესაძლოა რუსეთისკენ გაიწიოს, მით უფრო, რომ ის ხანმოკლე საბრძოლო წარმატება, რასაც მაკედონელებმა ამ ბოლო თვეში მიაღწიეს, დიდწილად იყო დამოკიდებული რუსული წარმოების რამდენსამე თვითმფრინავზე და საბრძოლო შვეულმფრენზე, რომლებიც უკრაინის გზით შეზიდეს. თუ ამერიკელებს უნდათ ბალკანეთში რეალური გავლენის მოპოვება, მაშინ მათ ამისთვის მარშალის გეგმის ტიპის დიდი გამომაცოცხლებელი დახმარების მიცემა უნდა შეძლონ.

კითხვას „რა მიზანი“, ეძლევა სხვ კითხვისა „არის თუ არა დესტაბილიზაცია თვითმიზანი?“. ბუდმივი დაძაბულობა აქ სამხედრო ძალის ყოლისა და კონტროლის საბაბს ქმნის. ამ მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო შედეგი ის არის, რომ კონტროლის მოხსნისთანავე — თუნდაც წამით — ჩნდება ულმობელი სამოქალაქო ომის საფრთხე მაკედონიის მოსახლეობასა და მაკედონიის წინააღმდეგ წაქეზებულ ალბანელთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლესი ისტორიის ფურცლებიდან

რა ხდება რუსეთში: აღორძინება, სტაგნაცია თუ ხრწნა?

ჟ. „THE ECONOMIST“ რუსეთის შესახებ.

I. რა ხდება რუსეთში: აღორძინება, სტაგნაცია თუ ხრწნა?

გარეგნულად რუსეთს, თითქოს, არა უშავს რა: იგი დემოკრატიულია, „საბაზრო“ და მეზობლებთან ცივილიზებული ურთიერთობა აქვს. მაგრამ შედეგი, ჯერჯერობით, ძალიან მჭლეა.

მიზეზია სამი ტენდენციის ურთიერთქმედება. პირველია აღორძინებისა, რაც „პერესტროიკამ“, შიშისა და ეკონომიკური თუ სხვა საქმიანობის შემზღუდველი ბორკილების დამსხვრევამ მოიტანა. მეორეა სტაგნაციისა, ანუ ჩამყაყებისა, პარალიზაციისა, კომუნიზმის გაუქმება ზედაპირული აღმოჩნდა. სახელმწიფო, მისი სტრუქტურები და ხარბი ბიუროკრატები არ თმობენ პოზიციებს და ამით ამრუდებენ თითქოსდა განთავისუფლებულ პროცესთა (მათ შორის, ეკონომიკურთა) სასიკეთო მსვლელობას. მრავალთა ცნობიერებაში ტრადიციამ, ხელისუფლების ავტორიტეტმა და ერთიანობამ ვერ დაუთმო ადგილი აქსპერიმენტს, შეჯიბრებასა და პლურალიზმს. მესამეა მზარდი დაცემა (ხრწნა, დაშლა). რუსეთის ელიტამ სერიოზულად არც კი ცადა იმ დაღმასვლის შეჩერება, რომელმაც რუსეთს ადვილად წააგებინა ცივი ომი. ყველაფერი, რაც სსრკ-მ ააგო, უხარისხო იყო, მაგრამ ახალ რუსეთს არც ფული, არც ნების ძალა აქვს იმ საბჭოთა სტანდარტების შენარჩუნებისთვისაც კი. ამ დაცემაში შედის განათლების მოშლაც (დონის დაცემა) და დემოგრაფიისაც. ზოგი პროგნოზით, მოსახლეობამ დღევანდელი 145 მილიონიდან 2075 წლისთვის... 55 მლნ-მდე უნდა დაიწიოს. რუსეთის დღევანდელი მთავარი ნაკლოვანებებია ომი ჩეჩნეთში, გაუბედურებულ და გარიყულ მოქალაქეებისადმი გულგრილობა, კორუფცია, უმცირესობათა ჩაგვრა. მისი პლუსია სტაბილობა (არსებითად, ყველა პარამეტრისა), რასაც პუტინს მიაწერენ და უმადლიან.

II. ეკონომიკა

რუსეთმა მიაღწია დაბალანსებულ ბიუჯეტს, ვაჭრობის დიდ ზრდას, ეკონომიკურ ზრდას. მისი მინუსია: ყველაზე ღარიბი ევროპული ქვეყნის, პორტუგალიის დონის მისაღწევად რუსეთს, წელიწადში 8% ეკონომიკური ზრდაც თუ ექნა, 15 წელი დასჭირდება.

რუსეთის ეკონომიკის 8%-იანი ზრდა გასულ წელიწადში განაპირობა რუბლის დევალვაციამ და ნავთობის ფასთა აწევამ. წლეულს ეს ზრდა 4%-ზე დადის. (ამ ტემპით იგი დღევანდელ პორტუგალიას 40 წელიწადში დაეწევა). მიუხედავად დიდი შემოსავლისა ნედლეულის გაყიდვიდან, ინფლაცია ორჯერ აღემატება განზრახულ 14%-ს, რაც რუსული წარმოების არაკონკურენტუნარიანობის ხიფათს შეიცავს. ბუნებრივი რესურსების გაყიდვით მიღებული „ადვილი ფული“ ზრდის გაცვლის (გადახურდავების) ტემპს და ინფლაციას, რაც დანარჩენ ეკონომიკას დახრჩობით ემუქრება.

დღეს რუსეთში მიწა, შრომა და ბიზნესის ყველა სხვა ხარჯი იაფია. ამიტომ გასაკვირია, რომ უცხოეთიდან დაბანდების ინტერესი ცოტაა. მიზეზებია ცუდი ბიუროკრატია, ცუდი საგადასახადო კანონმდებლობა და მენეჯმენტი. დღეს საქმე ცოტა უკეთაა: ბარტერი გზას უთმობს ნაღდ ფულს. კარგად შეფუთული საპნის, შოკოლადის და სხვა ამგვართა მეწარმენი უცხოელთა სერიოზულ კონკურენტებად იქცნენ. მაგრამ, — მიუხედავად ზოგი რუსის დიდი წარმატებისა — რუსულ ფირმათა უმრავლესობა მხოლოდ შინაგან, დაცულ ბაზარში ყვავის, სადაც მხოლოდ ენერგიის დადაბლებული ფასები წლიურად 25 მლრდ. დოლარს ზოგავს. კაპიტალის გადენა (1,5 მლრდ. დოლარი თვეში) ფულის დიდ რაოდენობაზე მეტყველებს. რუსეთის ეკონომიკურ წინსვლას ძალიან უშლის ის, რომ მის „ზემო სართულებში“ მოქმედება წარმოადგენს „იერარქიის, კავშირების, გავლენის მოპოვების“ ძიებას და არა „ორგანიზაციისა, განჭვრეტისა და დაგეგმვისას“. რუსეთში მიღებული ილეთები კომპანიის მართვისა ვერ გაჭრის უფრო მჭიდრო და უფრო გამჭვირვალე ბაზრების პირობებში. რუსებს ძალიან აკლიათ თანამედროვე მენეჯმენტისთვის საჭირო ჩვეები და ორიენტაციები, მათ შორის ისეთები, რომლებიც არ მომდინარეობს ნიჭისა და ინიციატივისაგან. ძალიან აფერხებს დემოკრატიასაც და ბიზნესსაც ჭარბი კონტროლისა და ბიუროკრატთა მექრთამეობის ფაქტორიც.

III. პოსტ-კომუნისტური რეფორმირება

რუსეთს გარდაქმნა უჭირს იმიტომ, რომ უმართავად დიდი სივრცე აქვს და არა აქვს გამოცდილება კანონიერებისა, პირადი საკუთრებისა და მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობისა.

რუსეთის დღევანდელმა მმართველებმა სამი დიდი ცვლილება მოახდინეს: აღადგინეს ცენტრალიზმი (ასე რომ დღეს რუსეთი აღარაა დაშლის პროცესში), დათრგუნეს ოლიგარქი პოლიტიკოსები (ბერეზოვსკი, გუსინსკი, ვიახირევი და სხვანი), და რეალურად შექმნეს ზემოდან მართული სისტემა, რომელიც მასმედიასაც მოიცავს. მორჩილნი არიან, ძირითადად, პარლამენტარებიც.

რუსების ძალიან დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მათი ქვეყანა ავტორიტარიზმის ელემენტებს დაძლევს, მათ დადებით ნაყოფს გამოიყენებს, წესრიგის სახით, და, — ჩილესა და ტაივანივით — ნამდვილ დემოკრატიად დადგება. მათ რატომღაც არ აგონდებათ აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ბნელ ავტორიტარიზმში დარჩნენ. თუ აზროვნების ეს წესი არ დაიძლია, რუსეთი მხოლოდ მეორეხარისხოვან ქვეყნად დადგება, არა პირველხარისხოვნად.

პუტინისეულმა მართვამ რუსეთს ცოტა ძალა შეჰმატა და ბევრი — სტაბილობა. მაგრამ იგი ბევრად უფრო ქმედებისუნარიანი ვერ გახადა. ეკონომიკური ზრდის პირობებმა წინ დიდად ვერ წაიწია. ბიზნესმენებსა და რეგიონულ ლიდერებზე ჯავრის ამოყრამ ძლიერი ხელის მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილება შექმნა.

IV. სახელმწიფოები სახელმწიფოებში.

რუსეთში ძალაულებას ფლობენ:

კრემლი. მას აქვს პარტიის მთელი ძველი ქონება, მაგრამ აკლია ადმინისტრაციული ძალა.

უშიშროების სამსახურები: მათი ძალაა გამოულეველი კომპრომატი ყველაზე, „თბილი ადგილების“ ზღვა (დაწყებული უბნელესით და დამთავრებული წესიერით, მაგ. ბიზნესის დაცვით). პუტინმა მისი ეს შესაძლებლობები გაზარდა. მაგრამ უშიშროებას, ტრადიციულად „პარტიასთან“ და მის განმასახიერებელ კრემლთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

დიდი ბიზნესი. ეს, ძირითადად, ენერგია და ლითონებია. მათი სიმდიდრე „ზრიკებით“ მოპოვებულია და ასევე შეიძლება დაიკარგოს. ამიტომ ცნება „საკუთრება“ რუსეთში აბსოლუტური არაა. დღეს ძლიერნი არიან, ჰყავთ თავისი უშიშროების სამსახური, საკანონმდებლო ლობი, მოხელეთათვის მისაცემი ქრთამების უწყისები და ა. შ.

მთავრობის მინისტრები. მათ ავტონომიის დიდი ხარისხი აქვთ. ადმინისტრაციის ცოდნაში ძალიან ძლიერნი არ არიან, გამოძალვაში — არიან. დადებითად გამოირჩევიან გადასახადებისა და საბაჟო უწყებები. სამინისტროს შიგნით რამის შეცვლა და ახალი პატიოსანი კადრის პოვნა ძალიან ძნელია.

პროკურორები. ძალიან ძლიერნი არიან. პრაქტიკულად ყველას დაჭერა და მისჯა შეუძლიათ, ცუდი და წინააღმდეგობრივი კანონების წყალობით. მათი მდგომარეობა სტალინის აქეთ არ შეცვლილა.

შეიარაღებული სამსახურები. ადრინდელზე უფრო სუსტები არიან, მორალური დონე შელახული აქვთ ჩეჩნეთში განცდილი დამარცხებების შედეგად. სჭირთ კორუფცია. სულ ფორმიანები 2 მლნ-ზე მეტნი არიან. მათი მრეწველობა ცოტა მოცოცხლდა ხელსაყრელი შეკვეთებისა და დაფინანსების გაზრდის გამო.

ცენტრალური ბანკი. დამოუკიდებლად ითვლება, აქვს თავისი საკუთრების უზარმაზარი იმპერია. ხშირად იწუნებს ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკას. მისი აზრი გადის ხოლმე.

ორგანიზებული დანაშაული. განგსტერები ნაკლებად ჩანან, ვიდრე ადრე, რადგან ლეგალურ სტრუქტურებში შეაღწიეს, მაგრამ გარეთაც ძლიერი კავშირები აქვთ.

ყველა ესენი თავის შიგნითვე განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფებს შეიცავენ. ასეთი დაყოფები მეორდება ყველა რეგიონში და ზედ ადგილობრივი არჩეული ხელისუფლებანიც ემატებიან. ყველა ამაზე კრემლის კონტროლი შეზღუდულია. რეალური ძალაუფლების ეს გაფანტულობა იწვევს სტაგნაციას, რადგან ბევრია და დიდია ინტერესები, რომელთაც ცვლილება არ უნდათ.

V. სამართალდაცვა.

სამართალდაცვის სისტემა ძლიერ კორუმპირებულია. კანონს ბოროტად იყენებენ პოლიტიკური მიზნითაც და მატერიალურითაც. თუმცა პუტინი „კანონის დიქტატურაზე“ ლაპარაკობს, მს, რეალურად, სამართალდამცავი სისტემა სახელმწიფო ორგანო ჰგონია, რომელიც პატიოსანი ხალხით უნდა დააკომპლექტო.

VI. ვინაა პუტინი?

პუტინის პირველი გამოსვლების ჟარგონულმა და აგრესიულმა სტილმა, მოურიდებელმა დეზინფორმაციამ და შემტევმა სულსწრაფობამ თანდათან ადგილი დაუთმო ლაპარაკს სამოქალაქო საზოგადოებაზე, ევროპულ ინტეგრაციაზე და კანონის უზენაესობაზე. ვინ არის იგი: საიდუმლო სამსახურთა კაცი, რომელსაც იმპერიის აღდგენა ჰსურს? თავისი კულტის დამნერგავი? რეფორმებისა და დემოკრატიის გულწრფელი მომხრე? კაცი, რომელიც მხოლოდ თავის სისუსტეთა დაფარვას ცდილობს? ვერშემდგარი ტირანი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება კვლავ ეკონომიკური პროტექციონიზმისკენ და აზიის ქვეყნებისკენ იბრუნოს პირი, თუ მოდერნიზატორი? ფაქტია, რომ მან გააძლიერა უშიშროების როლი, მაგრამ არა იმდენად, რომ პოლიციურ სახელმწიფოს მიუახლოვდეს. დღეს იგი ფრთხილადაა. მაგრამ ეს სიფრთხილე, უბრალოდ, „მცირე რისკის“ პოლიტიკას ჰგავს და არაფრით უშლის იმას, რომ რუსეთის ლპობა გაგრძელდეს.

VII. რუსეთი ჯრიალებს?

ეს პესიმისტური ფორმულა ეკუთვნის მხოლოდ რუსეთის ინფრასტრუქტურის მდგომარეობას: მოძველებულ წარმოებას, მომსახურებას, ცხოვრების პირობებს (მაგრამ არა სახელმწიფოს მთლიანობას). მაგრამ, ამ ფონზეც კი, რიგი საწარმოებისა და დარგებისა — მაგ., ტელეკომუნიკაციები და ბენზინგასამართი სადგურები — ადრინდელზე უკეთ მუშაობს.

VIII. რუსეთი თავისთავს და თავის ადგილს ეძებს

რუსეთის პოლიტიკას სამი სურვილი ამოძრავებს: დასავლეთთან დამეგობრება (უფრო მეტად — ევროპასთან), ამერიკელების „მსოფლიო ჰეგემონიისთვის“ ძირის გამოთხრა და ყოფილ სსრკ-ს სივრცეში გავლენის განმტკიცება.

პირველი ამოცანა. არის მიღწევები. რუსეთს ევროპასთან კარგი ვაჭრობა აქვს, განსაკუთრებით, ბუნებრივი აირის მიწოდების მხრივ. უნდა გაწევრიანება „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ (WTO), რაც დიდ ექსპორტერ კომპანიებს არგებს, მაგრამ შიდა ბაზარზე მეტოქეებს გააძლიერებს. საგარეო ინვესტიცია 1991 წლიდან — 21 მლრდ. დოლარი — იმის ნახევარია, რაც პოლონეთში ჩაიღო.

პოლიტიკურად რუსეთს ამ საქმეში ძალიან უჭირს, ძირითადად, ჩეჩნეთის გამო. ჩეჩნეთში ჩადენილ უკანონობებს ავტომატურად მოსდევს სხვაც, როგორიცაა, მაგ., პრესის დათრგუნვა.

მეორე ამოცანა. არც აქ ჩანს დიდი წარმატება. პუტინმა მოირბინა კუბა, ლიბია, ვიეტნამი და ჩრდ. კორეა — ეს ღარიბი და განკვეთილი ქვეყნები, — აგრეთვე ირანს და ერაყს ეკურკურება. მაგრამ ეს დიდს ვერაფერს იძლევა ვერც პოლიტიკურად, ვერც ეკონომიკურად. ჩინეთთან და ინდოეთთან მეტი წარმატება აქვს, „შანხაის ექვსეულიც“ შექმნეს, მაგრამ რეალური შედეგი მაინც ნაკლები აქვს.

იარაღის ექსპორტი ყვავის, მაგრამ მასობრივი მოსპობის საკუთარი არსენალები რუსეთს გამოუყენებელი ურჩება. ფლოტის აღდგენის გეგმები გადავადებულია. რუსეთი თმობს თავის უკანასკნელ დიდ საზღვაო ბაზას ვიეტნამში. დასავლეთის გეგმებზე (ნატოს გაფართოება და სხვ.) იღრინება, მაგრამ აქაც თმობს.

მესამე ამოცანა. რუსეთმა თუ სადმე გაიხარა, ეს სსრკ-ს ყოფილი სივრცეა. აქ რუსების ძალა განუხრელად იზრდება. შუა აზიას იგი ისლამური ტერორიზმის შიშით იმხრობს, ბევრს — გაზის მიწოდების რეგულირებით. ელჩი უკრაინაში ჩერნომირდინი იქაურ „ვიცე-მეფედ“ იხსენიება.

როგორია პერსპექტივები? ევროპა რუსეთს უფრო უნდა მოდერნიზაციის წყაროდ, ვიდრე დემოკრატთა კლუბად. დასავლეთს იმედი აქვს, რომ პუტინი „ძალიან ცუდს“ არაფერს იზამს, მაგრამ ეს იმედი არამყარია, რადგან ნავთობის ფასების ზრდამ რუსეთი გაათავისუფლა დასავლეთზე დამოკიდებულობისაგან.

მოსალოდნელია, რომ რუსეთის ეკონომიკა საკმარისად გაიზარდოს, რათა კატასტროფა აიცილოს. ამაზე მეტი მოსალოდნელი არაა. ნაკლების საშიშროება კი არსებობს.

გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ჩვენს ირგვლივ?

ვისთან საბრძოლველად ამზადებს თურქეთი ჯარებს?

(დასაწყისი წინა ნომერში)

რუსეთის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთ რაიონებში – კალინინგრადის ოლქსა და ლენინგრადის სამხედრო ოლქში – ჯავშანსატანკო ტექნიკასა და არტილერიის მნიშვნელოვანი რაოდენობაა განლაგებული (სულ დაახლ. 1700 საბრძოლო ტანკი, 1360 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 1280 საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 67 სატანკო ხიდგამყვანი, 115 დამრტყმელი და 120 საბრძოლო უზრუნველყოფის ვერტმფრენი), პირადი შემადგენლობა კი ძალზე ცოტაა (სულ 63100-მდე ადამიანი). შესაბამისად საბრძოლო ტექნიკისა და არტილერიის უმეტესი ნაწილი შეყვანილია საწყობებში, ხოლო აქ განლაგებული შეიარაღებული შემადგენლობისა და ძირითადი შეიარაღების დიდ დანაკლისს განიცდიან (მოტომსროლელ დივიზიებში შტატით გათვალისწინებული 10-12000 ადამიანის ნაცვლად ნაჩვენები იყო 1850-დან 3420-მდე ადამიანი). ანუ ამ მიმართულებით რუსული სარდლობა არ მოელის სავარაუდო მოწინააღმდეგის მხრიდან მსხვილი ძალებით შემოტევას და მზადმყოფი ჯარების განლაგებას არ საჭიროებს.

სამხრეთისკენ მოსკოვის სამხედრო ოლქში განლაგებულია რუსეთის სახმელეთო ჯარების ყველაზე უფრო მსხვილი დაჯგუფება. აქ 1998 წელს ნაჩვენები იყო 105300-ზე მეტი ადამიანი, 2020-მდე ტანკი, 2445 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 1890 საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 315-ზე მეტი სატანკო ხიდგამყვანი, 222 დამრტყმელი და 210-მდე საბრძოლო უზრუნველყოფს სატრანსპორტო ვერტმფრენი.

ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში რუსულ სარდლობას განლაგებული ჰყავს სახმელეთო ჯარების სიძლიერით მეორე დაჯგუფება (მოსკოვის სამხედრო ოლქის შემდეგ). 1998 წელს მასში ამიერკავკასიაში განლაგებული სამხედრო ბაზების ჩათვლით, ნაჩვენები იყო პირადი შემადგენლობის 68100-ზე მეტი ადამიანი, დაახლ. 630 საბრძოლო ტანკი, 1795 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 810 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 55 სატანკო ხიდგამყვანი, 100 საბრძოლო უზრუნველყოფისა და 10 მძიმე სატრანსპორტო ვერტმფრენი. აქ სხვა ჯარებთან ერთად, ქალაქებში ვლადიკავკაზსა და ვოლგოგრადში განლაგებულია კარგად დაკომპლექტებული და საბრძოლველად მზადმყოფი 19-ე და 20-ე მოტომსროლელი დივიზიები.

სწორედ 19-ე, 20-ე, 27-ე მოტომსროლელი და 10-ე სატანკო დივიზიების გამოყენებას უნდა გეგმავდეს რუსული სარდლობა თურქულ-დასავლური ალიანსის მიერ ამიერკავკასიაში გაჩაღებული ომის საწყის ეტაპზე აქ განლაგებულ სამხედრო ბაზებისთვის დასახმარებლად და აგრესორების მოსაგერიებლად.

ამაზეც მიგვანიშნებს ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში რუსეთის სახმელეთო ჯარების მართვის ოპერატიული რგოლის ორგანოების განლაგების რუკაც. აღნიშნულ სამხედრო ოლქში რუსულ სარდლობას განლაგებული ჰყავს ერთი საველე არმია (58-ე) და ორი ცალკეული კორპუსი (67-ე და მე-8). არმიის შტაბი განლაგებულია ქ. ვლადიკავკაზში, ცალკეული კორპუსებისა – კრასნოდარსა და ვოლგოგრადში. დღესდღეობით 58-ე არმიაში ერთი მოტომსროლელი დივიზია (19-ე) და ორი ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადაა. მაგრამ, როგორც სამხედრო საქმის ერთ-ერთმა ქართველმა მკვლევარმა განგვიმარტა, 1942 წელს დამტკიცებული შტატებით, სრულად დაკომპლექტებულ რუსულ საველე არმიაში უნდა შედიოდეს ექვსი მოტომსროლელი (სატანკო) დივიზია, აგრეთვე საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის შენაერთები და ნაწილები.

ვინაიდან რუსული სარდლობა ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში ინარჩუნებს არმიის შტაბს, ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, იგი ამ არმიის სრულიად გაშლას უნდა ვარაუდობდეს, ხოლო ვინაიდან არმიის შტაბი დისლოცირებულია ქ. ვლადიკავკაზში (რუსეთის უკიდურეს სამხრეთ რაიონში), ამიტომ ამ დივიზიებისა და სხვა ჯარების გამოყენებას რუსული სარდლობა უნდა გეგმავდეს სწორედ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

ანუ დასავლეთის მიერ ინსპირირებად მომავალ სავარაუდო ომის აცილებას რუსეთი არ ცდილობს, იგი მას არ გაურბის, არამედ საქმიანად ემზადება ამ ომისთვის. ხოლო თავის სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ტერიტორიული მთიანობის (ჩეჩნეთის მოვლენების გათვალისწინებით) დაცვას უკვე ამერიკავკასიაში აპირებს.

ასეთია დასავლეთისა და რუსეთის სამხედრო დაპირისპირების დღევანდელი სურათი. ამავე ჭრილში

რუსეთის ევროპულ ნაწილში სახმელეთო შეიარაღებების, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე ბოგზდამყენი და მოერიგე საავიაციო პოლკების განლაგება

უნდა განვიხილოთ აზერბაიჯანული და სომხური სარდლობების დამოკიდებულებაც საქართველოს მიმართ. უნდა ითქვას, რომ სამხედრო ხარჯების, შეიარაღებული ძალების რიცხოვნებისა და ძირითადი შეიარაღების მიხედვით ამიერკავკასიის ეს ორივე სახელმწიფო აღემატება საქართველოს. მართალია, მათი ჯარები ძირითადად ერთმანეთის საპირისპიროდ დგანან, მაგრამ გარკვეული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ისინი არც საქართველოში შემოჭრაზე უნდა ამბობდნენ უარს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში ჯარების განლაგების გაცნობა.

აქ, 1998 წლის მონაცემებით, სომხურ სარდლობას აქ განლაგებული ჰყავს მე-3 საარმიო კორპუსი (შტაბი ქ. ვანძარში, ყოფ. კიროვაკანი), რომლის საბრძოლო ჯარები, მოტომრობოლელი ბრიგადა და ორი მოტომსროლელი პოლკი, განლაგებული არიან აზერბაიჯანთან მოსაზღვრე რაიონში, ქალაქში – ნოემბერიანში, იჯევანსა და ბერდში. მათ ზურგში – ქ. დილიჟანში განლაგებულია სატანკო ბატალიონი, ხოლო უფრო ღრმა ზურგში – სარეზერვო მოტომსროლელი პოლკი. ერთი შეხედვით, ეს არის პოზიციური თავდაცვისთვის ჯარების განლაგების ტიპიური სქემა. მაგრამ ასეთ თავდაცვით „იდილიას“ არღვევს ის გარემოება, რომ სომხურ სარდლობას ქ. ნოემბერიანში დისლოცირებული 543-ე მოტომსროლელი პოლკის შეიარაღებაში შეყვანილი ჰყავს სატანკო ხიდგამყვანი. ამ უკანასკნელს ჩვეულებრივ იყენებენ შეტევით მოქმედებების დროს, წყლის დაბრკოლებებისა და განიერი თხრილების სწრაფად გადალახვისა და შეტევის მაღალი ტემპების შენარჩუნების მიზნით.

მართალია, აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე მოედინება მდინარე მტკვარი, მაგრამ ამ რაიონში აზერბაიჯანული მოტომსროლელი ბრიგადები განლაგებულია ქალაქებში ყაზახსა და თოვუზში, რომლებიც მტკვრის კალაპოტიდან დასავლეთით, სომხეთისკენ მდებარეობენ და მათზე შესატევად სომხურ ჯარებს ამ მდინარის გადალახვა უბრალოდ არ სჭირდებათ.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც თბილისის სამხრეთით მოედინება მდ. ხრამი. სწორედ ეს ბუნებრივი დაბრკოლება გამოიყენეს ქართველმა გენერლებმა მაზნიაშვილმა და კვინიტაძემ 1918 წლის დეკემბერში საქართველოში შემოჭრილი სომხური ჯარების შესაჩერებლად და შემდეგ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან გასადევნად. მაგრამ მაშინ ისტორიული ლორეს ოლქი საქართველოს ეკუთვნოდა და, შესაბამისად, სომხეთის სახელმწიფო საზღვარი დღევანდელთან შედარებით სამხრეთით გადიოდა, თანაც ჯარების მექანიზაციის დონე დაბალი იყო და მათ ქვეითად უხდებოდათ გადაადგილება. ამან კი საკმარისი დრო მისცა ქართულ სარდლობას მდ. ხრამის ნაპირზე შეძლებისდაგვარად მტკიცე თავდაცვის მოსაწყობად.

დღესდღეობით ეს უპირატესობები უკვე აღარ არსებობს, და წაგებული ომის გამოცდილების გათვალისწინებით, სომხური სარდლობა საქართველოსთან მოსალოდნელ ომში უდიდეს მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს მდ. ხრამის ფორსირებას და შემდეგ თბილისისკენ შემოტევას. თანაც სომხების ასეთი გეგმა უნდა განვიხილოთ რუსული ჯარების მიერ საქართველოს დაკავებისა და აქ განლაგებული სამხედრო ბაზების სწრაფად გაძლიერების საერთო ჩანაფიქრის ფარგლებში.

აზერბაიჯანსაც გააჩნია ჩრდილო-დასავლეთ რაიონში განლაგებული ჯარების შეიარაღებაში სატანკო ხიდგამყვანი, მაგრამ მას იგი განლაგებული ჰყავს ქ. განჯაში, რომელიც საქართველოს საზღვრიდან საკმაოდ მოშორებითაა. ამიტომ, სომხური სარდლობისგან განსხვავებით, საქართველოსთან შესაძლო კონფლიქტში ამ ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა მოულოდნელ თავდასხმასა და სწრაფ შემოტევას ისეთ დიდ მნიშვნელობას არ უნდა ანიჭებდეს.

ასეთია მოკლედ დღესდღეობით საქართველოს გარშემო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მოკლე ანალიზი, რაც აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ე. წ. „ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოების“, „მსოფლიო უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბების“ ან „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების ლოზუნგებით დასავლეთის მმართველი წრეები ამზადებენ მსხვილმასშტაბიან ომს ამიერკავკასია-ცენტრალური აზიის მიმართულებით, რომელიც სულ ადვილად შეიძლება გადაიზარდოს მესამე მსოფლიო ომში, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ირაკლი ხართიშვილი

რუსეთი კოდორის ხეობაში ატომური ნარჩენების სამარხს აშენებს!

გაგრძელება მე-11 გვ.

ნიერო ტექნიკურ ცენტრში, საკოორდინაციო კომიტეტში საქართველოს წარმომადგენელი ვარ და გამომდინარე აქედან, ვიცი, რომ ეს საცავები რუსებმა მაღალი ტექნოლოგიით დაამშავეს. მას რადონი ჰქვია და როგორც რუსები ამბობენ, ასეთი 12 აშენდა. საშიშროება იქ ყოველთვისაა. მე ვიცი ამერიკელების აზრი რადონის შესახებ, რომ მაღალი დონისაა და შეიძლება რადიოაქტიური ნივთიერებები გარკვეული პერიოდის განმავლობაში იქნეს შენახული. რაც შეეხება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განლაგებულ საცავებს, არ მინახავს და არ ვიცი, რა პროექტია იგი. შესაძლოა, ძველი პროექტით იყოს გაკეთებული და თუ ეს ასეა, ჩათვალეთ, რომ ეს არის ყუმბარა.

– ამჟამად თუ ფლობთ ინფორმაციას, რა ეტაპზეა აფხაზურ-რუსული მოლაპარაკებები? რა თქმა უნდა, სარკოფაგის პრობლემას ვგულისხმობ.

– ნამდვილად არ ვიცი, ამჟამად როგორ აწარმოებენ მოლაპარაკებებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმ შეხვედრის შემდეგ, როდესაც ატენსს-ს წარმომადგენლები დაბრუნდნენ აფხაზეთიდან, მე ბილბაომ მადლობა გადამიხადა იმ ინფორმაციისათვის, რომელიც აღნიშნულთან დაკავშირებით მივაწოდე მათ. ამის შემდეგ არანაირი ინფორმაცია არ მიმიღია. ახლა, როგორც ვნახეთ, რუსები გამოდიან წინადადებით, ორ სარკოფაგს აგიშენებთო. არავითარ შემთხვევაში. ეს დაუშვებელია. აქ არის უმაღლესი ტექნოლოგიები, რომლებსაც არ იცავენ. რატომ მოხდა ჩერნობილის კატასტროფა? საერთოდ, ჩვენ, ალბათ, ბევრ რაღაცას უნდა გადავხედოთ.

– უფრო კონკრეტულად?

– აი, თუნდაც, სომხეთის ატომური ელექტროსადგური. ჩვენი კანონმდებლობით ამ სადგურში საქართველოს ტერიტორიის გავლით ყოველგვარი რადიაქტიური ნივთიერების ტრანზიტი აკრძალულია. როგორ მიდის ეს საწვავი სომხეთის ატომურ-ელექტრო სადგურში? სად მიდის ნამუშევარი ნარჩენები, რომლებიც საცავთან გროვდება? ღირს მისი დაგროვება? გარკვეული პერიოდის შემდეგ ის მიაღწევს ზღვარს და შეიძლება კიდევ უფრო საშიში გახდეს, ვიდრე ის სარკოფაგი, სადაც ყველაფერი ეს უმაღლეს დონეზეა შენახული.

რუსეთის კანონმდებლობით აკრძალული იყო რადიაქტიური ნივთიერებების ნარჩენების ტრანსპორტირება რუსეთის ტერიტორიაზე. ახლა მიიღეს შესწორება, რომ გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია ამ კანონის დარღვევა. ე. ი. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ტრანსპორტირება და ასეთი საცავი ურალში ან ციმბირში კიდევაც აშენდება. სხვათა შორის, ეს დიდ შემოსავალს მისცემს რუსეთს. აქვე მინდა გითხრათ, რომ მომავლის ტექნოლოგიები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ეს ნარჩენები მომავალში მშვენიერი ნედლეული გახდეს. ამიტომ უსაფრთხოების დაცვის პირობებში ორმაგ მოგებას მიიღებს ქვეყანა და ამავე დროს ამუშავდება მომავლის ტექნოლოგიები.

ესაუბრა **მარი ჩიტაია**

ციებ-ცხელება

როცა ექიმი გამოცდას ვერ აბარებს?!

ექიმთა სასერთიფიკაციო გამოცდების ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა არა მარტო მედიცინის მუშაკები, მოსახლეობაც დაინტერესა, საზოგადოება ცნობისმოყვარედ ადევნებს თვალს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე მოვლენებს, არაპროფესიონალი ექიმის ხელში ჩავარდნილ ადამიანებს რაც ელის, ძნელი მისახვედრი არ გახლავთ. ექიმის დიპლომებით დახუნძლული საავადმყოფოს თანამშრომლებში კი ავის და კარგის ერთმანეთისაგან გარჩევა ყველას უჭირს. ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი პრობლემების მოგვარება იქნებ 2001 წლის 8 ივნისს მიღებული „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონით მაინც მოხერხდეს, თუმცა კანონი სხვა არ კანონობს და ამის იმედი ვის უნდა ჰქონდეს. ასეა თუ ისე, ცვლილებები ხდება, შედეგი სასიკეთო იქნება თუ არა, შემდეგ გამოჩნდება.

ვესაუბრებით სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ქალბატონ **ქეთი .კავთიაშვილს**.

– ქალბატონო ქეთი, სასერთიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები მოხდა. 2001 წლის ივნისიდან სამედიცინო განათლების მქონე პერსონალს აეკრძალება დამოუკიდებელი საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობა სპეციალისტის სახელმწიფო სერთიფიკაციის გარეშე. ვისზე ვრცელდება ეს გადაწყვეტილება?

– ყველაზე, გარდა იმ პირებისა, ვინც მიმდინარე წლის 1 ივნისამდე მიმართა სასერთიფიკაციო საბჭოს, მაგრამ არ ჩაუტარდათ გამოცდა. 2001 წლის 1 სექტემბრამდე მათ ეძლევათ დამოუკიდებელი საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება. გამოცდები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში, სწორედ ამ კონტინგენტისათვისაა განსაზღვრული. საერთოდ, გამოცდებს შორის 6 თვიანი ინტერვალი იქნება, ამიტომ, პირს, რომელსაც გამოცდის ჩაბარება სურს, განმეორებით გასვლის უფლება 1 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ აქვს, მანამდე მოქმედი კანონმდებლობით ეს ვადა 3 თვით განისაზღვრებოდა.

– სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე არასამედიცინო განათლების მქონე პერსონალის სერთიფიცირების საკითხი როგორ დგას?

– ლაბორატორიებში საკმაოდ გამოცდილი არასამედიცინო განათლების მქონე სპეციალისტები მუშაობენ. კანონით, ზემოაღნიშნულ კონტინგენტს 2002 წლის 1 იანვრამდე აქვს სასერთიფიკაციო გამოცდების ჩაბარების უფლება, გამოცდები სექტემბრიდან დაიწყება. ვერ ან არ ჩაბარების შემთხვევაში მათ აეკრძალებათ დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება.

– კანონმდებლობა გამოცდების გადატანა-გადავადებას არ ითვალისწინებს?

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის პირი შრომის კანონმდებლობის თანახმად, გათავისუფლებულია სამუშაოს შესრულებისგან (სადეკრეტო შვებულება, შრომისუუნარობის დამადასტურებელი ცნობა და სხვა).

– ვინც პირველ ივნისამდე ვერ ჩააბარა საერთიფიკაციო გამოცდები – რა ბედი ეწევა?

– მათ ეკრძალებათ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონი უმცროსი ექიმის სტატუსის შემოღებას ითვალისწინებს. ეს იმ პირებს ეხებათ, ვისაც სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი აქვთ დამთავრებული, მაგრამ დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერთიფიკატს არ ფლობენ. გარდა ამისა, გამოცდაჩაუბარებელ პირთათვის მოიაზრება მათი გადამზადება.

– რა კრიტერიუმებით ხდება სასერთიფიკაციო გამოცდებზე სპეციალისტების დაშვება?

– გამოცდაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაასრულა რეზიდენტურისა და ასპირანტურის კურსი და მოცემულ სპეციალობაში მუშაობის დამადასტურებელი მოწმობა აქვს.

– როგორ დგას იმ პირთა სერთიფიცირების საკითხი, ვინც სხვა ქვეყანაში გაიარა რეზიდენტურის ან ასპირანტურის კურსი, ან უკვე ჩაბარებული აქვს გამოცდა?

– ჯანდაცვის სამინისტრო წყვეტს იმ ქვეყნების ნუსხას, რომელთა რეზიდენტურის კურსის პროგრამა შეესაბამება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კატეგორიებს. ხოლო სახელმწიფო სერთიფიკატის მიმნიჭებელი საბჭო განსაზღვრავს იმ სერთიფიკატების უფლებამოსილებას, რომლითაც პირს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება ენიჭება გამოცდის ჩაბარების გარეშე.

ქეთი ჩადუნელი

დავეხმაროთ საკუთარ თავს!

მეხსიერების გაუმჯობესებისთვის

რა იქნა გასაღები? ნეტავ, სათვალე სადღა დავდე? ამ კაცს ვიცნობ, მაგრამ სახელს ვეღარ ვიხსენებ. უჰ, რა საშინელებაა, „ენის წვერზე მადგას“.

ყველას გვავიწყდება რაღაც, ზოგი ამის გამო სერიოზულადაც წუხს... მაგრამ პანიკას ნუ მიეცემით!

შეიძლება ცოტა გადაილალეთ ან მართლა მოქანცული, ქანცგაწყვეტილი ხართ, ან ნეირონები გაგიზარმაცდნენ. ფრანგი დოქტორი ჟაკლინ რენო თავის წიგნში „როგორ გავიუმჯობესოთ მეხსიერება“ წერს: „ჩვენი მეხსიერება ხშირად გაცილებით უკეთესია, ვიდრე გეგონია, მაგრამ ისეთივე მუშაობას, ვარჯიშს, აზრებისა თუ სურათების ასოციაციებს მოითხოვს, როგორც სხეული ფიზიკურ ვარჯიშს, კუნთების გამაგრებას.

ამოცანა იმითაც გვიადვილდება, რომ მეხსიერება სიცოცხლის ნებისმიერ წამს გვჭირდება. არამარტო მანქანის სატარებლად (პროცედურული მეხსიერება, პრაქტიკული თუ ინტელექტუალური (აქტიური მეხსიერება) ცოდნის გამოსაყენებლად, არამედ ყოველდღიური ცხოვრების ყოველი ინფორმაციის „ჩასაწერად“, რომელთაც ვისმენთ რადიოთი, ტელევიზიით, საუბრებში (ეპიზოდური მეხსიერება), მაგრამ აქ გვებადება კითხვა, რატომ გვამახსოვრდება ზოგი ინფორმაცია, ზოგი კი გვავიწყდება? ყველაფერი კი ჩვენი დამახსოვრების დონეზეა დამოკიდებული.

ეს დონეები სამგვარია: ხანგრძლივი, საშუალო და ხანმოკლე მოქმედებისა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავიმახსოვროთ ჩვენი გვარი, დაბადების თარიღი (რაც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გვახსოვდეს), სასტუმროს ოთახის ნომერი, ტელეფონის ნომერი მოძებნის შემდეგ.

მეხსიერება საშველად მოუხმობს მხედველობას, სმენას, ყნოსვას, შეხებას, გემოსა და აზროვნების სისწრაფეს. როცა დამახსოვრებას ვერ ვახერხებთ, რომელიმე გრძნობის ორგანო წესრიგში არ გვაქვს (ცუდად ვხედავთ, კარგად არ გვესმის) ან განპირობებულია სტრესით, უძილობით, დეპრესიით, რაც იწვევს კონცენტრაციის ან ტვინის ფუნქციონირების დეფიქტს ალკოჰოლის ან ზოგი წამლის ზემოქმედებით (ძილის მომგვრელები ან ყურადღების დამქვეითებლები). პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ალცჰეიმერის დაავადება, რომელიც ნეირონების გადაგვარებით არის გამოწვეული.

მახსოვრობის ხარისხი დამოკიდებულია თქვენს ინტერესზე. თუ საუბრის თემა თქვენთვის აბსოლუტურად უინტერესოა და შემდგომში სამ სიტყვასაც ვერ გაიხსენებთ — ეს სავსებით ნორმალურია. გაცილებით უკეთესად ვიმახსოვრებთ იმას, რაც გვაინტერესებს. სხვათა შორის, სწორედ ეს გახლავთ მეხსიერების გასაღები. ასე რომ, იყავით ცნობისმოყვარენი, იჰოვეთ ინტერესების ცენტრები, ფართოდ გაახილეთ თვალები, დაძაბეთ სმენა... დოქტორი რენო: მეხსიერების ფუნქციონირება ბიბლიოთეკას უნდა შევადაროთ, რადგან აღქმის კარგი ფაზა შეესაბამება არსებული წიგნების სწორად განლაგებას სხვადასხვა კატეგორიებში. რაც უფრო მეტი ცნებაა ფორმულირებაში, მით უფრო ადვილი იქნება ამ წიგნის მოძებნა. ამისათვის ვარჯიში გჭირდებათ, გთავაზობთ რამდენიმე მათგანს, რომელთა წყალობითაც აუცილებლად გაიუმჯობესებთ მეხსიერებას.

მეხსიერებისა და ამავე დროს დაკვირვების უნარის გასავითარებლად: ამოირჩიეთ თქვენი ბინის რომელიმე ოთახი. დაწერილებით აღწერეთ როგორც ოთახი, აგრეთვე იქ განლაგებული ავეჯი, საგნები. შეადარეთ ჩანაწერი და რეალობა.

იგივე გააკეთე მეორე დღეს და ყოველდღე, სანამ აღარაფერი დაგავიწყდებათ. ახლა სხვა ოთახების აღწერას შეუდექით, მერე სოფლის სახლზე, სამუშაო ადგილზე, შემდეგ კი ფოტოებისა და ილუსტრაციების აღწერაზე გადადით.

აი, სავარჯიშო, რომელიც ხელს შეუწყობს მხედველობითი და ინტელექტუალური მეხსიერების დაკავშირებას: აირჩიეთ გაზეთში რომელიმე სტატია და გადახაზეთ ფანქრით ყოველი ასო „ა“. ახლა წითელი ფანქარი აიღეთ, ტექსტი ისევ წაიკითხეთ და დავიწყებული ასოები „ა“ გადახაზეთ. ეს სავარჯიშო დღეში ერთხელ, მაგრამ იმდენჯერ გააკეთეთ, სანამ „ფერადი კვალი“ არ გაქრება. როცა ამ შედეგს მიაღწევთ, სწრაფად დაიწყეთ კითხვა და გადახაზეთ „ა“. ამის შემდეგ გაზეთი დადეთ და ქაღალდზე დაწერეთ, რაც წაკითხული ტექსტიდან დაიმახსოვრეთ. მეორე დღეს სხვა ტექსტი აიღეთ და ახლა სხვა ასო გადახაზეთ. როცა მთელ ანბანს ჩაათავებთ, გგიკვირდებათ იმის კონსტატირება, თუ როგორი სისწრაფით „ხედავთ ყველაფერს“ და „იმახსოვრებთ ყველაფერს“.

თავი დაანებეთ სხვადასხვა ელექტროცნობარებს, მობილებიც, თითქოს, ცხოვრებას გვიადვილებენ. ცოტა ნებისყოფა დაძაბეთ და ამგვარი რამეები აღარ დაგჭირდებათ. შესანიშნავი მეხსიერება გექნებათ — გახსოვდეთ!

დაგვიანებული შეხვედრა

მინუსზე მომღერალი «ვარსკვლავები» ქართულ ესტრადას ღუპავენ

შეხვედრა, რომელიც დღეს მკითხველსა და ერთ ნიჭიერ საქსაფონისტს შორის შედგა, იქნებ, დიდი ხანია, უნდა მომხდარიყო, მაგრამ...

თუ ესტრადის მომღერალი არა ხარ, ორკესტრის და ანსამბლის წევრი, რა გინდ ნიჭიერი იყო, ძალაუნებურად ჩრდილში დგახარ და ხელოვნების უღელში შებმული ჭაპანს მორჩილებით, მშვიდად ეწევი. პოპულარობა, სახელი და დიდება კი ესტრადის მომღერალთა ხვედრია. ალბათ, ამიტომ დავაგვიანეთ, მაგრამ...

არა, **მერაბ კვანტალიანს**, როგორც პროფესიონალ საქსაფონისტს, ყველა იცნობს, მაგრამ როგორც მომღერალი და კომპოზიტორი სულ ახლახან წარდგა მსმენელის წინაშე. ნინო მარიამიშვილის ტექსტზე შექმნილმა სიმღერამ – „ჩემს დედა-თბილისს, ბავშვობის და ოცნების ქალაქს“ მსმენელის ყურადღება უცებ მიიპყრო. იგი ქართული „ქალაქური სიმღერების“ კრებულში მოხვდა. კასეტა სულ ახლახან გავიდა გაყიდვაში.

– ბატონო მერაბ, პროფესიონალი საქსაფონისტი ჩრდილში დგახართ. სად მოღვაწეობთ დღეს?

– ამ ბოლო წლებში საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრში სოლისტ-საქსაფონისტად ვმუშაობდი (დირიჟორი თენგიზ ამერიძე), თუმცა მჭონდა ბედნიერება ანსამბლ „პირამიდაში“ მემუშავა ზურაბ დოიჯაშვილთან, თამაზ სიჭინავასა და ბიძინა მაჭავარიანთან ერთად. ვმუშაობ საკუთარი სიმღერების შექმნაზე. სპეციალურად საქსაფონისთვის დავწერე ნაწარმოები „გასეირნება რუსთაველზე“. ჩემი სიმღერა „ცისფერი ზღვა“ უმოკლეს დროში აუღერდება ტელევიზიით. ხოლო „ჩემს დედა-თბილისს...“ უკვე კარგად იცნობს მსმენელი. იგი არაერთხელ აუღერებულა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე პროგრამა „ალიონში“, „დილის პაემანში“. სიმღერის კლიპი სანდრო კაპანაძეს ეკუთვნის, ხოლო ჩაწერილია ზურა ლალიაშვილის სტუდიაში.

– რა ხდება დღეს ქართულ ესტრადაზე და სად არის თქვენი ადგილი?

– გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ დღეს ქართულ ესტრადას არა ჰყავს ანსამბლები ცოცხალი შესრულებით, როგორიც იყვნენ: „ორერა“, „ივერია“, ანსამბლი „ვია 75“, რომელთა ყველა კონცერტს მსმენელი ოვაციით ხვდებოდა. დღეს დადგა მინი დისკების ეპოქა, რომელმაც საქართველოს ესტრადა წალეკა. დგას ერთი მომღერალი და მღერის მინუსით, უკანა მხარს კი აპარატურა უმშვენებს. მინუსზე მომღერალი „ვარსკვლავები“ ქართულ ესტრადას ღუპავენ. თუ ქართული ესტრადის გადარჩენა გვინდა, სასურველია, თუნდაც ერთი სერიოზული ანსამბლი შეიქმნას, რომელიც ნიჭიერი მუსიკოსებით იქნება დაკომპლექტებული. ანსამბლი კონკურენციას გაუწევს უამრავ მუსიკოსს და ღირსეულნი დაიკავებენ ამ ანსამბლში ადგილს. ამით ქართული ესტრადის დონე ამაღლდება. მე ისეთი კომპოზიტორების დიდი თაყვანისმცემელი ვარ, როგორებიც იყვნენ რეზო ლაღიძე და გოგი ცაბაძე და რომლებმაც დატოვეს ქართული სიმღერის დიდი განძეული. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დღეს ახალგაზრდა შემსრულებლები სრულიად მიუღებელ სიმღერებს ქმნიან, მაგრამ... ასლი გადმოღებული აქვთ უცხოური მუსიკის, ტექსტი არის ქართული და ორი სიტყვით ამკობენ მუსიკას. სიმღერას არავითარი აზრი არ გააჩნია. ამ მძიმე ფონზე რომელიმე მუსიკოსმა თავის თავზე უნდა აიღოს ვალდებულება, რომ სწორი გზით წარმართოს ქართული ესტრადის ღირსება. მე წინააღმდეგი არა ვარ ასეთი მუსიკოსების, მაგრამ მათ თავიანთი ადგილი უნდა ჰქონდეთ ქართულ ესტრადაზე. ჩემი ოცნებაა, შევქმნა ანსამბლი ქართული ესტრადის ფუძემდებლის და ჩემი სათაყვანო მუსიკოსის ბ-ნ რობერტ ბარძიმაშვილის თავკაცობით, მას შეუძლია ეს რეალობად აქციოს. რაც შეეხება ჩემს ადგილს დღევანდელ ქართულ ესტრადაზე, ვმუშაობ სპონსორის გარეშე და მხოლოდ საკუთარი ჩანაწერებით, ეს ძალიან შრომატევადი სამუშაოა, თუ გამოჩნდება სპონსორი, რომ საქართველოში შეიქმნას ერთი ქართული ანსამბლი ცოცხალი შესრულებით, ძალზე გამახარებს.

– დღეს სად მოღვაწეობთ?

– ვთანამშრომლობ მხოლოდ ტელევიზიასთან და საკუთარი სიმღერების ჩანაწერებს ვაკეთებ. დაგეგმილი მაქვს მომავალ წელს ჩემი საკუთარი კასეტა გამოვუშვა. რამდენჯერმე ვიფიქრე ეკონომიკური მდგომარეობის გამო უცხოეთში წასვლა, მაგრამ

საქართველოსა და ქართველი ერის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

ირმა მაჭარაშვილი

ერთი წიგნის რეცენზია

...რომ შვილი სჯობდეს მამასა!

უკვე თითქმის ორი წელიწადია, რაც სკოლაში ისწავლება 1999 წელს გამოცემული „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ IX კლასისათვის (შეადგინეს და კომენტარები დაურთეს მ. გიგინეიშვილმა, ლ. გრიგოლაშვილმა, ვ. როდონაიამ).

მანამდე მოქმედი ქრესტომათია აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციით (შემდგენლები: აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე და ილია აბულაძე), რასაკვირველია, საჭიროებს განახლებასა და გაახალგაზრდავებას, მაგრამ მისი შედგენის პრინციპი არ გახლავთ დასაწუნი და უკუსაგდები.

ჩემი აზრით, ძველი ქრესტომათიის შედგენის პრინციპი უფრო მრავალფეროვანია და, მეთოდიკის თვალსაზრისით, თითქმის სრულყოფილი. აი, როგორია მისი შედგენილობა „შუშანიკის წამების“ მაგალითზე: განხილვითი ხასიათის მცირე შესავალი წერილი ავტორისა და მისი ნაწარმოების, ეპოქის შესახებ (1,5 გვ.); გამოყენებული ლიტერატურის სია; თავად ტექსტი თხზულებისა (შემოკლებული სახითა და შემდგენელთა მონათხრობი ნაწილების ჩართვით, რომელიც აწყობილია განსხვავებული შრიფტით); საჭიროდ მიჩნეულ სიტყვათა ახსნა და სათანადო ზომიერი განმარტებანი სქოლიოთა მეშვეობით; კითხვები და დავალებანი მოსწავლეთათვის. სულ 11 გვერდი. ასე ლაკონიურადაა დაცული ეს პრინციპი მთელ წიგნში თითოეულ მწერალთან.

ახალი ქრესტომათიის შედგენის პრინციპი საგრძნობლად შეზღუდულია. იგი შეიცავს ორად ორ კომპონენტს: თხზულების ტექსტი და მისი მრავალმხრივი (ხშირად ვრცელი) განმარტებანი იმავე გვერდზე. სულ 37 გვერდი (სამჯერ და უფრო მეტი) „შუშანიკის წამების“ მიხედვით.

ახალ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით მხოლოდ შენიშვნებითა თუ სურვილებით შემოვიფარგლები, ისიც, ძირითადად, თეზისების სახით, რომელთა განვრცობა ყოველთვის შეიძლება საჭიროების შემთხვევაში.

1. სასკოლო სახელმძღვანელოში მიღებული არ არის ე. წ. მეცნიერული ვრცელი წინათქმის წამძღვარება. მაგრამ, რადგან ეს მოხდა, უპრიანი იქნებოდა ძველი ქრესტომათიის დიდად პატივცემულ ავტორთა მოწიწებით მოხსენიება აქ და არა სადმე სხვაგან და სხვა დროს. მოგვიანებით გაზეთში (იხ. „ახალი განათლება“, 1999 წ., №37) გამოცხადებული კომპლიმენტი მათ მიმართ მხოლოდ უკან მიდევნებული ლამპარია და არა მათი ხსოვნისა და ღვაწლის უკვდავყოფა.

2. ვფიქრობ, წიგნს უთუოდ უნდა წამძღვარებოდა ძველი ქართული ანბანის ტაბულა, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ასომთავრული, ნუსხური, მხედრული ასოები და მათი რიცხვითი მნიშვნელობა. ასეთი თვალსაჩინოების მეშვეობით მოსწავლეები თვალნათლივ დაინახავდნენ – როგორ გადადიოდა ქართული დამწერლობის ერთი სახეობა მეორეზე და მესამეზე. ყმაწვილები იმასაც შეიტყობდნენ, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერის დროს გამოიყენებოდა ასომთავრული შრიფტი, რომ ქართულ ანბანში იყო 38 ასონიშანი და მათი 37 გრაფიკული გამოსახულება. ასევე, მოსწავლეები გაიწაფებოდნენ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის შესწავლაში.

3. აუცილებელი მგონია წიგნში წარმოდგენილ ყოველ ვრცელ ნაწარმოებში ჩართული იყოს ტექსტის თითო-ოროლა ნიმუში ასომთავრულითა და ნუსხურით. ეს საშუალებას მისცემს მეცხრეკლასელს სავარჯიშოდ (წაკითხვის თვალსაზრისით) გამოიყენოს ნებისმიერი ნაწარმოების ხელნაწერი.

4. საჩოთიროდ მიმაჩნია ქრესტომათიის დაწყება „წმინდა ნინოს ცხოვრებით“ (მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა), თუნდაც იმიტომ, რომ იგი ქრონოლოგიურად არ უსწრებს „შუშანიკის წამებას“ (თუმცა არსებობს საწინააღმდეგო აზრი „წმ. ნინოს“ უფრო ხნოვანი შრეების შესახებ). თუ ეს პრინციპი დაირღვა, მაშინ შესაძლოა გაჩნდეს პრეტენზია – რატომ არ შეიძლებოდა ქრესტომათიის დაწყება, ვთქვათ, „ფარნავაზის ცხოვრებით“? აკი ასეთი აზრიც არსებობს მეცნიერებაში! მეფე ფარნავაზი ხომ უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ერის ცხოვრებაში როგორც ქართული დამწერლობის „შემქმნელი“ და საქართველოს პირველი გამაერთიანებელი. თანაც, მისი რაინდულ-ზნეობრივი ნამოქმედარი საოცრად ეხმიანება დღევანდელობას!

საერთოდ კი, რომელიმე ნაწარმოების წინ მოქცევით უთუოდ ჩრდილი მიადგება „შუშანიკის წამებას“ როგორც ჩვენამდე მოღწეულ პირველ ორიგინალურ, სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებს და ამით ხელოვნურად დაკნინდება მისი მნიშვნელობა.

5. ვფიქრობ, წიგნი ვიზუალურად საამო სანახავი იქნებოდა და მოსწავლეთათვის უფრო მიმზიდველი, თუკი სათანადო ადგილებში მოთავსდებოდა ძველ მწერალთა თუნდაც წარმოსახვითი პორტრეტები და თემატური ილუსტრაციები.

6. წიგნის წინათქმაში შემდგენლები აღნიშნავენ, რომ განმარტებათა სიმრავლე გააიოლებს ტექსტის გაგებასო. კი, ბატონო! მაგრამ მეტისმეტიც არაფერი ვარგა. მით უმეტეს, როცა ზოგი განმარტება ზედმეტიც კია. მაგ.: ინება რაჲ – როცა ინება; მოსვლაჲ ქვეყნად – ამ ქვეყნად მოსვლა; ჩჩული – ჩვილი, თოთო ბავშვი; ვითარცა – როგორც; ყრმაჲ – პატარა ბავშვი (გვ. 7); ბნელსა შინა – სიბნელეში (გვ. 13) და სხვა. აგრეთვე, განმარტება ხშირ შემთხვევაში უზომოდ გაწელილია (ვთქვათ, გვ. 369) და ბევრად აჭარბებს თვითონ თხზულების ტექსტს (იხ. გვ.გვ.: 7-13, 24-25, 32-37, 42, 60, 68-70, 75-76. 78-79, 83, 106-107, 110, 111, 113-114, 129, 182-183).

7. ბარემ აქვე ვიტყვი, კარგი იქნებოდა სიმონ კანანელთან დაკავშირებით იმ ცნობის მიწოდება, რომ მისი საფლავი აფხაზეთშია.

8. მოსწავლეთა განტვირთვის მიზნით, მისაღებად მიმაჩნია ქრესტომათიაში დიდი მოცულობის ტექსტების უმეტესი ნაწილის დედნის სახით წარმოდგენა, ხოლო ნაწილისა კი თანამედროვე ენით მიწოდება (როგორც წინამორბედ ქრესტომათიაში). ამ უკანასკნელის გამოყენება მაშინაც მიზანშეწონილია, როცა გადმოსაცემია დედნის შემცირებული ნაწილის შინაარსი.

9. სახელმძღვანელოში ტექსტები, ვთქვათ, „წმ. ნინოს ცხოვრება“ წარმოდგენილია შემოკლებული სახით, ე. ი. კუპიურებით, მაგრამ ტექსტი გაბმულადაა მოცემული და შემოკლებული ადგილები არ არის გამოყოფილი რაიმე ნიშნით (მაგალითად, მრავალწერტილით). ამის გამო მოსწავლეს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მის სახელმძღვანელოში შეტანილი ესა თუ ის ნაწარმოები სწორედ იმ სახით არსებობს ბუნებაში, როგორადაც მიაწოდეს.

10. სასულიერო პოეზიის მონაკვეთში წარმოდგენილია დემეტრე მეფის ბრწყინვალე ლექსი „ღმრთისმშობლისადმი“ („შენ ხარ ვენახი...), მაგრამ ნახსენები არ არის, რომ იგი იამბიკოა. ამდენად, არც იამბიკოს განმარტებაა მოცემული. ამავე დროს, სასურველად მიმაჩნია კიდურწერიანი იამბიკოს (როგორც ერთ-ერთი სახეობის) მიწოდება მოსწავლეთათვის, რისთვისაც გამოდგებოდა „ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისაჲ და ძისაჲ (კიდურწერაში – „ფილიპე ბეთლემი“). ამიტომ იგი დიახაც უნდა გადმოსულიყო ძველიდან ახალ ქრესტომათიაში. საერთოდ კი, ბორენას მშვენიერი იამბიკოს უგულებელყოფაც დასანანია.



11. სახელმძღვანელოში შოთა რუსთაველს სულ 27(!) გვერდი აქვს დათმობილი (როგორც იაკობ ხუცესსა და გიორგი მთაწმინდელს) და მისი პოემა წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი მონაკვეთით (პოემის დასაწყისი; ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა; ლოცვა ავთანდილისა; წიგნი ნესტარ-დარეჯანისა საყვარელთანა მიწერილი). ეს მაშინ, როცა მომდევნო ორ მწერალს – ს.-ს. ორბელიანსა და დ. გურამიშვილს, შესაბამისად, უჭირავთ 99 და 104 გვერდი (შეფარდება აშკარად თვალში საცემია). ამასთან, აღნიშნულ ნაწყვეტებში მკრთალადაც არა ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი გმირის – ტარიელის სახე და არც პოემის ძირითადი ხაზია წარმოდგენილი.

12. შოთა რუსთაველთან დაკავშირებით შემდგენლები წინათქმაში გვამცნობენ, რომ არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა (ბ-ნ ნოდარ ნათაძისეული, – გ. ბ.), ამიტომ „ქრესტომათიაში პოემის მხოლოდ რამდენიმე ადგილია წარმოდგენილი ქართული მწერლობის განვითარების უწყვეტი ხაზის წარმოსაჩენად“ (!). „უწყვეტი ხაზის წარმოსაჩენად“ შეიძლება ნებისმიერი რიგითი ნაწარმოების გამოყენება, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ ნუ ვკადრებთ ამას!

გარდა ამისა, ასევე არსებობს ორ-სამგზის გამოცემული სასკოლო წიგნები „შუშანიკის წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესახებ. საკითხავია, რატომ არ ახსენებენ მათ ახალი ქრესტომათიის შემდგენლები და ერთხელაც არ გაიიოლებენ სამუშაოს, როგორც რუსთაველთან დაკავშირებით მოიქცნენ?

სხვათა შორის, პირველებმა პროფ. ზ. სარჯველიძემ და მისმა თანაავტორებმა წამოიწყეს და განახორციელეს ზემოხსენებული ორი ნაწარმოების გამოცემა ტექსტში (თავების მიხედვით) ჩართული სიტყვების ახსნითა და კომენტარებით ჯერ კიდევ 15 წლის წინათ და ამ მხრივ სიახლე არც არაფერია სარეცენზიო სახელმძღვანელოში.

13. შოთა რუსთაველის შემდეგ წიგნში წარმოდგენილია მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი და ამითი მთავრდება ძველი ქართული ლიტერატურა(!).

დანაკლისად მიმაჩნია „ბალავარიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“ გამოტოვება; შავთელის, ჩახრუხაძის, თეიმურაზ I-ის, არჩილის, ვახტანგ VI-ის, მამუკა ბარათაშვილის, ბესიკის შემოქმედების უგულებელყოფა. მათი ნიმუშები მაინც უნდა მოხვედრილიყო ქრესტომათიაში (თუნდაც საკითხავ მასალად), რათა მოსწავლეებს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ჰქონოდათ ძველი ქართული ლიტერატურის ორიგინალურ და თარგმნილ ნაწარმოებებზე. ამასთან, ვფიქრობ, წიგნს დაამშვენებდა იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

14. ქრესტემათიის შედგენას თავისი სპეციფიკა აქვს. იგი რჩეულ ნაწარმოებათა კრებული (ანთოლოგია) კი არ უნდა იყოს, არამედ ნათლად წარმოსახავდეს ეროვნული ლიტერატურის განვითარების ისტორიულ გზას. ამ მხრივ ახალი ქრესტომათია საგრძნობლად გადარიბებულია ძველთან შედარებით.

15. ახალი ქრესტომათიის მიხედვით გაუგებარია, როგორ შეძლოს მასწავლებელმა მოსწავლის ცოდნის შემოწმება-შეფასება, თუკი წიგნში არ იქნება მოცემული არცერთი საკონტროლო კითხვა, საშინაო თუ საკლასო დავალება, წერითი თემების დასახელება, საკამათო ვითარების (დისკუსია, დისპუტი) წარმართვა ამა თუ იმ საკითხებზე, ტესტური მუშაობა, ვარჯიში ხელნაწერი ტექსტების კითხვაში და სხვა? მით უმეტეს, რომ რა ხანია არ არსებობს ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, ე. წ. „გარჩევის წიგნი“ მეცხრეკლასელთათვის (და არავინ იცის, როდის იქნება!). ამიტომ ახალი ქრესტომათიის მეორე გამოცემას უთუოდ დასჭირდება გამოცდილი მეთოდისტის საფუძვლიანი გარჯა.

16. სრულიად სამართლიანად მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ორივე (ძველი და ახალი) ქრესტომათია დაშვებულიყო პარალელურ სახელმძღვანელოებად. სხვათა შორის, ასეც მოიქცა განათლების სამინისტრო თავდაპირველად, როცა 2000/2001 სასწავლო წლისათვის გამოსაცემად განკუთვნილ სახელმძღვანელოთა ნუსხის პროექტში აღიარა ორივეს გამოყენება. მაგრამ... დევიზით: „ახალი სახელმძღვანელოს ალტერნატივა ძველი ვერ იქნება“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 23.06.2000) წიგნის შემადგენელთა მეგობრებისა და მხარდამჭერთა მეცადინეობით სამინისტროს დაუნანებად ამოაღებინეს სიიდან ძველი სახელმძღვანელო, რაც ნიშნავს, რომ ამიერიდან სკოლაში „იმუშავებს“ ერთადერთი წიგნი – 1999 წელს გამოცემული „ქრესტომათია“ და მის სიახლოვეს გარკვეულ დრომდე ვერ გაიჭაჭანებს სხვა სახელმძღვანელო. ეს კი უსამართლობაა, თანაც უპატივცემლობა ჩვენი სათაყვანო მასწავლებლების – აკაკი შანიძის, ალექსანდრე ბარამიძისა და ილია აბულაძის მიმართ.

და ბოლოს, გარკვევით მინდა ჩამოვაყალიბო ჩემი პოზიცია:

1. არსებული შედგენილობის შენარჩუნებითა და დახვეწით გადამუშავდეს ძველი ქრესტომათია და აღდგეს მისი უფლებები როგორც პარელელური სახელმძღვანელოსი.

2. ახალი ქრესტომათიის (1999 წ.) შემდგენლებმა ყურად იღონ, მოკრიბონ პრესაში („ახალი განათლება“, „სახალხო განათლება“ და სხვა) გამოქვეყნებული თუ განხილვებზე წარმოდგენილი შენიშვნები და მათი გათვალისწინებით გააუმჯობესონ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა (ვინაიდან პირველი ვერ „ითვალისწინებს წინა სახელმძღვანელოების ყველა ღირსებას“).

ასეთ შემთხვევაში ორივე წიგნი უკეთესი იქნება წინამორბედებზე და მამის აშენებულ საძირკველზე შვილი იზეიმებს ჭეშმარიტ გამარჯვებას.

3. ამასთან, მეტად საშურია ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს („გარჩევის წიგნის“) შექმნა და გამოცემა, რაც მოხსნის მრავალ პრობლემას. იდეალური იქნებოდა, რომ იგი გამოსულიყო ქრესტომათიასთან ერთად.

გივი ბოჯგუა,
გამომცემლობა „განათლების“ მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ვიტყვი მხოლოდ სიმართლეს

დადგება თუ არა გაზაფხული, შთაბეჭდილება ელ. ენერგიის პროგლემა მოიხსნაო, უცბადვე ჩნდება. განათებული ზამთრის მოლოდინში პროგლემები ყველას ავიწყდება და მომავალზე არავინ ფიქრობს. უკვე ეძვსი თვე გავიდა, ენერგოსეტორი აუცილებელ რემონტს ვერ ატარებს. ენერგეტიკაში რეფორმები 95 წლიდან მიმდინარეობს, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერ ვერ მივილეთ, პირიქით, უკან-უკან მიდის საძე. ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს, ენერგეტიკის პროგლემების გარდა. დაიწყო და ალარ დასრულდა. შთაბეჭდილება, ისინი ხელოვნურად შეძენილიაო, უსაფუძვლო არ არის. ზოგადად ყველა საუბრობს, კონკრეტული პირის ვინაობის დასახელებას კი ყველა გაურბის. ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის. გავიგოთ და ხმამაღლა ვთქვათ, ვის აძლევს ხელს დანგრეული ენერგეტიკა და გაჩანაგებული საქართველო. ვინ და რა სარგებელს ნახულობს საკუთარი ქვეყნის ნგრევითა და ქარცვით? ჩვენ შევეცდებით, ჩავწვდეთ ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე ფარულ პროცესებს და საზოგადოების თვალწინ გამოვამზეუროთ, რათა ყველამ დაინახოს, ვინ არის ის, ვისზეც ყველა საუბრობს და ვისაც ვერავინ ხედავს. ჩვენ ფაქტები გვჭირდება! ძნელად, მაგრამ მაინც ვაგროვებთ.

დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარი პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომისტეტის თავმჯდომარე რევაზ არველაძე გახლავთ.

— ბატონო რევაზ, მე ხელთა მაქვს საქართველოს პრეზიდენტის სახელზე შედგენილი მიმართვა, სადაც პროფესიონალი ენერგეტიკოსები ასაბუთებენ, რომ ორი ორგანიზაციის, ელექტროგადაცემის და დისპეტჩერიზაციის, გაერთიანება მომგებიანი არ იქნება. როგორც პროფესიონალი, თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ნაბიჯს? როგორ ფიქრობთ, რატომ მოინდომა ენერგეტიკის სამინისტრომ ამ წამგებიანი სვლის გაკეთება?

— პირდაპირ გეტყვით, თავიდან, როცა საქენერგოს დაყოფა მიმდინარეობდა, მათი ცალ-ცალკე იურიდიულ პირებად ჩამოყალიბების წინააღმდეგი ვიყავი. მიმაჩნია, რომ ეს არის ერთიანი ორგანიზმი. საერთოდ, ენერგეტიკა ერთიანი ტექნოლოგიური ციკლია და მისი დაშლა დაუშვებელია.

რაც შეეხება დისპეტჩერიზაციის და გადაცემის გაერთიანებას, წინააღმდეგი ვარ. ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი და ტენდერში გამარჯვებულ ფირმას ხუთი წლით უნდა გადავცეთ სამართავად. ტენდერის პირობებში ჩამოყალიბებულია, რომ ორივე ცალ-ცალკე იურიდიული პირი, ანუ ცალკე სუბიექტია.

ტენდერში თავიდან 30-მდე განაცხადი იყო, შემდეგ თანდათან დაიწმინდა. ორმა გაიმარჯვა. ერთი კანადური კომპანიაა, მეორე ირლანდიური. დამარცხებულ ორგანიზაციებს ორი სხვადასხვა ორგანიზაციის გაერთიანება ეჭვს აღუძრავს, რომ ყველაფერი სპეციალურად გაკეთდა მათ საწინააღმდეგოდ. დამარცხებულები დაგვადანაშაულებენ, რომ ტენდერი არასწორად და არაკვალიფიციურად ჩატარდა და გვიჩივლებენ სადაც საჭიროა, პარიზში თუ ლონდონში. მოითხოვენ ტენდერის თავიდან ჩატარებას და მართლებიც იქნებიან. ამით ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი შეილახება. მე მგონია, პრეზიდენტს ყველაფერი არ უთხრეს და შეცდომაში შეიყვანეს. საქართველო უხერხულობაში კიდევ ერთხელ რომ არ ჩავარდეს, პრეზიდენტმა ბრძანებულებას ხელი არ უნდა მოაწეროს. როცა ტენდერში გამარჯვებული მოვა, დავსხდეთ მასთან ერთად და მერე განვიხილოთ ეს საკითხი.

— თქვენი აზრი პრეზიდენტმა იცის?

— არა, ჩემი აზრი პრეზიდენტისთვის არ მიმიწოდებია, თუმცა სამინისტროსა და მარეგულირებელ კომისიას კი ვაცნობე არსებული ვითარების შესახებ.

— კი მაგრამ, თუ დისპეტჩერიზაციასთან 220 კვტ-იანი ხაზების გაერთიანება უნდათ, 500 კვტ-იანებს რატომ არ ეხებიან? საქრუსენერგო მაქვს მხედველობაში.

— საქრუსენერგოს შექმნა, ჩემი აზრით, მთლად სწორი არ იყო. არა მგონია, რომ ამით საქართველოს რამე მოემატა. ჩვენ ჩვენი ხუთასკილოვოლტიანი ქსელი მაინც გვქონდა. რუსეთი ერთი პატარა მონაკვეთით შემოვიდა კავკასიონიდან ქვესადგურ ცენტრალ-

ვინ არის ის, ვიზეც ყველა საუბრობს, მაგრამ ვერავინ ხედავს?!

ნაიამდე, ჩვენ კი ჩვენი ხუთასკილოვოლტიანი ხაზებით მთლიანად შევედით, ამას დამატებული 300 კვტ-იანი ხაზი ქსანიდან აზერბაიჯანისკენ და 220 კვტ-იანი ხიბას ხაზი, რომლითაც ბათუმიდან ვუკავშირდებით თურქეთს. ეს ხაზები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ის პატარა ნაწილი, რაც რუსეთმა ჩადო.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მაღალი ძაბვის ქსელები ერთიანი უნდა იყოს. შეიძლება დისპეტჩერიზაცია ცალკე დამოუკიდებელი იურიდიული პირი იყოს, მაგრამ ერთიან სისტემაში უნდა შედიოდეს.

— ბატონო რევაზ, AES თელასი იაფიან ენერგიას ყიდულობს ჰიდროსადგურებიდან. წელს, ზამთარში მან თბილისი ჩააბნელა და ზეწოლას ახდენდა ხელისუფლებაზე: თუ ჰიდროსადგურებიდან იაფიან ენერგიას არ მომყიდით, თბილისს არ გავანათებო. მან მინისტრის მიერ შეთავაზებულ მე-3 და მე-4 ბლოკების ელ. ენერგიის შესყიდვაზე უარი განაცხადა. რატომ არ იხდის თელასი შეწონილი ფასის შესაბამის თანხას?

— AES თელასმა მე-9 და მე-10 თბილსრესის ენერგობლოკები შეიძინა და წესით, ეს ენერგობლოკები ქალაქის მომარაგებას უნდა ემსახურებოდნენ. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩადებული, რომ AES პირველ რიგში ამ ენერგობლოკებიდან შეიძენდა ელ. ენერგიას, დანაკლისს კი AES-მტკვრისგან შეივსებდა. ამ უკანასკნელის მიერ ჭარბი ელ. ენერგიის გამომუშავების შემთხვევაში შემსყიდველი ბაზარი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, როცა ამ დოკუმენტს ხელი ეწერებოდა, ქართულმა მხარემ მაინცდამაინც დიდი პრინციპულობა ვერ გამოიჩინა. სხვათა შორის, უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას ამგვარი რამ ძალზე ხშირად ხდება და ყოველთვის წაგებული გამოვდივართ. ხშირ შემთხვევაში, მიზეზი ვიღაცის ზეწოლაა. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ინტერესის გამო ისეთ ხელშეკრულებებზე აწერენ ხელს ქართველები, რომლებიც ჩვენი მხარისთვის ხელსაყრელი არ არის.

— წელს უკვე 6 თვე გავიდა, გეგმიური რემონტები 20%-ით არ არის შესრულებული, ე. ი. რემონტები არ კეთდება. თქვენ თუ გაქვთ ზემოქმედების რაიმე მექანიზმი?

— რა უნდა გვქონდეს?! ჩვენ ვერც ვერავის გავათავისუფლებთ და ვერც ვერავის დავნიშნავთ თანამდებობაზე. ისინი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებია. ჩვენ შეიძლება, შეფასება მივცეთ, ენერგეტიკული მეურნეობა როგორ ემზადება ზამთრისათვის. ეს საკითხი მაისში, ივნისსა და ივლისში განვიხილეთ, სამივეჯერ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მივეცით.

როცა ენერგეტიკის ქვეკომიტეტის შეფასება ამდენჯერ არის არადამაკმაყოფილებელი, დასკვნები აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მისმა უმაღლესმა პირებმა უნდა გააკეთონ და გადაწყვეტილებებიც მიიღონ.

— თქვენ ხომ შეგიძლიათ პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან იმ ხელმძღვანელი პირების ნდობის საკითხი დააყენოთ, ვინც არ აკეთებს ან ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას?

— ბატონ გია არსენიშვილს პირადად გადავეცი ჩვენი წინადადებები ენერგეტიკული კრიზისის გამომწვევი მიზეზების თაობაზე. მე პრეტენზია არ მაქვს, რომ ჩემს მიერ ჩამოყალიბებული წინადადებები დოგმაა, საუკეთესოა და აუცილებლად უნდა გატარდეს. თუმცა მათ ნამდვილად უნდა განეხილათ ის და რაც მისაღები იყო, მიეღოთ.

— ბატონო რევაზ, ფულის ამოღების პრობლემა ვერა და ვერ გადაწყდა. როგორ შეიძლება მოგვარდეს ეს საკითხი?

— გამანაწილებელი ელექტროქსელების პრივატიზაციის შესახებ არსებობს პროექტი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქსელების პრივატიზაციის შემთხვევაში საქმე გამოსწორდება.

— პრივატიზაცია რაიონებში მიმდინარეობს?

— პრივატიზებულია მხოლოდ თბილისის და კახეთის ქსელები. თბილისში როგორი მდგომარეობაა, იცით, ხოლო კახეთში, ბოლო მონაცემებით, მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის ამოღება 70%-ია. იმედი გვაქვს, დანარჩენი ქსელებიც გაიყიდება. თუ ეს არ მოხდა, ამისთვისაც მზად უნდა იყოთ. სამწუხაროდ, მდგომარეობა თანდათან უარესდება. 95-96-97 წლებში მდგომარეობა საკმაოდ პროგრესული იყო, მართალია ჩათვლები ხდებოდა, მაგრამ თანხის ამოღება მთლიანად საქართველოში 70%-ზე ავიდა. აქედან ნაღდი ფული 48-50% იყო. ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია. რაც ცუდად არის საქმე, ზოგიერთებისთვის უკეთესია და პირიქით... აქედან გამომდინარე, ეტყობა, წინსვლა ვიღაცას არ მოეწონა და მაჩვენებელი 20%-ზე დაიყვანა. გამოდის, ისევ თავიდან ვიწყებთ ყველაფერს.

— რაიონული ქსელები როგორღაც რაიონის გამგებლების ხელში აღმოჩნდა.

— ეს პირველი რეფორმა იყო ენერგეტიკაში, რომელმაც ნეგატიური მოვლენები გამოიწვია. 1995 წელს გამანაწილებელი ქსელების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემა მოხდა. არ შემრცხვება იმის თქმა, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა საკუთარ კანტორად გაიხადეს ენერგეტიკული ქსელები და თანხები საკუთარ ჯიბეს მოახმარეს.

— დღეს მოსახლეობას აბრალებენ ელ. ენერგიის საფასურის გადაუხდელობას, თუმცა რეალურად სახელმწიფო ორგანიზაციებს უფრო ეკუთვნით საყვედური.

— სამწუხაროდ, საქართველოში ვერც ერთი დონის ხელმძღვანელმა ვერ გაიგო ენერგეტიკის როლი, მნიშვნელობა და ენერგეტიკაც იმიტომ მიიყვანეს ასეთ მდგომარეობამდე. ეს ერთადერთი დარგია, რომლის გაჩერებაც ქვეყნის მთლიან პარალიზებას იწვევს. დამისახელეთ ისეთი ქვეყანა, რომელსაც ენერგეტიკა არა აქვს და ძლიერი სახელმწიფოა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ენერგეტიკას განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა სჭირდება. ყველა ქვეყანაში ენერგეტიკა ერთ-ერთი უმდიდრესი დარგია, ამერიკის შეერთებულ შტატებს თითქმის 40% რეზერვები გააჩნია. მიუხედავად ამისა, 70-იან წლებში კრიზისი ჰქონდა და პირადად პრეზიდენტი უდგებოდა სათავეში ენერგეტიკული პროგრამების შემუშავებას და შესრულებას. ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა გაიგოს ეს ამბავი. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არსად არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორც ჩვენთან. სამწუხაროდ, რაც არ უნდა სისულელე თქვას უცხოელმა, მისი თითის დაჭნევაზე ფეხზე დგება ყველა დონის ხელმძღვანელი.

სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციები ნამდვილად არ იხდიან მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს. ეს საკითხი რუსეთში უმკაცრესად დააყენა პუტინმა. მან თქვა, რომ ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ დროულად უნდა გადაიხადოს ელ. ენერგიის საფასური. კონტროლი ფინანსთა მინისტრს დაევალა. ჩვენთან ეს არავის ენაღვლება. უფრო მეტსაც გეტყვით, შარშან ბიუჯეტში 26 მლნ. ლარი იყო გათვალისწინებული აზარბაიჯანისა და სამაჩაბლოს ელ. ენერგიის საფასურის დასაფარად და ეს თანხა ნულზე დაიყვანეს, ბიუჯეტს უჭირსო. ვიღაცას ჰგონია, რომ თუ ენერგეტიკას მოაკლებს თანხებს, ბიუჯეტს დაემატება. არადა, ენერგეტიკის გარეშე ვერც საწარმოები იმუშავებს, ვერც ხელფასები გაიცემა. ბიუჯეტს ბევრად მეტი დააკლდება. ელ. ენერგიის საფასურს ყველა უნდა იხდიდეს, რა კატეგორიის მომხმარებელიც არ უნდა იყოს ის.

— ენერგეტიკაში არსებულ ქაოსს ბოლო არ უჩანს, სამინისტრო უხეშად ერევა კადრების და ფინანსების საკითხში. მე მგონი, აქედან იწყება ყველაფერი.

— გეთანხმებით. თქვენი არ იყოს, სამინისტრო სამეურნეო საქმიანობაში, ფინანსურ საკითხებსა და კადრების დანიშვნაში მართლაც ერევა, ამას ყურადღებას არავინ აქცევს. სანამ ყველა გამოკვეთილად და ზუსტად არ შეასრულებს იმას, რაც ევალება და სხვის ფუნქციებში ჩარევას არ გადაეჩვევა, მანამდე მიჭირს იმის თქმა, რომ საქმე გამოსწორდება.

ენერგეტიკაში გაუგებარი პროფესიის კადრები მოვიდნენ. რომელთაც საერთოდ ვერაფერს შეასმენ, ვერაფერზე დაელაპარაკები. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ხდება და დღესაც გრძელდება, სამწუხაროდ.

— ესეც ხელოვნურად ხომ არ კეთდება?

— როგორ გითხრათ, ამაზე ძნელია საუბარი. ხელმძღვანელ მუშაკებს დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანის ცოდნაზე საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. სპეციალისტს ყველაფერზე გული შესტკივა, არასპეციალისტს კი წარმოდგენა არა აქვს, რა სჭირდება იმ დანადგარს და არც ადარდებს მისი პრობლემები. ერთადერთი ინტერესის სფერო ფულია, უნდა, დღესვე ჩაიდოს ჯიბეში. ამიტომაც ცდილობენ არასპეციალისტის მოყვანას, როცა საუბარი ბაზარზე და გამანაწილებელ კომპანიებზეა ხოლმე. სწორედ გამანაწილებელ კომპანიაში მოდის ფული მოსახლეობისგან. ამბობენ, ბაზრიდან ფულის გატანა ვისაც უნდა, გატანის შემდეგ ნაწილი უკან უნდა დაბრუნდესო. მე ამას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ამ პროცესებში ძალიან სერიოზული სტრუქტურები იქნებიან ჩარეული. ყოველივე ეს კი რემონტების ჩატარების შესაძლებლობას, ცხადია, ხელს უშლის. ვიღაცას ფულის გაკეთება მოუნდა, თუ თანხის ნაწილს ხელმძღვანელი იმას გადაუხდის, რემონტების ჩატარება შეუძლებელი გახდება. ფული იხარჯება, რემონტი არ ტარდება, საბუთები კი დგება. არ შეიძლება აქ კორუფციას ადგილი ჰქონდეს.

ელგუჯა ჩხაიძე
მაია საფარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ცათა სასუფევლისა

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

როცა ხატი ათონის მთას დატოვებს, მეორედ მოსვლა მაშინ იქნებაო

ქრისტეშობიდან მეცხრე საუკუნეში, ხატმებრძოლი იმპერატორის, თეოფილეს მეფობის დროს მძვინვარებდა პატიოსანი ხატების სასტიკი დევნა. ხატთა თაყვანისცემის აღმსარებელ ქრისტიანებს აწამებდნენ, ხოლო წმინდა გამოსახულებებს კი წვავდნენ.

იმ დროს მცირე აზიის ქალაქ ნიკეასთან ცხოვრობდა ერთი მდიდარი, კეთილმსახური და ქველისმოქმედი ქვრივი თავის ვაჟთან ერთად. მას ჰქონდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი, რომლის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება და რწმენა გააჩნდა. მან თავისი სახლის მახლობლად ააგო ეკლესია, სადაც მოათავსა ხატი და ხშირად მხურვალედ ლოცულობდა მის წინაშე. ერთხელაც ქვრივის სახლში მივიდნენ მეფის მზვერავები და თვალი მოჰკრეს ტაძარში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს. ერთ-ერთმა მათგანმა ხატს განრისხებით მახვილი ჰკრა. წამსვე ქალწულს ლოყიდან, ვითარცა ცოცხალი სხეულიდან, სისხლი გადმოედინა და ჯალათს გულზე მიესხა. დედაკაცმა დაუჩოქა მას და სთხოვა, დაენდოთ ხატი და მოეთმინათ გათენებამდე, სანამ იგი გამოსასყიდ თანხას შეაგროვებდა, რაზეც მეფის ანგართმოყვარე მსახურთაგან თანხმობა მიიღო.

მათი განშორებისთანავე ქვრივი თავის ძესთან ერთად ეკლესიაში შევიდა. მუხლმოდრეკილი, ცად აპყრობილი ხელებით დიდხანს ევედრა ღმრთის დედას, ცრემლითა და ოფლით დაალტო მიწა და ბოლოს, დიდი მოკრძალებით, ხატი ზღვის ნაპირას წააბრძანა. იქ კვლავ დავარდა წმიდა ხატის წინაშე, ლმობიერად შეჰღაღადა მარადის ქალწულს და სანატრელი სიწმინდე ზღვაში ჩაუშვა და სასწაული იხილა: ხატი არ დაეცა წყალზე ბრტყლად, არამედ ზეაღიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა. ამის ხილვით ნუგეშინისცემულმა დედაკაცმა მადლობა შესწირა უფალს და მის ყოვლად უბიწო დედას. მერე მოუბრუნდა თავის ძეს და უთხრა, რომ დაეტოვებინა ეს ადგილი, რათა მტარვალთა ხელით არ აღსრულებულიყო. თავად კი არ შეუშინდა ხატმებრძოლებს და მცირე აზიაში დარჩენა გადაწყვიტა. შვილმა მორჩილად მიიღო დედის ნება, გამოეთხოვა მას და დაუყონებლივ წავიდა თესალონიკში, მცირე ხანში კი გადავიდა ათონის მთაზე და დამკვიდრდა იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით ივერთა მონასტერი აიგო. აქ მან მიიღო მონაზვნობა, ღმრთის სათნო ღვაწლში განვლო ცხოვრება და კეთილად აღესრულა.

სწორედ მისგან შეიტყვეს ათონის მეუდაბნოე მამებმა ქვრივის მიერ წმიდა ხატის ზღვაში ჩაშვების შესახებ. თუ სად იმყოფებოდა ამ ხნის მანძილზე ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი, მხოლოდ ყოვლის მეცნიერმა უფალმა უწყის.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრია ათონის მთა. ათონისთვის დედობრივი სიყვარულით მზრუნველი ხშირად აშკარად და თვალხილულად ეცხადებოდა მისი დახმარების მთხოვნელთ. ხანაც თავისი წმიდა ხატების მეშვეობით აღსრულებული სასწაულებით გამოხატავდა თავის ზრუნვასა და მფარველობას.

XI ს-ის დამდეგს, დიდ მარხვაში, ივერთა მონასტრის ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც ღამის წყვდიადში ბრწყინავდა და დღის შუქზე არ ქრებოდა. ნათელი მოდიოდა ზღვის ტალღებზე მდგომი ღვთისმშობლის ხატიდან. მამები შეეცადნენ ნავით მიახლოებოდნენ ხატს, მაგრამ სიწმინდე განეშორა მათ და ხატის ნათელი ჰორიზონტზე იხილეს, სადაც ზღვა ცას უერთდება. ათონის ყველა მოღვაწე ზღვასთან შეიკრიბა. ბერები პარაკლისებს უხდიდნენ ზეციურ დედოფალს, მონასტრებში არ წყდებოდა ფსალმუნთა კითხვა. დადგა ვნების შვიდეული. მთელი წმიდა მთა ძაძით შეიმოსა. უკლებლივ ყველა ბერი ინანიებდა თავის ცოდვებს. მათ იცოდნენ, რომ სინანულის ცრემლებით განუბანელი ცოდვები, ვითარცა კედელი, ზეციურ დედოფალს გზას ულობავდა.

იმხანად ივერთა სავანის მიდამოებში, მიუვალ მთაზე, განმარტოებულ სენაკში განდეგილად ცხოვრობდა ღირსი გაბრიელი, ტომით ქართველი. ზეციური ნათლით შემოსილი ღვთისმშობელი ძილში გამოეცხადა ღირს გაბრიელს, რომელიც თავისი სენაკის სიმაღლიდან ჭვრეტდა ზღვით მობრძანებულ პატიოსან ხატს და უბრძანა, რომ შესულიყო ზღვაში, რწმენით გაევლო ზღვის ტალღებზე და სავანისადმი წყალობა, შეწევნა და მფარველობა აღუთქვა.

წმიდა ბერმა ამ ხილვის შესახებ წინამძღვარს გამოუცხადა. მეორე დღეს, განთიადზე, ივერთა მონასტრის მამები გალობით, საკმეველის კმევითა და ლიტანიობით გამოვიდნენ ნაპირზე. გაბრიელმა ილოცა ღვთისმშობლისადმი, მერე ფეხი შედგა ზღვის ტალღებზე, როგორც პეტრემ გალილეის ზღვაზე, საკვირველად განვლო წყალი, როგორც ხმელეთი, და ხელში აიღო ფასდაუდებელი საუნჯე. ბერებმა სიხარულით მიიღეს ხატი, როგორც თავად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი, იქვე სამლოცველო აუგეს და სამი დღე-ღამის განმავლობაში ჰმადლობდნენ უფალს და მის ყოვლადუბიწო დედას. იმ ადგილას, სადაც წმიდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, ამოსჩქეფა საკვირველთმოქმედმა წყარომ, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარი ხორციელი და სულიერი სნეულების მკურნალია.

ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. სამი დღის შემდეგ ხატი გადაიტანეს მთავარ ტაძარში, ანუ კათოლიკონში, და დააბრძანეს საკურთხეველში. მეორე დღეს, ცისკრის ლოცვის წინ, კანდელების ასანთებად შესულ ბერს ხატი ადგილზე აღარ დახვდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ბერებმა იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს და კვლავ უწინდელ ადგილზე დააბრუნეს. სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს ღვთისმშობელი ისევ გამოეცხადა ძილში გაბრიელს და უთხრა:

„გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ, თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიცა და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც... ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი“.

ამის მოსმენამ ძმებს გამოუთქმელი სიხარული მოჰგვარა. მათ ყოვლადწმიდა ქალწულის სადიდებლად სავანის კარიბჭესთან მცირე ტაძარი ააგეს და მისი საკვირველმოქმედი ხატიც იქ დაასვენეს. მას შემდეგ ხატი ღმრთისმშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება „პორტაიტისად“ ანუ „კარიბჭისად“, და რადგააც მან ივერთა სავანე აირჩია თავის სამყოფლად, ეწოდა „ივერიის ღვთისმშობელი“. მას ძველთაგანვე კიდევ ერთი სახელი შეარქვეს – „მწყალობელი“.

არსებობს გადმოცემა, რომ სანამ კარიბჭის საკვირველმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელ ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს და ჯოჯოხეთის ძალები ვერ შემუსრავენ მას. მაგრამ დადგება დრო და ხატი გაუჩინარდება ისეთივე იდუმალი გზით, როგორც მოვიდა, მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმიდა მთა. სოფლის აღსასრულისა და მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ეს იქნება.

გადმოცემის თანახმად, ივერიის ღმრთისმშობელი ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი. ღმრთისმშობლის სახე იმდენად მეტყველია, რომ ასე საგონებელში ჩამგდები და შიშის აღმძვრელი ხატი არ მოიპოვება მთელ წმიდა მთაზე. ხატზე ჭარბობს მოშავო-მონაცრისფრო ტონები, და სახეზე დღემდე ამჩნევია სისხლიანი ჭრილობა. საკვირველთმოქმედი ხატი მთლიანად მოჭედილია ოქროცურვილი ვერცხლით, შემკულია ძვირფასი თვლებითა და სამკაულებით.

მრავალი საოცრება და ქველისმოქმედება აქვს ჩადენილი ივერთა სავანეში ღმრთისმშობელს თავისი ხატის პატივისცემით.

ერთ დროს მონასტერი ისე გაღარიბდა, რომ ფქვილიც კი არ გააჩნდა. ყოვლადუბიწო ძილში გამოცხადებია ღრმად დამწუხრებულ წინამძღვარს და უნუგეშებია: „წადი და იხილე სავსე ბეღელი, რათა დარწმუნდე თქვენდამი ჩემს მზრუნველობაში“. წინამძღოლი წამოდგა, ბეღელს მიაშურა და იხილა, რომ იგი პირთამდე სავსე იყო ფქვილით. ამ ამბით გაოცებულმა და გახარებულმა ბერებმა ერთხმად განადიდეს უფალი და მარადის ქალწული. სხვა დროს ღვინო შემოკლებიათ; წმიდა დედოფალმა ისე გაავსო მთელი ჭურჭელი, რომ ღვინო ძირს იღვრებოდა. ერთხელ ზეთისხილითა და ოსპით აავსო მონასტერი. სავანის კარიბჭესთან დავანებული საკვირველთმოქმედი ხატი ხშირად არ უშვებდა მონასტერში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მძიმე, მოუნანიებელი ცოდვა ჰქონდათ სულში, და როცა ზოგიერთი მათგანი ფარულად ცდილობდა სავანეში შესვლას, უსულოდ ეცემოდა მიწაზე.

წარსულში ეგეოსის ზღვა მეკობრეთა სიმრავლით იყო განთქმული. მონასტერზე მათი ერთ-ერთი თავდასხმის დროს არაბმა მეკობრემ შუბით ჭრილობა მიაყენა ივერიის ღმრთისმშობლის ხატს, საიდანაც მეყსეულად სისხლმა იფეთქა. თავზარდაცემულმა შეინანა თავისი დანაშაული ღმრთისმშობლის წინაშე, იწამა მისი ძე და მოინათლა. აქვე დარჩა და ბერადაც აღიკვეცა.

1865 წელს ივერთა სავანეში გაჩენილმა ძლიერმა ხანძარმა 16 ეკლესია, სენაკები და რამდენიმე შენობა გაანადგურა, ტაძარს, რომელშიც კარიბჭის ხატი იმყოფებოდა, ცეცხლი არ შეხებია.

ღმრთისმშობელს არ მოსწონს, რომ ივერიის პატიოსანი ხატი უწმინდური სულის ადამიანებმა ჩამოატარონ ლიტანიობაზე. ამ დროს იგი საშინლად მძიმდება და ისინიც მაშინვე სხვას გადასცემენ ხატს და თვითონ გარბიან. არც ყველა ფოტოგრაფი მოსწონს. თუ ისინი წმიდა ადამიანები არ არიან, მათი ფოტოფირები უმოწყალოდ ნადგურდება. ივერიის ღმრთისმშობლის ხატს იმდენი სასწაული აქვს მოხდენილი, მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. დაწვრილებით გადმოცემებს მათ შესახებ ინახავს მონასტრის მატიანე.

დღეს საქართველოში ძნელად თუ ნახავთ კეთილმორწმუნე ქრისტიანულ ოჯახს, სადაც არ ინახავდნენ და თაყვანს არ სცემდნენ უფლის ღმრთისმშობლის ხატს. ყოვლადუბიწო ქალწული თავისი ივერიის ხატის ასლთა ძალით სულიერად აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და მათში დამკვიდრებულ მართლმადიდებელთ და თავისი დედობრივი საფარველის ქვეშ შემოიკრებს მათ, ვითარცა ქრისტეს ეკლესიის ერთ სამწყსოს.

1989 წელს, როდესაც კეთილმორწმუნე ადამიანებმა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ეკლესიის აღდგენას მიჰყვეს ხელი, ზეციერმა დედოფალმა თავისი ივერიის ხატის ასლის მოსვლით აკურთხა საქართველოს დედაქალაქი. ივერიის მიწაზე სტუმრად მყოფი ათონელი ბერებისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს თხოვნით მიუმართავს, რათა საქართველოსთვის გადაეღოთ ასლი კარიბჭის ხატიდან. ორიოდ წელში ბერძენმა მამებმა დაასრულეს ასლის შექმნა. ასლის გადაღების შემდეგ, ხატი ორმოცი დღის განმავლობაში მიდებული ჰქონდათ თავდაპირველ ხატთან, რადგან მისგან მიეღო მადლი და ნიჭი. ივერიის ხატი თბილისში ჩამობრძანდა 1989 წლის 9 ოქტომბერს, წმიდა მოციქულისა და მახარებლის იოანე ღმრთისმეტყველის ხსენების დღეს. ათეულობით ადამიანი შეხვდა სიწმინდეს და აეროპორტიდან ფეხით მიაცილა იგი სიონის ღმრთისმშობლის ტაძრამდე. ეს იყო მართლმადიდებლობის ნამდვილი დღესასწაული ივერიის მიწაზე.

მოამზადა **ნინო ბერიშვილმა**

ბესიკ ჯახაია იუწყება, რომ გარდაიცვალა გალის რაიონის მკვიდრი

მურმან ძეცბაია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რეპორტაჟი ქორწინების სახლიდან

ნეტავ რა უნდა ზღაპარს?

ქართველებს ერთი ასეთი გამოთქმა გვაქვს: „მოკვეთილი ნახევარი"... ის დაბადებიდან დაჰყვება ადამიანს და მთელის მოუსვენარ ძიებაშია. ქორწილი ის რიტუალია, სადაც ღვთის ხელდასმით ხდება მოკვეთილი ნახევრის გამთლიანება. ამიტომაც ვუწოდებთ მას სულისა და ხორცის ზეიმს.

ჩვენი რესპოდენტები ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებას უკვე შეუდგნენ.

გაგაცნობთ 24 წლის **ანზორ აბესაძესა** და 18 წლის **ილონა სიმონიანს.**

— ანზორ, როგორ გაიცანით ილონა?

— სტუმრად ვიყავი მეგობართან, სადაც პირველად შევხვდი ილონას, რომელმაც თავისი სილამაზითა და სინაზით მიიქცია ჩემი ყურადღება. განა თქვენ არ მოგწონთ?

სხვათ შორის, ახლო მომავალში არ ვაპირებდი ცოლის შერთვას, მაგრამ იმდენად დამაფიქრა ოჯახზე, მომავალზე, რომ ვიგრძენი, ეს იყო ჩემი ბედის ვარსკვლავი.

— ილონა, შენც იგივე იგრძენი?

პატარძალი მორცხვი ღიმილით მაძლევს პასუხს.

— ანზორი სინაზითა და სილამაზით მოხიბლეთ. თქვენ რა მოგწონთ მასში?

— ძალიან მეტყველი და მიმზიდველი თვალები აქვს. გასაკვირიც არ არის, ის ხომ ლომის ზოდიაქოა.

— ხასიათებითაც ამართლებს ამ ზოდიაქოს?

— მე მგონი ამართლებს. ის ყოველთვის აღწევს მიზანს.

— რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს იცნობთ?

ანზორი:

— სხვათა შორის, ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. თითქოსდა ეს ბედიც იყო. გაცნობიდან თხუთმეტი დღის შემდეგ დავქორწინდით.

— თქვენი ამურის საქმეებში მშობლები თუ ერეოდნენ?

ანზორი:

— როგორც ყოველთვის, ამ საკითხში მშობლები გაცილებით მეტ ცნობისმოყვარეობას იჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ მათგან ვგრძნობდი დიდ მხარდაჭერას, ვცდილობდი, საქმის წვრილმანებში არ ჩარეულიყვნენ და არც ისინი გვაწუხებდნენ ზედმეტად.

— ილონა, შენ ხომ არ გქონია წინააღმდეგობა შენი მშობლებისგან?

— სხვათა შორის, არც ჩემი მშობლები იყვნენ წინააღმდეგი, რადგან ანზორს არაფერი არა აქვს დასაწუნი. ისინი კარგად იცნობდნენ მას ჩემი მონათხრობიდან. ყოველთვის მენდობოდნენ არჩევანის დროს და ახლაც, როცა საქმე ქორწინებაზე და მეორე ნახევარზე მიდგა, ასე მოხდა, ჩვენს გრძნობებს ანგარიში გაუწიეს და კრინტიც არ დაუძრავთ.

— მართალია ჯერ ასაკით არცთუ ისე დიდები ხართ, მაგრამ ტრადიციებზე წარმოდგენა უკვე გაქვთ. ხართ მისი მიმდევრები?

ანზორი:

— საქართველოს დღევანდელ პირობებში ვცდილობთ შევინარჩუნოთ ტრადიციები. ზოგიერთ საკითხში ქართველი მაინც ტრადიციების გამგრძელებელი რჩება და არის ისეთი ნიუანსები, სადაც ქართულ ხასიათს კომპრომისზე წასვლა არ შეუძლია.

— ქორწილის გადახდაც ტრადიციის გამო გადაწყვიტეთ?

— თავდაპირველად ჩვენ ვფიქრობდით საქორწილო მოგზაურობით ბულგარეთში წასვლას, მაგრამ საბოლოოდ ქორწილი ვარჩიეთ. ეს ერთადერთი დღეა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სამახსოვროდ მიჰყვება ადამიანს. ბუნებრივია, ქალი სადედოფლო კაბაზე ოცნებობს, ჩემი დიდი სურვილიც იყო, რომ გამეხარებინა ჩემი მეუღლე და ეს დღე სამუდამოდ აღბეჭდილიყო მის გონებაში.

— ამ მძიმე ყოველდღიურმა ცხოვრებამ ოჯახის შექმნისას ხომ არ შეგაშინათ?

ანზორი:

— სხვათა შორის, კი. პირველად რომ დავფიქრდი ოჯახის შექმნაზე, თითქოს შემეშინდა, მაგრამ სიცოცხლე ხომ უნდა გაგრძელდეს და ჩვენც მომავლის ხმას ავყევით.

ილონა:

— სიმართლე არ იქნება, რომ გითხრათ არ შემეშინდა-მეთქი. რასაკვირველია, ყველა ქალს სურს კარგად მოწყობილი ცხოვრება. ბევრი რამ არჩევანზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ამას ცოტა შიშიც ახლავს, მაგრამ იგი ანზორისადმი სიყვარულით გადავლახე. თუმცა, ბევრი ფიქრიც არ დამჭირვებია, რადგან მისგან ზღვაზე დაპატიჟება მივიღე და ჩვენი ბედიც საბოლოოდ იქ გადაწყდა.

— ანზორ, ამ დუხჭირ ყოფაში რამდენად გაქვთ იმის საშუალება, რომ თავი გაინებივროთ?

— ასე თუ ისე, მაქვს. ვმუშაობ და ყოველდღიურ პრობლემებსაც ვუმკლავდები. ვიღებ ხელფასს, რომელიც შეძლებისდაგვარად თავის განებივრების საშუალებას მაძლევს.

— ოჯახსაც თქვენ არჩენთ?

— თითქმის, რადგან დღესდღეობით მშობლები უმუშევრები არიან.

— ილონა, შენც მუშაობ?

ილონა:

— არა, მე სამედიცინო კოლეჯში ვსწავლობ.

— ანზორთან შესახვედრად ლექციების გაცდენამ ხომ არ მოგიწია?

— დიდი სიყვარულის მიუხედავად, კოლეჯი არ გამიცდენია.

ანზორი:

— ილონას არ ეწყინება და გავამხელ პატარა „საიდუმლოს". კოლეჯი არ გაუცდენია, მაგრამ ჩემს შესახვედრად სახლიდან კი გამოიპარა.

— სად აუხსენით სიყვარული?

— ქობულეთში, ზღვაზე.

— ალბათ, პირველადაც მაშინ აკოცეთ?

პატარძალს სიმორცხვე დაეტყო. ანზორმა, ახლა ბევრი მოწმე გვყავსო — თავაზიანად აუქცია კითხვას პასუხი.

— ილონა, როგორ მიიღე სიყვარულის ახსნა?

— როგორ გითხრათ, მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ძალიან მესიამოვნა.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

ანზორი:

— მე ორის (თვალი თვალში გაუყარა ილონას), ილონას კი სამი უნდა. იმედია, შევთანხმდებით (ეღიმება). თუმცა, ეს მომავლის საქმეა. ჯერ არცერთი არ გვყავს და პრობლემებიც, ცხადია, არ შეგვქმნია.

— ცალკე ცხოვრებას ხომ არ აპირებთ? ახალდაქორწინებულებს, ალბათ, ამის დიდი სურვილი გაქვთ.

ანზორი:

— არა. დღეს ეს ძალიან რთულია. ელემენტარულად, ცალ-ცალკე ყოფნა დღეს მეტი ტვირთია, მეტი პრობლემა, ვიდრე მშობლებთან თანაცხოვრება. მთავარია, რომ ერთსულოვნება სუფევდეს ოჯახში. ძალიან მიხარია, რომ ილონამ და დედაჩემმა თავდაპირველად ძალიან კარგად გაუგეს ერთმანეთს და ვფიქრობ, ამ მხრივ უპრობლემოდ მოგვიწევს მომავალში ცხოვრება.

— თაფლობისთვის გატარებას სად აპირებთ?

ილონა:

— მინდა თაფლობისთვე გავატარო იქ,

სადაც ჩემმა მეუღლემ პირველად ამიხსნა სიყვარული. ისევ ზღვაზე...

— გმადლობთ.

ილონას ეშმაკურად ეღიმება:

— თქვენ გათხოვილი ხართ?

— **არა.**

— მეც გისურვებთ ბედნიერებას. ჩემი წყალი გადმოგსხმოდეს.

გვანცა გაწერელიას და დიტო ვაშაკიძეს

ვულოცავთ ბედნიერებას!

ღვთისმშობლის კალთა და წმინდა გიორგის მადლი ფარავდეს თქვენს წრფელ სიყვარულს და ლამაზ ოჯახს მრავალჟამიერ.

ხუტა და სერგო სიგუები ოჯახით

ზურაბ და მედეა

გილოცავთ ვერცხლის ქორწილს, გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, ჯანმრთელობას, გამრავლებას და შვილიშვილების სიმრავლეს. იმედია ოქროს ქორწილს შვილთაშვილებთან ერთად შეხვდებით.

კეთილი სურვილებით თქვენი მეზობლები

მაკა ჩირაძეს!

არ გეკითხებით, რამდენი წლის გახდი. ჯერ ისევ პატარა და ლამაზი ხარ, უბრალოდ, დაბადების დღეს გილოცავთ და გლოცავთ სულით და გულით. ბედნიერი იყავი.

„მოქეიფეები"

ლია მაჭარაშვილს!

ჩემო „პაწაწუნა"! გილოცავ დაბადების დღეს. ულევ სიხარულს და სიტკბოს გისურვებ. მალე კიდევ ერთი „პაწაწუნას" ბედნიერი დედიკო გამხდარიყავი.

შენი მანო

მთავარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.